

ოქროს კრავისა და ოქროს ვერძის ზღაპრები

წინამდებარე გამოცემაში სრულად ვაქვეყნებთ აკაკი ჭანტურიას არქივში შენახულ ზღაპრებს ოქროს კრავისა და ოქროს ვერძის შესახებ. ოთხი ადრე გამოქვეყნდა «ფილოლოგიურ მიუზიკში» და ორიც ჟურნალ «აიაში». აღნიშნული ზღაპრების შესახებ თავის დროზე მოხსენდა თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ღია სხდომას (გამგე, პროფ. ზ. კვიციანი). მეგრულ ტექსტს ერთვის პარალელური ქართული თარგმანი.

ქართული თარგმანის რედაქტირებაზე მუშაობდნენ ბატონები ანდუყაფარ ჭეიშვილი და ომარ გოგიჩაიშვილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მადლიერების გრძნობით ვიხსენებ აწ განსვენებულ, დოცენტ ანდრო ლეკიაშვილის საგულისხმო კონსულტაციებს.

დამატებით ვაქვეყნებთ, აგრეთვე, ოქროს კრავთან დაკავშირებულ ორ ლექსს, წარმართული ღმერთების გადამახილს, ლეგენდებს თბილისის დაარსებისა და თამარ მეფის შესახებ.

იმედია, ეს მასალა ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.

არიანე ჭანტურია

1. ტონბა-ვარჩხილი და ოქროსბეწვიანი ვერძი

ყოფილა ერთი მწყემსი. ეს მწყემსი ღვთისნიერი და ძალიან კარგი გულის კაცი ყოფილა. მას კარგის გარდა ცუდი არავისთვის არასდროს უქნია. მისი სახლის კარი შეჭირვებულისა და გაჭირვებულისათვის სულითა და გულით მუდამ ფართოდ გაღებული ყოფილა. სხვისთვის კარგის ქმნასა და დახმარებაზე ის არასოდეს უკან არ დაიხევდა და არც მოწსყინდებოდა თურმე სიკეთის ქმნა. ჰყოლია ამ მწყემსს დიდძალი საქონელი. მის საქონელს არავითარი მავნე არასოდეს ახლოს არ გაჰკარებია, არც რაიმე სახადი შეჰყვრია როდისმე. მუდამ აღმა და აღმა თუ მიიწევდა («დუღდა»), თორემ სილატაკე-გაჭირვება არასოდეს გამოუცდია. ყოველ ზაფხულს მწყემსი თავის საქონელს მთაში მიერეკებოდა თურმე. იქითობასაც და აქეთობასაც ტონბა-ვარჩხილი უნდა გაეველო.

მწყემსს, რა თქმა უნდა, ტონბა-ვარჩხილი წმინდა წყლად მიაჩნდა, ერიდებოდა და ყოველთვის ცდილობდა, მის ნაპირას საქონელი არასოდეს დაეყენებინა, და, მართლაც, დიდი ხანია იგი საქონელს ერეკებოდა, მაგრამ იქ არასოდეს მოუხვედრებია.

ერთხელ, მწყემსი საქონელს რომ მიერეკებოდა, ზუსტად ტონბა-ვარჩხილთან ისეთი სქელი ნისლი ჩამოწოლილა, რომ საქონელი ვერსად დაძრულა. უცდია მწყემსს ნისლის გაფანტვისათვის, მაგრამ ნისლი გაფანტვის ნაცვლად, სულ გასქელებულა და გასქელებულა და ბოლოს სულ გაშავებულა. ამასობაში დაღამებულა. როცა ნახა, რომ საშველი არ არის, გაუჩერებია აქ საქონელი, დაუნთია ცეცხლი,

გამოუყვანია ერთი საკლავი, ღვთისთვის შეუწირავს და უთხოვია, ცოდვად არ ჩაეთვალა მისთვის ამდამ საქონლის აქ გაჩერება.

შუალამე რომ გამხდარა, ამოსულა ტონბა-ვარჩხილიდან ოქროსბეწვიანი ვერძი, დარევია ცხვრებს და ყველა დაუმაკებია. მეორე დილას აპყარა მწყემსმა საქონელი. არ იცის არაფერი, რაც მოხდა.

დოლი რომ დამდგარა, ცხვრებს ყველას ოქროსბეწვიანი კრავები მოუგიათ. გაჰკვირვებია მწყემსს, მაგრამ მიმხვდარა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს და ღვთისთვის მადლობა შეუწირავს.

რომ უხილავთ ამგვარი ჯერ თვალთ უნახავი საოცრება სხვა მწყემსებს, რქის ამოსვლასავით გაჰკვირვებიათ. მწყემსისთვის რომ უკითხავთ, მწყემსს უამბია, თუ როგორ მოუხდა გაჩერება ტონბა-ვარჩხილთან და ის მიუჩნევია მიზეზად.

ამ დროს ყოფილა კიდეც ერთი მწყემსი, ცუდის გარდა კარგი რომ არასოდეს გაუკეთებია, ისეთი, მაგრამ დიდძალი საქონელი ამასაც ჰყოლია, რადგან საქონელში ემბაკსაც უძევს წილი. ამ მწყემსს განზრახ გაუჩერებია საქონელი ტონბა-ვარჩხილთან, ესეც შეხვეწნია ღმერთს, მაგრამ საკლავი რომ არ დაუკლავს, ისე შეჰპირებია, თუ მისი ცხვრები ყველანი ოქროსბეწვიან კრავებს მოიგებდნენ, მაშინ გამორჩეულ საკლავს შესწირავდა.

შუალამე რომ გამხდარა, ამოსულა ოქროსბეწვიანი ვერძი, გასძლოლია ფარას ტონბა-ვარჩხილისაკენ და იქ ჩაკარგულა. მეორე დილას უნახავს მწყემსს, რომ მისი საქონლის კვალიც არ ჩანდა, წაუშენია შუბლში, მაგრამ რას უშველიდა.

2. ტონბა-ვარჩხილი და ოქროს კრავი

ყოფილა ერთი კაცი, რომელიც მუდამდღე მრუდე საქმეებზე ფიქრობდა და სიავეს ჩადიოდა. თქმა არ უნდა, როგორც ყველას, მასაც გაგონილი ჰქონია ტონბა-ვარჩხილის ამბავი. ზოგი ამბობდა, ხატები ბანაობენ შიგო, ზოგი – ოქროს კრავი მოდის და ტანს იბანს, მერე კი ტონბა-ვარჩხილის მთებზე დაკუნტრუშობს მზის ამოსვლამდეო. მზე რომ ამოვა, იმას ეთამაშება, მზე რომ აიწევს, მერე გაუჩინარდებაო. ზოგნი ამბობდნენ, მზეთუნახავით გოგოები მოდიან და შიგ ბანაობენო და ვინ იცის კიდეც რას აღარ ჰყვებოდნენ.

ამ კაცს, მას რომ შეეფერებოდა, ისეთი უკუღმართი აზრი დაჰბადებია: ან ოქროს კრავი დაეჭირა და გაეკრიჭა, ან ერთი ოქროს ხატი ემოვნა, ანდა ერთი გოგო ჩაეგდო ხელში. მოუმზადებია მაკრატელი, სატეხი და თოკი. მაკრატელი კრავის გასაპარსავად უნდოდა, სატეხი – თუ ხატს იშოვიდა, და თოკი – გოგოს თუ მოიტაცებდა. ამის გარდა, ამ კაცს მომზადებული ჰქონია მარყუჟი, რადგან ღრმა წყალთან ჰქონდა საქმე და შიგ შესვლა საშიში იყო.

როდესაც მწყემსების მთებში წასვლის დრო მოსულა, ეს კაცი შეხვეწნია მათ, თან წამიყვანეთო, რადგან თვითონ არასოდეს ევლო იმ მხარეს. მთაში წამსვლელ მწყემსებს არაფრად ეჭაშნიკათ თურმე ასეთი უკუღმართი კაცის თან წაყვანა, მაგრამ უარი ვეღარ უთქვამთ. მოუმზადებია ამ კაცს საგზალი და გაყოლია.

ტონბა-ვარჩხილთან რომ მისულან, ყველას გადმომდინარე წყალში ხელი და პირი დაუბანია და ღმერთს შევედრებთან. ეს კაციც ასე მოქცეულა, მაგრამ, როდესაც მწყემსებს წასვლა დაუპირებიათ, იგი არ გაჰყოლია მათ და უთქვამს:

– ეს ადგილი ისე მომეწონა, რომ ჯერ აქაურობის ცქერით არ მომიჯერებია გული და ამიტომ ამაღამ აქ უნდა დავრჩეო.

მთაზე წამსვლელებს უთქვამთ:

– მართალია, ეს ადგილი მოსაწონია, შესახედავადაც კარგია, მაგრამ მოსარიდებელია. ეს უბრალო ადგილი არ არის. აქ გაჩერება არ შეიძლება.

აქამდე რომ არაფერი დამემართა, არც აწი მომივა რამე, და თუნდაც მოვკვდე, აქედან მაინც არ წავალ, თქვენ თუ გინდათ, წადით, მე ამაღამ აქ უნდა დავრჩეო – უთქვამს ამ კაცს.

მწყემსები მიხვდნენ, რომ ამ კაცს გულში ცუდი რაღაც ედო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ არც რჩევით, არც გაწყრომით და არც მუქარით. ბოლოს ვერაფერი რომ ვერ შეასმინეს, მოილაპარაკეს, რომ წასულიყვნენ და ისეთ ადგილას დაბინავებულიყვნენ, ტონბა-ვარჩხილიდან კაცის ძახილი რომ გაეგონათ; მათთვის სამარცხვინო იქნებოდა, ეს კაცი რომ დაღუპულიყო, რადგან იტყოდნენ, მთის ამბავი რომ არ იცოდა, ისეთი კაცი წაიყვანეს და უპატრონოდ მიატოვესო, რადგან წინ სავალი გზა ამ კაცმა არ იცოდა და რომ უკან დაბრუნებულიყო, ერთხელ გავლილი, გზა სადმე უღრანში დაებნეოდა და დაიკარგებოდა. დატოვეს ეს კაცი ტონბა-ვარჩხილთან და თვითონ მოშორებით დაბინავდნენ.

დამჯდარა ეს კაცი ტონბა-ვარჩხილის ნაპირზე და დადარაჯებულა, თუ რა მოხდებოდა. შუალამე რომ გადავიდა, დაინახა, რომ მისგან კარგა მოშორებით, ნაპირზე ოქროს კრავი იჯდა. ფეხაკრეფით ამდგარა ეს კაცი და დაუწყია მიპარვით მისვლა. უნდოდა დაეჭირა და გაეკრიჭა. ძალიან ახლოს მისულა, მაგრამ დაფეთებისა და გაქცევის ნაცვლად კრავი მისკენ წამოსულა. წაუვლია რქაში ამ კაცს, მაგრამ ხელის წავლება და სულის გაფრთხობა ერთი ყოფილა.

მეორე დილას მოსულან მთაზე მიმავალნი. ამ კაცის გაცივებული გვამი უპოვიათ, წყლის ნაპირას გამოტოლი.

3. ოქროს კრავი და ხეიბარი ბიჭი

ყოფილა ერთი ძალიან პატიოსანი და კარგი გულის მეცხვარე. ეს ისეთი კაცი ყოფილა, რომ ყველას ჰყვარებია, და ამასთან ერთად ისეთი გავლენა ჰქონია თავის მეზობლებში, რომ ამას ვერავინ ვერასდროს ვერაფერს უბედავდა.

ერთი პატარა ვაჟის მეტი არავინ ჰყოლია, მაგრამ ეს ბიჭი იმისთანა ყოფილა, რომ ყველას ჰყვარებია. ყველაფერში ვარგისი და ნიჭიერი კაციშვილი ამისთანა მეორე არ ყოფილა. ამას ჯერ საქონლის გაყოლა არ შესძლებია და მამამისი, რადგან სახლს ვერ დატოვებდა, მთაში საქონელს სხვას ატანდა თურმე. მალე ვაჟი მოსწრებია, საქონლის გაყოლა დაუწყია და ამ კაცის საქმე ისე წასულა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. მალე დიდძალი საქონლის პატრონი გამხდარა, მაგრამ ერთბაშად ისეთი უბედურება

დასტეხია თავს, რომ კინაღამ ამოუწყვეტია ამ კაცის ოჯახი: ბიჭი ხიდან ჩამოვარდნილა, ხელი და ფეხი მოუტეხია და ამაზე დაგლახებულია – ხელი წართმევია და დაკოჭლებულია.

მამას ამ ბიჭის უბედურება ისე მოხვედრია გულზე, რომ დაავადებულა და დაგლახება დაუწყია. შიოს მარანივით სავესე ოჯახი კვლავ დაღუპვის კარზე დამდგარა. როცა ის ბიჭი დაგლახდა, მამაც დაგლახების გზას დაადგა და უსარგებლოდ რომ გადაიქცა, საქონლის სხვისთვის მიბარება დაუწყია კვლავ, აქ კი საქონელს ყოველთვის კარგვა და კლება დაუწყია. მაგრამ ეს კაცი თავის გაჭირვებას ყოველთვის თავის გულში იკლავდა, ღვთისადმი ერთი საყვედური არასოდეს წამოსცდენია. ბოლოს ეს კაცი დაავადებულა და მომაკვდავი გამხდარა. რა ექნა გაჭირვებულ ბიჭს? ამას დაუწყია შემის მოსატანად ჩლახუნი და როცა დარჩენილი საქონელი შინ ჰყავდათ, მისი გაყოლა.

მის ძველ ნამხანაგრებს ჯერ ეცოდებოდათ თურმე ეს ბიჭი, მაგრამ მალე აგდება და დაცინვა დაუწყიათ. რამე სამაგიერო რომ გაეხედა, გალახავდნენ. აბა, რას იზამდნენ, როცა დაგლახებულ ბიჭს დამხმარე არავინ ჰყავდა! ამ ბიჭს ძველებურად ცეცხლივით გული ედო, მაგრამ რა ექნა, ხელ-ფეხი რომ არ უვარგოდა! და ასე, ძველად თვით მას რომ დაჯაბნებული ჰყავდა, ის ამხანაგები დღეს თავზე ასხდნენ. იმათ ის სასაცილოდ მიაჩნდათ. ეს გაჭირვებული ბიჭი, რადგან ვერავის ვერაფერს უბედავდა, ყველაფერს თავის გულში იკლავდა. ყოველთვის მოწყენილი იყო, ბევრჯერ ტირილითაც ინუგემებდა თავს («გულს»). სულაც არ უნდოდა თავის ძველ ნამხანაგრებს დანახვებოდა, მაგრამ რა ექნა, ეცოდებოდა თავისი გაჭირვებული დედა, რომელიც მუდამ მდულარე ცრემლებს ღვრიდა («ცრემლებში იჯდა») და თავისი მომაკვდავი მამა. გულდამძიმებული იტანდა იმას, რაც თავისმა უბედურმა ბედმა უყო, და ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო.

ერთხელ ეს ბიჭი შემის მოსატანად ტყეში წასულა. ცოტა წინ რომ წაუწყევია ტყეში, კრავის ხავილისათვის მოუკრავს ყური. იქით-იქით რომ წაუწყევია, დაუნახავს, რომ უშველებელი კლდის ძირას კრავი გდია და ხავის. გაჰკვირვებია ამ ბიჭს, რადგან ყველას საქონელი მთაში ყოფილა და ამ ადგილას ცხვრები არავის ჰყოლია, მაგრამ კრავი რომ არის, ამას თავისი თვალით ხედავს ბიჭი. შეეცოდა, მაგრამ რა ქნას! ეს კლდე იმისთანაა, ხელ-ფეხი რომ არ უვარგა, ის კი არა, მაგარხელფეხიანი და მთაში კარგი მოსიარულე კაცი ვერ ჩავა. თავის ნამხანაგრებს რომ უთხრას, დაცინვას დაუწყებენ. სხვა არავინ ეგულება, აქ ჩასვლას რომ გაბედავს, ისეთი, ისე მიუდგომელია ეს კლდე. ხელ-ფეხი რომ უვარგოდეს, კრავის სიბრალულით თვითონ გაბედავს ამას, მაგრამ რა ქნას, როცა განახევრებულია («შუაშია გაჭრილი»)! კრავმა, თითქოს ბიჭს დახმარებას სთხოვდა, კიდევ უფრო მოუმატა ხავილს. გულმა ვერ მოუთმინა ბიჭს, თქვა: «ჩემი დედ-მამა მეცოდება, იმათ მაინც დაწყვეტ გულს, თორემ ჩემისთანა დაგლახებული კი არა, ათასი დევგმირივით კაცი დაღუპულა. კრავი შველას ითხოვს, თუ დავიღუპები, დავიღუპო!».

ცალი ხელით და ცალი ფეხით, თითქოს ეშმაკის სული სდგმოდეს, ჩახოხდა ბიჭი კლდის ძირში. კრავი ფეხმოტეხილი ყოფილა და ისე კოჭლობდა, რომ ადგილიდან ვერ იძროდა. როგორც კი ბიჭმა ხელი მოჰკიდა კრავს და ზევით ასწია, კრავმა ხავილი შეწყვიტა. ბიჭმა კრავი ჩაიხუტა და ჩაჯდა.

«საწყალო პუნტულავ, მარტო არ გინდოდა სიკვდილი? შენც კოჭლი, მეც კოჭლი. მოდი აქ, ერთად მოვკვდეთ, რადგან აწი აქედან ჩვენ ვერ ავალთ! მალე ამ კლდიდან ჩამოცვენილი ქვები მიწის მაგივრად

დაგვეყრება ზედ და ჩვენი ძვლები მათ ქვეშ იქნება ჩამარხული. ვერ ავალთ, მაგრამ მაინც რისთვის ავიდეთ?! როგორც მე, შენც დაგლახებული ყოფილხარ. არ ვარგაო, იტყვიან და დანით ყელს გამოგჭრიან. «შენ რატომ არ გამოგჭრეს ყელიო?», თუ მკითხავ, ეს იმიტომ, რომ ადამიანის ხორცის ჭამა ახლა მიტოვებული აქვთ, თორემ, ეს რომ დამემართა, იმ დღესვე დანას გამიყრიდნენ. დამტოვეს იმისათვის, რომ მეწვალა. ყელს რომ დანა მოხვდება, მძორს ხვდება, მძორის სისხლს უშვებს. როცა დანა გულში მოხვდება კაცს, სისხლს არ უშვებს და სულს რომ კოდავს, ის ყოფილა მწარე. მე შენზე უფრო გაჭირვებული ვარ, მე უფრო მეტი მაქვს საყვირალი, მაგრამ რომ ვიყვირო, ის სულის მომწყველელი დანა მომხვდება ყოველთვის. მე შენმა სიყვარულმა ჩამომიყვანა, მოდი, ერთად მოვკვდეთ!» და უფრო მაგრამ მიიხუტა და კოცნა დაუწყო. «მაგრამ, საწყალო პუნტულავ, შენ რომ სიკვდილი გნდომებოდა, არ იხავლებდი. ალბათ, არ გინდა სიკვდილი. მე შენზე წინ რომ მოვკვდე, გავცივდე და ისე გადავიქცე, რომ ვერ ჩაგიხუტო, ისევ ხავილს დაიწყებ. შენმა სიყვარულმა ჩამომიყვანა. რადგან სიკვდილი არ გინდა, ისევ შენი სიყვარულის გამო ვეცდები. თუ ვერ შევძელი და შენ სიკვდილს ვერ გადაგარჩინე, მე არ დამაბრალო, დააბრალე იმ შავ ბედს, რომელმაც მე ხელ-ფეხი მომტეხა. მოდი აქ, ასე!» და კრავი კისერზე შემოიგდო. მერე, რაც შეეძლო, ყაბალახით შემოიკრა, რომ არ ჩამოვარდნილიყო.

დაიწყო ბიჭმა ზევითკენ ხოხვა. უკვირს ამ ბიჭს, რომ რაღაც მაგრად გრძნობს თავს და წამხდარ ხელ-ფეხს გაჭირვებაში იშველიებს. ამოვიდა ბიჭი, ერთიანად დაავიწყდა, რაც ხელ-ფეხის წახდენის შემდეგ უტირია და უჯავრია.

«გადავურჩით შავ კლდეს, მაგრამ აწი რა ვქნათ, პუნტულავ? აქედან ამოვიყვანე-მეთქი, რომ ვთქვა, «ემშაკის სული სდგმიაო», იტყვიან, დამდაღავენ და ცეცხლში დამწვავენ. შენი გულისთვის რასაც მიზამენ, მიყონ, წავიდეთ შინ! შავ კლდეს რომ გადაურჩა, იმას კაცი რას დააკლებს!».

ერთი ვახშამი რომ იქნებოდა (ე.ი. ერთი ვახშმის გამზადებას რომ ეყოფოდა), იმდენი შეშა ამოიღლიავა და შინისკენ გასწია. კრავი კისრიდან არ მოუშორებია. გზაზე მისი ნაამხანაგარი ბიჭები შემოხვდნენ. «სად ნახე, ჩლახუნავ, შენისთანა მომაკვდავი და მუნიანი კრავი?» «შავი კლდის ძირში ხაოდა». «მერე ვინ ამოიყვანა იქიდან?» «ვინ და მე ამოვიყვანე», – უპასუხა ბიჭმა და ისინი აქ დატოვა.

ჯერ სიცილი დაიწყეს ბიჭებმა, მაგრამ იცოდნენ, რომ ამ ბიჭმა ტყუილის თქმა არ იცოდა და მოილაპარაკეს: «ნამდვილად ემშაკის სული სდგმია, მზაკვარი ყოფილა, თეთრ მგელზე მჯდარა! წავიდეთ მღვდელთან და ვუთხრათ, თორემ ეს ყველას დაგვლუპავს!».

ბიჭმა კრავი შინ მიიყვანა. დედამ ჰკითხა: «შვილო, ვინ მოგცა ეს კრავი?» «შავი კლდის ძირში ხაოდა და იქიდან ამოვიყვანე». «არა თქვა, შვილო, შავი კლდის ძირში რამ ჩაგიყვანა! რაღაცაა, ემშაკისეულია ეს, გადააგდე, შვილო, იქით! კარგი ისედაც არა გვჭირს და წყეული ემშაკი კიდეც რაღაც შავს ამზადებს ჩვენთვის. ჭირიანი იქნება კრავი». «არა, დედა, ემშაკი თხაზე რომ თქვა, ცოტას დაგიჯერებ, მაგრამ კრავზე ვერ დაგიჯერებ! ემშაკს რა უნდა კრავთან! ემშაკს კრავთან საქმე არა აქვს».

ბიჭის მამას რქის ამოსვლასავით გაუკვირდა, რა თქვას, არ იცის. «შვილო, – უთხრა შვილს, – შენ, ხელ-ფეხი რომ გივარგოდა, მაშინ არასდროს ჩასულხარ შავ კლდეზე, არც არავინ ჩასულა იქ. რამ ჩაგიყვანა,

ან რამ ამოგიყვანა?! ეს რაღაც საფარსაგო თუ არ არის, შვილო, რაცა გვჭირს, იმაზე უარესი რა დაგვემართება! დაილოცოს ღვთის სახელი! შეაგდე ბოსელში, იქნებ არ მოკვდეს!».

«მამა, ახლა მეც მიკვირს, ან როგორ ჩავედი და ან როგორ ამოვედი, მაგრამ ისე საცოდავად ხაოდა, რომ ვერ მოვითმინე. რომ ჩავედი, ხავილი შეწყვიტა. მერე, სიკვდილი არა ნდომია-მეთქი, და ამოსვლა ვცადე. კი ხედავ, რომ ამოვედი და ესეც ამოვიყვანე».

«მაგრამ, შვილო, ჩვენ რომ კარგი ბედისა არა ვართ, კი ხედავ. საიდან მოვიდა იქ კრავი, არც ის მომწონს და არც შენი იქ ჩასვლა!».

«არა, მამა, ბედი სულ რომ არ მქონოდა, ან რამ ჩამიყვანა, ან რამ ამომიყვანა? ჩემზე თუ ითქმის, ბედი ჰქონიაო, უბედური კაცი იქ ვერც ჩავიდოდა და ვერც ამოვიდოდა».

კრავი კერაში შესვა, დაწოლის დროს კუთხეში ნაბდისძველა დაუგო და იმაზე დააწვინა. ყველანი დაწვნენ. წევს ბიჭი, მაგრამ არ სძინავს. როცა იფიქრა, ახლა დედა და მამა დაძინებული იქნებიანო, წყნარად წამოდგა და კრავი თავის ლოგინზე დააწვინა და თვითონ გვერდით მიუწვა.

დილით დედა რომ ადგა და კრავი კუთხეში ვერ ნახა, წუხილი და ყვირილი დაიწყო: «მე არა ვთქვი, ეშმაკისაა-მეთქი! კრავი რომ არ არის, რა დაემართა, თუ ეშმაკი არ იყო, ან ჭინკა, ან რამე ავი სული!».

დედის წუხილმა და ყვირილმა ბიჭი გააღვიძა. «რას წუხარ, დედა! კრავი იქიდან ავიყვანე და ჩემთან დავაწვინე!» ესა თქვა და ახალგაღვიძებულმა ბიჭმა ერთი გაიზმორა. იგრძნო, რომ წამხდარი ხელი ღვედივით დაჰყვა, რომ დაიხედა, ხელი მორჩენილი აქვს! «დედა, ხელი რომ მომრჩენია, ვერა ხედავ!» – დაიყვირა ბიჭმა და ფეხზე რომ დაიხედა, ესეც მორჩენილი ნახა. წამოვარდა ზეზე, მივარდა დედას და მაგრა ჩაეხუტა. დედას ჯერ ეგონა, რომ ბიჭი ატყუებდა, მაგრამ როცა ბიჭი წამოხტა და დედას მაგრად ჩაეხუტა, სიხარულით ერთი შეჰკვივლა.

«რა ამბავია?» – თქვა მამამ და, აქამდე რომ მომაკვდავი, დასაწყლებული იდო, მგელივით წამოვარდა ზეზე. «ღმერთო, შენ მიშველე! სადა ვარ, როგორ მოხდა, რომ კარგად ვარ?» სამივენი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და სიხარულით კიდეც იცინოდნენ და კიდეც ტიროდნენ.

«რაშია საქმე, სადა ვარ, მითხარი, სიზმარში ვარ თუ ცხადში? რა არის, ბიჭო, შენ ხელ-ფეხი რომ კარგადა გაქვს, რა არის, რომ მე კარგად ვარ? ღმერთო, შენ არ დაღუპო ჩემი ოჯახი, ღმერთო, შავი ბედის დაცინვად არ გახადო ეს ჩემი ოჯახისათვის!» «არა, მამა. მე ხომ ვთქვი, კრავს ეშმაკთან საერთო არაფერი აქვს-მეთქი. ეშმაკისა არაფერი ურევია, ეს კრავის ნამოქმედარი საქმეა». «სად არის, ბიჭო, კრავი?» «ჩემს ლოგინზეა». «მიდი, შვილო, შენ გეკიდა მისთვის ხელი, ჩემს ცოდვიან ხელს მე მას ვერ მივაკარებ. წყნარად, შვილო, თაყვანისცემით, შვილო!».

ბიჭი მივიდა ლოგინთან, მაგრამ სადაც კრავი დააწვინა, იქ ვერ ნახა. «მამა, კრავი არ არის!» – ესა თქვა ბიჭმა და ყველას ტანში შიშმა დაუარა, ყველა სანთელივით გაშეშებული იდგა. «ბიჭო, ნაბდის ქვეშ არ იწევს, აბა, ასწიე ნაბადი!». ბიჭმა ასწია ნაბადი, მაგრამ კრავი არსად იყო, ოღონდ სადაც წოლილიყო, იქ

იმდენი ოქროს ბეწვი იდო, რომ ამოანათა. «დაიჩოქეთ!» – თქვა მამამ და მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო.

აქ რომ ეს ამბავი იყო, ეზოში მღვდელი შემოვიდა. წარბები შეყრილი ჰქონდა. მარტო თვალები გამოხატავდნენ, რომ სიბრაღული და მოვალეობა ერთმანეთს ეცილებოდნენ. მაშინვე ეთქვათ ბიჭებს და მერე მთელი სოფელი შემოერბინათ. მთელი სოფელი აყრილიყო და მღვდელს მოშორებით უკან მისდევდა. ყველას უნდოდა შეეტყო, რა მოხდებოდა, რაც იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ შეხედავდა მღვდელი საქმეს. სახლის კარი ღია იყო, მაგრამ არავინ ჩანდა. პარმალთან რომ მივიდა, მღვდელმა ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი: «ღმერთო, შენ დაიცავი ეს ოჯახი ყოველი მავნე სულისაგან, ალიან-ჩალიანისაგან!». ბიჭის მამამ მღვდლის ხმა რომ გაიგო, ადგა და მღვდელს მიეგება. მღვდელს გაუკვირდა.

«კაცო, გუშინ რომ მომაკვდავი იყავი, ახლა აქ როგორ დგახარ?» – უკმეხად უთხრა მღვდელმა. «თვითონაც არ ვიცი, აგერ-აგერ შევიშლები. ახლა ვლოცულობდი და მაშინვე შენთან ვაპირებდი წამოსვლას. შენს მეტი ვერავინ მეტყვის, თუ რა ამბავია ჩემს სახლში». «რა არის, რა ამბავია?» «როგორ თუ რა ამბავია! მე, კი მხედავ, როგორ ვდგავარ, ჩემს ბიჭს ხელიც მორჩენილი აქვს და ფეხიც. შენი ღვთის გულისათვის, დამიხსენი, მითხარი, რაშია საქმე!» «ჯერ ეს მითხარი, როგორ მოხდა ამგვარი რამ!» «ამას ბიჭი უკეთ გაიმბობს», და ბიჭს დაუძახა.

ბიჭი მოვიდა და ყველაფერი თავიდან უამბო, რასაც მღვდელი ყურადღებით უსმენდა. როდესაც ბიჭმა ოქროს ბეწვი ახსენა და თქვა: «მოდით აქ, ნახეთ», მღვდელმა შეაჩერა, წარბი გაეხსნა, ქუდი მოიხადა, ჩაფულა გაიხადა, ჯობი დააგდო, ბიჭის წინ დაიჩოქა და უთხრა: «შვილო, ნებართვა სთხოვე იმ ღმერთს, რომელიც შენ მხრებით გიტარებია და აქ ყოფილა, ნება მომცეს მის მონა-მოსამსახურეს, სახლში შემოვიდე და ჩემი თვალით ვნახო სასწაულებრივი ბეწვი, ხელი თავზე დამადე და ისე!».

ხალხი გაშეშებული უყურებდა მღვდლის მოქმედებას, იმიტომ რომ შორს იდგა და არ ესმოდა, თუ რას ლაპარაკობდნენ. ბიჭმა მღვდელს თავზე ხელი დაადო და თქვა: «ღმერთებო: ურთისავ, ეკისავ, ჭითა გვალისავ, ჩე გვალისავ, ზანდალაკისავ, გვამარდისავ და თქვენ, ცამუ კიბულის მაღალო ღმერთებო, თქვენი ღირსეული მონა-მოსამსახურე, ყველა ჩვენგანის მოყვარული მამა გთხოვთ, რომ ყველა მისი მოქმედება ღირსეულად ჩამოართვათ და ყველა შეცდომა და ცოდვა ნაკლად არ ჩაუთვალოთ».

‘ახლა მომეცი აქეთ ის გამრთელებული ხელი, შვილო!» და მღვდელმა ხელზე აკოცა. «ახლა შენი ხელით შემეყვანე და მაჩვენე!». ბიჭმა ხელი მოჰკიდა და სახლში შეიყვანა. მღვდელი დიდხანს იყო დაჩოქილი და ლოცულობდა, მერე გარეთ გამოვიდა, ქუდი დაიხურა, ჩაფულა ჩაიცვა, ჯობი აიღო, კვლავ მბრძანებლური სახე მიიღო და შეყრილ ხალხს უთხრა: «დაიჩოქეთ!» ხალხი მაშინვე მიწაზე დაეფინა. მღვდელმა გააგრძელა: «ის სამი ბიჭი, რომლებიც ჩემთან მოვიდნენ და ამ ოჯახს მზაკვრობა დასწამეს, უნდა მოკვდეს! ესაა ჩემი განაჩენი, მაგრამ რადგანაც ეს ბიჭი უფრო მაღლა დგას ღმერთების წინაშე, როგორც თვითონ ინებებს და გადაწყვეტს, ისე იქნება».

შიში, თავზარი დაეცათ ამ ბიჭებს, ტირილი დაიწყეს და თავიანთ დედ-მამას მოეჭიდნენ. «გამოდით აქეთ!» – ბრძანა მღვდელმა. ეს მათთვის მეხის დაცემას ჰგავდა და ტირილით გამოვიდნენ და დაიჩოქეს. «მოსმინეთ განაჩენი!» ბიჭმა თქვა:

«იყო დრო, როცა მათ მე ვუყვარდი, იყო დრო, როცა მათ მე ვპულდი და მაწვალებდნენ, მაგრამ მაშინ ამათ კი არა, მე მეჯავრებოდა ჩემი თავი! მე მჯერა: მოვა ისევ დრო, ესენი რომ შემეყვარებენ. მე მათ ვაპატიებ. რაც შეეხება მზაკვრობაზე ხმის გავრცელებას, ჩემი მხრივ მე ვაპატიებ, მაგრამ ეს ალბათ არ კმარა. ამიტომ მე ვთხოვ ღმერთებს, აპატიონ როგორც ბავშვებს და ჩვენი კარგი მღვდლის, ოქროს მამის დარიგებით ამას იქით ყოველგვარ უკანონო გზას ასცდნენ!». «ამინ!» – იხუვლა ხალხმა.

4. ტონბა-ვარჩხილი და ქაჩალი კაცი

ყოფილა ერთი ქაჩალი კაცი. როგორც შუა ხელისგულზე არაა თმა, ისე ერთ ღერ თმას ვერ იპოვიდით მის თავზე და, გარდა ამისა, თავი მუწუკებით ჰქონია დაფარული. ვიღაცამ ურჩია თურმე ამ კაცს, ტონბა-ვარჩხილში დაიბანე თავი, მუწუკებსაც მოგიჩენს და თმასაც ამოგიყვანსო. ქაჩალი იყო ეს კაცი, თორემ, სხვა მხრივ, ნაკლი არაფერი ჰქონდა და საქმეც კარგად მისდიოდა. თავისი ამბავი ამ კაცს გაუნდვია ერთი მოკეთე მეცხვარისათვის, რომელიც ყოველ ზაფხულს მთაში მიერეკებოდა საქონელს. მეცხვარეს, რომელმაც კარგად იცოდა ტონბა-ვარჩხილის ამბავი, დიდად არ გახარებია ეს, მაგრამ მოკეთისთვის უარი ვერ უთქვამს და დაპირებია, თან წაგიყვანო.

როდესაც მოვიდა მთაზე წასვლის დრო და მეცხვარემ საქონელი აყარა, ქაჩალი კაცი საგზლიანად გაჰყვა მეცხვარეს. ტონბა-ვარჩხილთან რომ მივიდნენ, მეცხვარემ ქაჩალს უთხრა:

– ესაა ტონბა-ვარჩხილი. ახლა ღმერთს შეევედრე და თავი დაიბანე გადმოდინარე წყალში. სავსე ტონბა წყალთან არ მიხვიდე, თორემ შეიძლება წყალი იძრეს და ქვეყანა დაიქცეს.

– კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე, – უთხრა ქაჩალმა კაცმა. ჯერ დაიბანა ხელი და პირი, მერე ღმერთს შეევედრა და, ბოლოს, თავი დაიბანა. გადაისვა თავზე ხელი, თმის ნასახიც არ ჩანდა, მეორეჯერ დაიბანა, მაგრამ არაფერი მომხდარა. კიდევ დაიბანა მესამედ, მაგრამ ახლაც არ იძვრის თმა მის მოტვლეპილ თავზე. შემდეგ ადგა და თავი მთლიანად ჩაჰყო წყალში; რამდენ ხანსაც შეეძლო გაძლება, გააჩერა, მაგრამ არც ახლა მომხდარა რამე.

– ასე რატომაც მოხდა, ვიცი, – თქვა ქაჩალმა, – იმ კაცმა მითხრა, ტონბა-ვარჩხილში დაიბანეო, თორემ მისგან რომ გადმოდინდება იმ წყალში დაიბანეო კი არ უთქვამს. რაც მოსახდენია მოხდეს, ტონბა-ვარჩხილში უნდა დავიბანო.

– ნუ იზამ მაგას, წყალი იძვრის და დავილუპებით. თმის ამოყვანას თავი დაანებე, არ ქნა მაგი, თორემ თავის ტყავიც არ გაგყვება აქედან, – უთხრა მეცხვარემ.

– თავი დამანებე, კაცო. ქვეყანას რა დააქცევს. თუ დაიქცევა, დაიქცეს. იგი წავიდა ტონბა-ვარჩხილის ნაპირისაკენ თავის დასაბანად. უშლიდა მეცხვარე, მაგრამ არ დაიჯერა ამ კაცმა. მაშინ მეცხვარე მოუბრუნდა ბიჭებს და უთხრა: «აბა, აყარეთ საქონელი, მალე გარეკეთ».

წაიწია ამ კაცმა ცოტა წინ და დაიწყო თავის ბანა. შუადღეა. ისეთი დღეა, რომ ცაზე მუშტის ოდენა ღრუბელიც არ ჩანს. უეცრად მოვიდა შხეფი, გაჩნდა ღრუბელი და გავარდა მეხი. ჯერ ტკვარცალი დაიწყო მსხვილ-მსხვილმა წვიმამ და ამას მოაყოლა ნიგოზის კაკლის სიმსხო სეტყვა. დაუშინა და დაუშინა. იქცევა ქვეყანა. მეცხვარემ თავზე წამოიხურა ნაბადი და გაიქცა ცხვრების მხარეს. დღევა დაიწყო ტონბა-ვარჩხილმა. მცირე ხანი რომ გავიდა, გაიელვა და დღე ისევ მოწმენდილი გახდა. მეცხვარემ თავის ცხვრებს მიაშურა, ყველა გამწყდარიყო. როცა ისევ მივიდა ტონბა-ვარჩხილთან – იგი დაწყნარებული დახვდა, ხოლო ქაჩალი კაცი წყალს გამოერიყა და ქვასთან ეგდო მკვდარი.

5. ოქროს კრავი და ქურდი

იყო ერთი ძალიან გაწაფული ქურდი. ეს კაცი ისეთი ქურდი ყოფილა, რომ ქვეყანას აქცევდა. რა თქმა უნდა, როგორც სხვას, ამასაც ქურდობა წვრილმანებზე ჰქონდა ნასწავლი. მაგრამ ახლა სხვასაც რომ შეეძლო მოეპარა, იმის მოპარვა მას მიტოვებული ჰქონდა და აღარც კადრულობდა. ასე რომ, თუ ეტყოდი, ქურდი არა ხარო, ეწყინებოდა.

ქურდობა თუ საქებარი რამეა, ამ ხელობაში იგი მართლაც საქებარი იყო. ნამღევს სდებდა, რომ რასაც ეტყოდნენ იმას მოიპარავდა და, მართლაც, იპარავდა. მთელს ქვეყანაზე ჰქონდა ხმა გავარდნილი იმ ზომამდე, რომ ბევრ ისეთ რამეს მიაწერდნენ, რაც, მართლაც, შეუძლებელი იყო ვინმეს გაეკეთებინა. დათვისა და ვეფხვის – ბელებს, გველს – წიწილებს და ჩიტებს – ბარტყებს მოპარავსო. იმასაც ამბობდნენ, რომ, როგორც ზღაპარში იტყვიან, ორბს ფრთასა და ბოლოს მოპარავსო. ყველას უკვირდა და ერთი ამბით ჰყვებოდნენ მის თავგადასავლებს.

თვითონ მას ძალიან უყვარდა ენის სარსალი. თავის ნამოქმედარს ასჯერ გაბერავდა, ყოველთვის ახალ-ახალ რამე საძნელო ქურდობას განიზრახავდა, და ასრულებდა კიდევ, რადგან ამით უნდოდა სახელი გაეთქვა. მაგრამ სახელი მას ისედაც საკმარისი ჰქონდა, არასოდეს სულდგმულ კაცს რომ არ რგებია, ისეთი, მაგრამ მაინც აეკვიტა ერთი აზრი: უნდოდა თავისი სახელი უკვდავეყო. და, ბოლოს, ასეთი რამ გადაწყვიტა: ღმერთებისთვის ოქროს კრავი უნდა მოეპარა. ასეთზე იტყვიან: «კაცი რომ გათამამდება, ხატს ქვების სროლას დაუწყებსო». მაგრამ მას დიდი ჭკუა რომ ჰქონოდა, ქურდიც არ გახდებოდა. თქმა არ უნდა, ასეთი აზრი მას ჩაუნერგა ჯერ მისმა უჭკუობამ, მერე სხვისგან გაზვიადებულმა ქებამ.

მაგრამ ამ საქმეს ერთი სიძნელე ახლდა: სად იყო ოქროს კრავი? სად ბინადრობდა, რომ მოეპარა? მისი ნახვა შეიძლებოდა ცაში კიბულზე, მაგრამ ცაში კიბულზე ღმერთების ტახტი იდგა; ვის შეეძლო გაეხედა იქ ასვლა? აკრძალული იყო, არ შეიძლებოდა, ცოდვა იყო, ხორციელ კაცს იქ არასოდეს გაუბედავს ასვლა. ეს ამბავი ამ კაცს ცოტათი აფიქრიანებდა, მაგრამ ბოლოს თავი დაიმშვიდა, შეიძლება სადმე ვნახო და გადაწყვიტა თავისი განზრახვის შესრულება.

როდესაც ამ აზრს დაადგა, მაშინათვე დაიწყო ენის ტრიალი, ამის ჩადენას ვაპირებო. ბევრმა უთხრა: ამის გაკეთება შეუძლებელიაო; ზოგმა – გაგიჟებულხარ, ახლა დაგიღუპავს თავიო, მაგრამ ზოგი ამბობდა: ეს რას არ გააკეთებს, რადგან თქვა – შეასრულებს კიდევო. ამგვარად, შეუდგა თავისი

ჩანაფიქრის შესრულებას. რადგან არ იცოდა, რამდენ ხანს მოუხდებოდა ძეგნა, მოამზადა დიდძალი საგზალი და წამლებად გაიყოლია ერთი მასავით გაქეპილი კაცი. გავიდა სახლიდან და ცაში კიბულის ახლო-მახლო მთებში დაიწყო კრავის ძეგნა. არ ტოვებს არც ერთ კუთხე-კუნჭულს; მხედველობა ისეთი აქვს, რომ ას ორგიაზე ბუხს დაინახავს. ღამეში თვალი ისე აქვს გაჩვეული, რომ დღესავით ხედავს. დადის დღედაღამ, არა აქვს მოსვენება.

ერთ მთაზე ნახა ისეთი მინდორი, რომ სამოთხის გარდა ასეთი არსად იქნებოდა. ამ მინდორის გარშემო, ცამდე რომ სწვდებოდა ისეთი ხეები იზრდებოდა და თვითონ მინდორი მწვანე მდელოთი და ათასნაირი ყვავილებით ისე იყო აფერადებული, რომ კაცს ყველაფერს დაავიწყებდა. რომ მიმოიხედა, დაინახა, რომ ოქროს კრავი აგერ არ თამაშობს, ამ მინდორზე?!

– ოჰ, კარგადაა საქმე. აქ მოსაპარი არაფერია. დაჭერა უნდა მარტო, – თქვა თან რომ ახლდა იმ კაცმა. ეს კაცი ისეთ ჭეშმარიტებას ამბობდა, რომ ლახვარივით გულზე მოხვდა ქურდს. მან ინანა მისი წამოყვანა, მაგრამ ახლა გვიანდა იყო. სწრაფად მოფიქრებაში ამ ქურდს ვერავინ აჯობებდა. როგორმე უნდა დაერწმუნებინა თავისი თანამგზავრი, რომ კრავის მოპარვისთანა სამნელო არაფერი იყო ქვეყანაზე. ამიტომ უთხრა:

– შენ ისეთი სულელი ხარ, რომ გგონია იმ კრავის მეტი ამ ადგილას არავინაა? მის თამაშს ღმერთები უყურებენ, შე ბრიყვო!

– რასაც ამბობ, მართალია? – ჰკითხა თანამგზავრმა.

– რომ არ იყოს, არც გეტყვოდი, შე სულელო. – მიუგო ქურდმა.

– თუ ასეა, შენი გოგრისთვის სჯობია, თავი დაანებო და ძველებურად უგდო ყური სოფლის ჭარტალს.

– შენ მაცალე ცოტა ხანს. რაც შეეხება სოფელს, ჭარტალის მაგიერ მე იმათ ჩემთვის კომკს დავადგმევიწებ. შემოდი აქეთ, ტყეში. სამნელო საქმეა. კარგად უნდა მოვემზადო, შენ ხმა არ ამოიღო, რაც არ უნდა ნახო. მინდორზე გაუსვლელად მიყურე ჩუმად, სანამ შენთან არ მოვალ. თქვა ეს ქურდმა და ყველაფერი გაიხადა ტანზე. მალამოს მსგავსი რაღაც წამალი ჰქონოდა ტყავში შეკრული. იმით მთელი სხეული დაიზილა. შემდეგ ისეთი ოინები წამოიწყო, უდაბური ტყის გარდა სხვაგან რომ ვერ იზამს კაცი: დაიწყო ხელ-ფეხის ათასნაირად გრეხა, თვალეები გადმოკარკლა, სხეულის ყველა ნაწილს ბწკენდა, ყურები დაიქაჩა, ცხვირი დაიზილა, კბილები ააკრაჭუნა, ენა გარეთ გამოიგდო და მოქაჩა; ხან ჩაცუცქდებოდა, ხან ყირაზე დგებოდა, ხან კოტრიალობდა; სახე ისე დაღრიჯა, რომ ამ კაცს შეეშინდა – გაგიჟდაო და წყლის დასხმა დაუპირა, მაგრამ შეფიქრიანდა, იქნებ ღმერთები უშვრებიან ამასო და ამიტომ ვეღარ გაბედა. შემდეგ ამ ქურდმა გმინვა და ზმული დაიწყო. უეცრად მიწაზე გაიშხლართა, კანკალი, ხელ-ფეხის გრეხა, თვალეების ტრიალი დაიწყო. შემდეგ მთლად გაჩუმდა. ასეთი საცოდაობის შემყურე მისმა ამხანაგმა თქვა: «შენს სახლში მომკვდარიყავი, ასე არ გაწვალდებოდი, შე უბედურო». მაგრამ სანამ ამის თქმას მოასწრებდა, ქურდი, რომელიც არაქათგაცლილი, გამეშებული იდო, წამოვარდა ზეზე, თან წაიღო თოკი, შიშველი დაუყვა ტყის ნაპირს და კრავისკენ წავიდა. როცა მიუახლოვდა, გამოვიდა ტყიდან, მიწაზე გაიშხლართა და ასე დაიწყო ხოხვით მიპარვა. ძალიან ახლოს მივიდა კრავთან; კრავმაც დაინახა იგი, მაგრამ არც კი განძრეულა. მთლად მივიდა ქურდი კრავთან,

მაგრამ კრავი არც ახლა დაფრთხა და სადაც იდგა, იქიდან უყურებდა ამ კაცს. კაცმა ფეხზე წამოუდგომლად მოჰკიდა ხელი კრავს, მაგრამ არც ამაზე დაფეთდა იგი. ქურდის ამხანაგი ხედავს ყველაფერს ამას და ფიქრობს, რომ ეს კაცი ან ქაჯია, ანდა ნამდვილად ეშმაკის სული უდგიაო. შემდეგ ყულფიანი თოკი მოაბა და მოსწია, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მაშინ ადგა, კისერზე დაისვა კრავი, მარჯვენა ხელით წინა ფეხები, ხოლო მარცხენათი უკანა ფეხები დაუჭირა და თავისი ამხანაგისკენ წამოვიდა. მართლაც გასაკვირი იყო ამ ქურდის ამბავი, მაგრამ ახლა მის ამხანაგს უკვირს, თუ რატომაა რომ ეს კაცი ასე გაჭირვებით მოდის, ისე მოდის, თითქოს კრავის მაგივრად ასი ფუთი მოჰქონდეს. რამდენ ნაბიჯსაც გადმოდგამს, სულ უფრო და უფრო დაბლა სწევს თავს და წელში იხრება. აჰა, როგორც იქნა მოაღწია მინდვრის ბოლოს, სადაც მისი თანამგზავრი ელოდებოდა. მაგრამ, ცოტა რომ უკლდა ტყემდე მისვლას, მიწაზე გაიშოტა და გაშეშდა, კრინტიც არ დაუძრავს ისე. ვერ მოითმინა ამხანაგმა და დაუძახა, მაგრამ პასუხად ეს კაცი არაფერს ამბობს. გამოვიდა შეშინებული ამხანაგი და მივიდა ახლოს, მაგრამ სადღაა კრავი. ნახა რომ ამ კაცს ორივე ფეხი გაჭიმული აქვს, ხოლო თავი მიწაზე დანასკვული, ოღონდ კრავის მაგივრად სიპი ქვა უდევს კეფაზე. გადმოვაგდებო, იფიქრა, მაგრამ როგორც კლდეს ვერ უზამს კაცი ძვრას, ისე ვერ უყო ძვრა იმ ქვას.

6. ოქროს კრავი, დადიანი და მისNრის ხელმწიფეიი

ერთხელ მისNრის ხელმწიფეს ჩვენი დადიანისთვის შემოუთვლია: შენ რომ ოქროს კრავი გყოლია, გამომიგზავნე, თორემ, თუ მე მომიწია მანდ მოსვლა, იმ კრავს ყელზე ჩამოგკიდებ და ისე წამოვიყვანო.

დადიანს დიდი პატივი უცია გამოგზავნილი კაცებისთვის, ბევრი საჩუქარი უბოძებია და ჩვენი კაცები გაუყოლებია პასუხის გასაცემად.

მისNრის ხელმწიფემ ჯერ თავის კაცებს გამოჰკითხა, თუ როგორი ქვეყანაა, როგორ მიიღეს და პასუხად რა შემოუთვალეს. მათ ასჯერ შელამაზებულად და გაზვიადებულად უამბეს, თუ რა ნახეს და როგორ მოექცნენ. თქვეს, რომ დადიანს ჩვენთვის პასუხი არ უთქვამს, მაგრამ ხალხი გამოგვაყოლეს, რომლებსაც, თქმა არ უნდა, დადიანის სიტყვა მოაქვთო.

ხელმწიფემ მოაყვანინა დადიანის მიერ გამოგზავნილი კაცები. შემოვიდა ხუთი კაცი, რომლებიც ძალიან ზრდილობიანად, როგორც ხელმწიფეს შეეფერებოდა, ისე მიესალმნენ. ამ ხალხს ისე მდიდრულად ეცვა, ისეთი კარგი შესახედავნი იყვნენ და ისეთი მიმოხვრა და მოქცევა ჰქონდათ, რომ ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა.

– აბა, ჩემო კარგებო, მითხარით, რა შემომითვალა თქვენმა ხელმწიფემ? მათ არაფერი თქვეს. ხუთივე რიგში დადგა. პირველი რომ იდგა, იმან გადასცა ერთი კვერცხი. ამ კვერცხის ერთ მხარეზე ეწერა «შენ», ხოლო მეორეზე – «მე».

– რა არის ეს? – ჰკითხა ხელმწიფემ.

– ისე არ მენახოს თქვენი წყრომა, როგორც მე ამის რამე ვიცოდე. ჩემმა ხელმწიფემ მიბრძანა ეს კვერცხი თქვენთვის გადმომეცა. როცა ვკითხე, რა ვუთხრა-მეთქი, მიპასუხა: «არაა შენი საქმე ხელმწიფესთან ლაპარაკი. მე პასუხს ამ კვერცხით ვუთვლი. ის დიდი ხელმწიფეა, ჰკვიანი და რასაც

ვუთვლი, შენს დაუხმარებლად, ამ კვერცხით მიხვდება,» – უპასუხა პირველმა და ყველას უკან დადგა. ახლა პირველი გახდა ის კაცი, რომელიც მეორე იდგა. ამან გადასცა გალიაში გამოკეტილი ვეფხვი. ამ გალიას კარი ჰქონდა, მაგრამ იქ სადაც კარი უნდა გაღებულიყო, მაგრად იყო დაჭედილი და შეკრული და გარედან უზარმაზარი ბოქლომი ედო. გალიას ეწერა: «შენ» და «მე».

– გასაღები სადაა? – ჰკითხა ხელმწიფემ.

– ჩემთვის გასაღები არ მოუციათ. მხოლოდ მიბრძანეს, ეს თქვენთვის გადმომეცა, მეტი არაფერი ვიცი, – თქვა ეს ამ კაცმა და თავისი ამხანაგების უკან დადგა. ყველაზე წინ აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც უწინ მესამე იყო. ამან გადასცა ერთი ცხვარი. ცხვარს რქებზე ეწერა: «შენ» და «მე».

– ჩემმა ხელმწიფემ მიბრძანა, ეს ცხვარი თქვენთვის გადმომეცა. ამის მეტი მე არც არაფერი ვიცი და ვერც ვერაფერს ვიტყვი, ისევე, როგორც ჩემმა ამხანაგებმა არ იცოდნენ და არაფერი უთქვამთ. წავიდა ეს კაცი და სულ ბოლოს დადგა. ახლა წინ აღმოჩნდა ის, ვინც თავიდან მეოთხე იყო. მან გადასცა პატარა კოლოფი, რომელშიც ჭიაყელა იყო მოთავსებული. ორივე მხარეზე ფრთა ედო. ამასაც ეწერა: «შენ» და «მე». ახლა ყველაზე წინ აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც უწინ მეხუთე იყო. ამან გადასცა ერთი სატევარი. ამ სატევარს ორივე მხარეზე ეწერა: «შენ» და «მე». მანაც უთხრა, არაფერი ვიციო. შემდეგ ხუთივე ერთმანეთის გვერდით დადგნენ და დიდი მოწიწებით თაყვანი სცეს ხელმწიფეს.

– ერთს გკითხავთ, ჩემო კეთილო კაცებო, – თქვა ხელმწიფემ, – ვფიქრობ, ეს მაინც გეცოდინებათ: რატომ იყო, რომ თქვენ ერთიმეორის უკან დადექით?

– იმდენი თქვენი წყრომა არ გვენახოს, ჩვენ რაიმე ვიცოდეთ. ჩვენმა ბატონმა ხელმწიფემ გვიბრძანა, ასე მოვეცეულიყავით და ჩვენც მისი ბრძანება ისე შევასრულეთ, როგორც შევძელით.

ხელმწიფე ძალზე გაოცდა და ბრძანა, ეს ხალხი წაიყვანეთ და კარგი პატივი ეცითო. შემდეგ ვეზირებს მიუბრუნდა და უთხრა: ამიხსენით რას ნიშნავსო ყოველივე ეს. ვეზირებმა ათასნაირი აზრი გამოთქვეს, ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და არაფერი გამოვიდა. ხელმწიფემ ბრძანა: სამ დღეს გაძლევთ მოსაფიქრებლად და ასახსნელად. თუ ვერ ამოხსენით, ვეზირებად არ ვარგებულხართ და ყველას თავებს დაგაჭრითო. შემინებული ვეზირები დაიშალნენ.

ამ დროს ცხოვრობდა ერთი სიბერისაგან ორად მოხრილი ვეზირი. იგი ამ ხელმწიფის მამისა და პაპის ნავეზირალი იყო და მასაც ემსახურებოდა, მაგრამ რაც უფრო მოუკლო ამ ვეზირმა ხოტბასა და პირფერობას, იმდენად ახალმა ხელმწიფემ მის მიმართ წყალობას უკლო. ბოლოს იგი მთლად ჩამოშორდა ვეზირობას და იყო თავისთვის, ბერივით. მთელი სახელმწიფოდან, ნაცნობი თუ უცნობი, მასთან მოდიოდა ჭკუის საკითხავად და რჩევის მისაღებად. ხალხმა იცოდა, თუ რატომ ჩამოშორდა იგი სასახლეს და ამიტომ კიდევ უფრო შეიყვარა.

ვეზირებს სამი დღე აქვთ ვადა. დღე და ღამე ფუსფუსებენ და წრიალებენ. ხან ცას უყურებენ, ხან ზღვას, ხან მიწას და ხან მთას. ღამით ვარსკვლავებს ბევრი უცქირეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თითო-თითოდ ყველა მივიდა ამ ძველ ვეზირთან, უნდათ რაიმე გაიგონ იმისგან, მაგრამ ყველას ერთნაირ

პასუხს აძლევს: ასეთი სახელმწიფო საქმე რომ მცოდნოდა, ახლაც ვეზირი ვიქნებოდი. არ ვიცი, შვილო, მაგრამ დადიანს და მის ქვეყანას ვიცნობ. იოლი არაა მათთან საქმის დაჭერაო.

გაუხდა ხალხს ეს ამბავი თავის სამტვრევად. ყველა ამ ვეზირს ახსენებდა. რა თქმა უნდა, ხელმწიფის ყურამდევ მივიდა ყველაფერი, მაგრამ იგი ჯერ თავის ვეზირებს უცდიდა.

ვეზირები ხედავენ, რომ არაფერი გამოდის. ყველანი ერთად შეიყარნენ და პირი შეკრეს, რომ ყველა ერთ აზრს დავადგეთ, ერთმანეთს ნუ გავამტყუნებთ და მაშინ ხელმწიფეც დაიჯერებსო. ხელმწიფემ ესეც გაიგო და ისიც, რომ ისინი ყველანი მისულიყვნენ ამ ძველ ვეზირთან რჩევისათვის. ხელმწიფე თვითონ მივიდა ჩუმად ამ ვეზირთან. მან უამბო ყველაფერი თავიდან ბოლომდე და სთხოვა დანიშნულ დროს მისულიყო, შეემოწმებინა ვეზირების პასუხი და თავისი აზრი ეთქვა, რათა ტყუილ-უბრალოდ არ დაეჭრა ვეზირებისათვის თავები.

– კი, ბატონო, კი, მაგრამ ჩემი აზრი რომ სხვა ვეზირების აზრს არ დაემთხვეს, მე მომჭრი თავს, თუ იმათ?

– შენ რატომ მოგჭრი თავს? შენ მინდიხარ ჩემი მოქმედების სისწორის შესამოწმებლად.

– კი ბატონო, მაგრამ ამბობენ, მართლის მოქმედ კაცს შეკაზმული ცხენი უნდა ჰყავდესო. როგორც კი სიმართლეს იტყვის, იმ წამსვე ზედ მოევლოს და ბუზივით დაიკარგოსო, მე ცხენზე შეხტომა კი არა, ლოგინზე ძლივს ავფოფხდები ხოლმე.

– მაშ, შენ გცოდნია, თუ რას ნიშნავს დადიანის გამოგზავნილი.

– შეიძლება, მაგრამ ამაღამ კიდევ ვიფიქრებ და იმას ვიტყვი, რაც სათქმელია.

მეორე დღეს, ზუსტად დანიშნულ დროს, შეგროვდნენ ვეზირები და ყველა სახელმწიფო კაცები. დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მოვიდა ეს ძველი ვეზირიც და ხალხში დაჯდა. ხელმწიფემ ბრძანა: – აბა, ვეზირებო, მითხარით, როგორ ხსნით დადიანის შემონათვალს?

გამოვიდა ერთი ვეზირი და როგორც მოილაპარაკეს ისე მოახსენა: – კვერცხით იგი ამბობს: როგორც ეს კვერცხი უღონოა, მეც თქვენს წინაშე უღონო ვარ. როგორც თქვენ შეგიძლიათ ამ კვერცხს მოექცეთ, ისევე შეგიძლიათ მეც მომექცეთ; ვეფხვითა და გალიით იგი ამბობს, რომ თქვენი ძალით და დიდებით მე ისე ვარ დაჭერილი და დამორჩილებული, როგორც ვეფხვიო; ცხვრით იგი ამბობს, რომ როგორც ეს ცხვარია უწყინარი და მორჩილი, ჩვენც თქვენთან ასეთივე მორჩილი ვიქნებით და შეგიძლიათ ასე გამოგვიყენოთო; ჭიაცელათი იგი ამბობს, რომ ჩვენც ასეთივე მიწაზე მხოხავები ვართო, თქვენთან შედარებით; სატევრით ამბობს, რომ თქვენი ძალა ყველაფერში და ყველგან მოგვერევაო; ერთმანეთის უკან დგომით იმას გამოხატავენ, რომ თქვენს წინაშე ისინი ყველანი ერთნაირები არიან და, რომ სითამამეს არასოდეს გამოიჩინენ.

– ვეზირებო, ყველანი ეთანხმებით იმას, რაც ამ ვეზირმა თქვა?

– დიახ, ჩვენ ყველანი ვეთანხმებით მის ნათქვამს, – თქვეს დანარჩენმა ვეზირებმა. ხელმწიფეს ეს გაეხარდა, რადგან თუ მართლა ასე იყო, მისი ქება გამოდიოდა.

– ვინმეს აქვს სათქმელი? შეიძლება ვინმეს სხვანაირად გაქვთ გაგებული. მომახსენეთ თქვენი აზრი.

– თუ ნებას მომცემთ, მე მაქვს სათქმელი, – თქვა ამ ძველმა ვეზირმა.

– აბა, თქვი, შენ როგორ არ მოგცემ ნებას?

– აქ მოიყვანეთ და დააყენეთ დადიანის მიერ გამოგზავნილი კაცები. როცა ისინი მოვიდნენ და ვეზირის წინ დადგნენ, მან ჰკითხა:

– როგორაა თქვენი მამაცი, კეთილი და ჭკვიანი ხელმწიფე?

– თქვენი სიკეთე, კეთილი გული, კარგად ყოფნა, მუდამ სიბრძნის მომატება და კურთხევა ინებოს ღმერთმა. კარგადაა. ნადირობა მიატოვა, მაგრამ რაიმე მავნე ნადირი ცხვარს ან სხვა საქონელს რომ დაესხას თავს, ან ხალხის შემაწუხებელი სხვა რამე რომ გამოჩნდეს, იგი ხალხის წინ დადგება; წაუძღვება და ას ახალგაზრდას აჯობებს. ჯერჯერობით ისარს თავს თვითონ უკეთებს, ფრთას მიამაგრებს, ხმალ-სატევარს თვითონ ლესავს, მშვილდის მოზიდვის ძალა აქვს, შუბს, ხმალს და სატევარს ხმარობს, მგელი, დათვი და ვეფხვი თუ შეებრძოლა, უკანდახევა არ იცის და ჯიქურ შეუტევს.

– მომწონს თქვენი პასუხი. თქვენს ხელმწიფეს, როგორც მას შემშვენოდა, ისეთი ფრთხილი, ჭკვიანური, მაგრამ ყველაზე უფრო, ძლიერი პასუხი მოუცია ჩვენი კურთხეული ხელმწიფისათვის.

– ჩვენში ხალხი ამბობს, «ქოთნის ამბავი კოვზმა იცისო». ეს იმიტომ უნდა იყოს ნათქვამი, რომ კოვზი ქოთნის ძირამდე წვდება. რაც შეეხება ხელმწიფის გულსა და აზრს, ეს უძირო ზღვაა, უსაზღვრო ცაა, ჩვენ, უბრალო მონა-მსახურებმა რა უნდა ვიცოდეთ, ზღვაში ან ცაში რა ამბავი ტრიალებს.

– რა იცით ოქროს კრავის შესახებ?

– ჩვენ იმდენი ვიცით იმის შესახებ, რამდენიც ჩვენმა ხალხმა, ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ ერთად იციან. შევედრებივართ, გვინატრია, მაგრამ თვალით არასოდეს გვინახავს. ვინც ღირსეულია, ის ნახავს, როდესაც იგი მზეს ეთამაშება, განთიადზე. დანარჩენი არაფერი ვიცით.

– ჰო, მესმის თქვენი ენა; თქვენ კარგად ხართ აღზრდილი, ფრთხილი და ზომიერი ხართ, როგორც თქვენი ხელმწიფე. თქვენი ხელმწიფე და თქვენ ძველ ენაზე ლაპარაკობთ. მე, როგორც ძველ კაცს, ასე მაქვს თქვენი ენა გაგებული; მოახსენეთ თქვენს ხელმწიფეს, რაც ჭეშმარიტად იქნება ახსნილი, არ იუარებს და არ გადაასხვავებებს, მაგრამ თუ არასწორად იქნა ახსნილი, იგი შეასწორებს და გასაგებს გახდის. კვერცხით, რომელსაც «შენ» და «მე» აწერია, იგი გვეუბნება: «შენ და მე ორივე ხელმწიფენი ვართ; შენ ისევე არ შეგიძლია შენს თავს შეეხო, როგორც არ შეგიძლია მე შემეხო; კვერცხი თავის კანონს ემორჩილება, იგი ამ კანონს არ გადაუხვევს არც შენი და არც ჩემი ბრძანებით; არ უნდა შევეხოთ მას, რადგან შეიძლება დაიკარგოს მისი უნარი. ვეფხვით იგი გვეუბნება: ვეფხვი ლამაზია; შეიძლება მე და შენ გვინდოდეს მასთან თამაში, მაგრამ საშიში მხეცია; მე და შენ რამდენადაც არ უნდა გვიყვარდეს იგი, თავისუფლება არ უნდა მივცეთ, რადგან შეიძლება ის დაგლიჯოს, ვინც გაათავისუფლებს და შემდეგ სხვასაც ავნოს, ერთხელ თუ კარი გაუღე, შემდეგ, თქმა არ უნდა, ზიანს მოიტანს. ცხვართ ის გვეუბნება: ვიყოთ ცხვარივით უწყინარი და მშვიდი, არ მოგვაკლდება ხორცი, ყველი, რძე, მაწონი და ტანისამოსი. ჭიაყელათი და ფრთით იგი გვეუბნება, რომ მე და შენ მიწაზე მხოხავები ვართ და მაღლა, ცაში ფრენა და იქაური ამბის გაგება არაა ჩვენი საქმეო. სატევრით გვეუბნება, რომ სატევარი იქითაც ჭრის და აქეთაც, პირი ერთნაირი აქვს, იქითაც შეუძლია სისხლი დაღვაროს და აქეთაც. თავისი კაცებისათვის

ერთიმეორის უკან დგომა რომ დაუვალეზია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვნად მიაჩნია და ერთნაირ ყურადღებას ანიჭებს.

ხელმწიფე მოუბრუნდა დანარჩენ ვეზირებს და ჰკითხა: – თქვენი ნათქვამი რომ სულ არაა ახლოს ამის ნათქვამთან, რომელია მართალი?

– მართალია რასაც ჩვენი მოხუცებული ვეზირი ამბობს. თავიდანვე ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდით.

– ჰო, თქვენ გინდათ თავი კისერზე შეგრჩეთ, მაგრამ ჯერ ვნახოთ. ახლა ეს მითხარით: რა პასუხი გავცეთ?

– აქ მხოლოდ ერთი პასუხია გასაცემი. პასუხი უნდა აგოს, რადგან თავისი თავი თქვენ ტოლად მიაჩნია, პასუხი უნდა აგოს რჩევის მოცემისა და ჭკულის სწავლებისათვის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თქვენ ბრძანეთ სიტყვა და თქვენი სიტყვა უნდა შესრულდეს.

– ამაში სწორი ხართ, მეც ასე ვფიქრობდი, – თქვა ხელმწიფემ. – თქვენ როგორ იტყვით, ძვირფასო? – ჰკითხა შემდეგ მოხუცებულ ვეზირს ხელმწიფემ.

– მე ვერ დაგეთანხმებით, რადგან თქვენ დაავალეთ და თხოულობთ ისეთ რამეს, რაც მას არ შეუძლია გააკეთოს, და არც თქვენ შეგიძლიათ. ოქროს კრავი არც დადიანის ფარაში ურევია და არც სხვა ვინმესაში. ის ღმერთია. ამ საქმეში არ უნდა ჩაერიოს კაცი. თავიდანვე ეშმაკს უდევს რაღაცა წილი ამაში.

– ვნახოთ. მას რაც ღმერთად მიაჩნია, ის ჩემთვის ღმერთი არ არის. ჯარი შეკრიბეთ! იარაღის ტარება ვისაც შეუძლია, არცერთი კაცი არ დარჩეს სადმე!

დადიანი ძალიან შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა. მტერს დახვედრა უნდოდა, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა დადიანს, რომ მის ერთ კაცზე ათი მისნრელი მოდიოდა. ეს ადარდებდა მას.

წამოვიდა მისნრის სახელმწიფოს ჯარი. მას არც მთა იტევდა და არც ბარი. აქედან შეიკრიბა დადიანის ჯარი, რომელსაც იგი თვითონ წაუძღვა. მისნრის ჯარს მისნრის ხელმწიფე მოუძღოდა.

დადიანმა გახიზნა საზღვრის ახლომახლო მცხოვრებნი და ცოტათი შემოუშვა მტერი თავის სახელმწიფოში. დადიანის ჯარი დაბანაკდა ერთ ადგილას. მოუახლოვდა მისნრის ჯარი. ორივე ჯარი პირისპირ დადგა სათოფე მანძილზე. მაშინ წესად ჰქონდათ: ჯერ ჯარის მეთაურები უნდა მოლაპარაკებულიყვნენ. თუ ვერ შეთანხმდებოდნენ, მხოლოდ ეს ორი იბრძოლებდა. ვინც აჯობებდა, ის იყო გამარჯვებული და მაშინ ჯარი არ იბრძოლებდა. მაგრამ უფრო ხშირად ჯარს უნდა ეომა.

იმ დამეს დადიანი თავის კარავში იყო და ღმერთს ეხვეწებოდა. მეორე დილით ალიონამდე ადგა და გამოეწყო მისნრის ხელმწიფისა და მისი ჯარის შესახვედრად. დადიანის ხალხი მზადაა: ყველა ბრძანებას ელის. კარავიდან რომ გამოვიდა და, აჰა, ჯარს უნდა გაუძღვეს, ამ დროს, უეცრად, გაჩნდა ოქროს კრავი დადიანის წინაშე. დადიანმა მუხლი მოიდრიკა და მთელი ჯარიც მიწაზე დაემხო თავყვანის საცემად. ლოცვა რომ დაამთავრეს, წამოდგნენ, მაგრამ არ იციან რა ქნან. იფიქრეს, რადგან კრავი ასეთ დროს გამოჩნდა, თქმა არ უნდა, მას სურს, რომ იგი მისნრის ხელმწიფეს მისცენ. ჩვენ ხელს ვერ შევახებთ დასაჭერად. წავიდეთ და თვითონ რასაც იზამს, მისი საქმეაო. დადიანი ადგილიდან რომ

დაიძრა, კრავი წინ წაუძღვა. იქიდან მისNრის ხელმწიფე მოდის. ღვთისაგან დახმარება რომ ნახეს, დადიანმა და მისმა ჯარმა ისეთი ძალის მომატება იგრძნეს და ისე გათამამდნენ, რომ ათ კაცს კი არა, ასსაც ერთი შეებმებოდა. სულ სხვანაირი იყო მისNრის ხელმწიფისა და მისი ჯარისათვის ოქროს კრავი. როგორც კი ხელმწიფემ დაინახა იგი, იფიქრა, დადიანი დამმორჩილებია, კრავი მოჰყავს და პატიებას მთხოვსო. მაგრამ დადიანი ისე რიხიანადაა, რომ თაყვანისცემა კი არა, ათ ასეთს შეებრძოლება. მისNრის ხელმწიფემ იგრძნო რომ ძალა დააკლდა. კიდევ უარესი დაემართა მის ჯარს: ზოგი მეფესავით დასუსტდა, ზოგს მუცელი გაებერა, ზოგს ნაწლავი დაეწვა, ბევრმა თავის დამაგრება ვერ შეძლო კისერზე და აუყანყალდა, ზოგს ენა დაება, ზოგს ფხანა აუტყდა. უმრავლესობას თვალი აერია. ვინც კრავს შეხედავდა, იმას ან ერთი, ან მეორე უბედურება ემართებოდა. აირ-დაირია მტრის ჯარი, თხილის ძველ ნაღობარს დაემსგავსა.

ხელმწიფემ უთხრა დადიანს: – რატომაა, რომ არ დაიჩოქებ, თაყვანს არ მცემ და პატიებას არ მთხოვ?

– როცა ორი ჯარი ერთმანეთს უპირისპირდება, მაშინ ვინ უნდა დაიჩოქოს, ამას იარაღი წყვეტს. აბა, ამოიღე ხმალი.

ამან რომ ხმალი ამოიღო, სხვებმაც იშიშვლეს ხმლები და ორივე ჯარი შეება ერთმანეთს. მაგრამ დადიანის ჯარი ისეთი გამოდგა მათთვის, ქორი რომ იქნება მწყერისთვის, ანდა ლომი – კურდღლისთვის. დაუწყეს მისNრის ჯარს სრვა. დევნისას ჩვენი ჯარი შევიდა მისNრის სახელმწიფოში. როგორც კი დადიანის ქვეყანას გასცდა ჯარი, კრავი გაუჩინარდა, დადიანმა მისNრის სახელმწიფოს დიდი ხარკო დაადო.

7. ოქროს კრავი და ავადმყოფი

მართალია, ძველად ომი რომ ატყდებოდა, მთელი სიმძიმე, პირველ რიგში, დიდი ხალხის შვილებს აწვებოდა, მაგრამ ომი ყოველთვის ხომ არ იყო და მთელს დროს, ძველად, დიდგვაროვანთა შვილები უქმად ატარებდნენ. ჯირითით, ნადირობით, თამაშით, არშიყოობით და ამისთანებით ირთობდნენ თავს. ასეთ ახალგაზრდებს ეკუთვნოდა ერთი ძალიან დიდი კაცის შვილი. შესახედავად ამას კაცის შვილი არ სჯობდა, მაგრამ გართობის მეტს არას აკეთებდა და არც იცოდა.

ამ ვაჟს შეუყვარდა ერთი მასავით დიდებულის შვილი. გოგომ იცოდა ამ ვაჟის ხასიათი, არ უნდოდა, პატრონიც უარზე იყო, მაგრამ ამ ვაჟმა, რომელსაც სილამაზით ვერავინ შეედრებოდა, თავისი ქცევით ქალს თავი შეაყვარა. ამ გოგოსავით ლამაზი, ყოველნაირად კარგი, ყველას საფიცარი და საყვარელი ამ სახელმწიფოში არავინ იყო. რამდენადაც ამ ვაჟის უწესობა ყველას პირზე ეკერა, ეს ქალი ყველას საქებარი გახლდათ. ისინი ხასიათით ისე არ გავდნენ ერთმანეთს, როგორც ზღვა და მთა. მაგრამ სიყვარულმა მაინც თავისი ქნა და ქალი ამ ვაჟს გაჰყვა.

ერთხანს ცოლ-ქმარი, როგორც შეყვარებულ ცოლსა და ქმარს შვენოდა, ისე ცხოვრობდა, მაგრამ მალე ჩვეულებამ მაინც თავისი ქნა. ვაჟმა დაივიწყა, რომ ის ცოლიანი იყო და როგორც ძველად დადიოდა

თავქარიანად, ისე დაიწყო სიარული სხვა გოგოებთან და ქალებთან. ცოლს ყოველდღე მოსდიოდა ამბავი, შეწუხდა ამაზე ქალი. წუხილი მალე ტირილში გადავიდა, ტირილი – სევდაში, სანთელივით დღედაღამ დნობა დაიწყო გოგომ, მაგრამ რა ექნა? იმ დროს ქმარს დიდი უფლება ჰქონდა ცოლზე.

როგორც გოგოს ახლობლები, ისე ყველა წუხდა და ტიროდა ამ ამბავს, მაგრამ ვის რა უნდა ექნა? გოგო ოდნავ მაინც რომ ვაჟის ხასიათისა ყოფილიყო, მაშინ ამ ზომით არ იდარდებდა. მაგრამ ქალი ციდან ჩამოსული ანგელოზივით წესიერი იყო. მუდმივმა სევდამ და ტირილმა ქალი დააავადა. ბოლოს ვაჟი დაუახლოვდა ერთ გოგოს, რომელიც მასავით თავქარიანი იყო და ხასიათს ნამდვილად შეუწყობდა. გავრცელდა ხმა, რომ ვაჟს ეს გოგო უნდა შეერთო, როდესაც ცოლი მოუკვდებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ეს ბიჭი არც ერთ მზაკვარს და ჯადოქარს არ ტოვებდა, რათა მისი ცოლი როგორმე მალე მომკვდარიყო მზაკვრობით ან სხვა ჯადოსნური მოქმედებით.

ასეთი საშინელი ამბავი რომ გაიგო გოგომ, სიკვდილის პირას მივიდა, არც სვამდა, არც ჭამდა. დღევანდელზე უარესად ხვალაა. მოდის დღე და ღამე მიღეთის ხალხი, ყველა ცხელი ცრემლით იმდულრება, მაგრამ რა ქნან? ეს არაა ისეთი ავადმყოფობა, რომლის წამლობა შეიძლებოდეს. ბევრს ეუბნებიან ბიჭს, ცდილობენ ჩააგონონ, ეჩიჩინებიან, მაგრამ რა გაუვათ ასეთ შეუსმენელთან და ჯიუტთან? ბიჭს ერთი სული აქვს, როდის მოკვდება მისი ცოლი, რომ მალე მოიყვანოს ახალი შეყვარებული.

როგორც ქალის ახლობელნი, ისე ყველანი ცდილობენ დაეხმარონ რამეთი. დღედაღამ ლოცულობენ და ღმერთს ეხვეწებიან. იმ დროს მკითხაობას, რა თქმა უნდა, დიდი გასავალი ჰქონდა. როცა მკითხავს აკითხვინეს, მას უთქვამს, რომ სამი ღმერთისთვის თითო კრავი შეეწირათ და შეიძლებოდა გოგოს სევდა გადაეყრდა. იმ დროს კრავის შოვნას რა უნდოდა. ამოურჩევიათ უკეთესი კრავები და მიუყვანიათ გოგოსთან. შემდეგ უნდა დაეკლათ. როდესაც ავადმყოფმა ნახა კრავები, გაუხარდა და წამოჯდომა და კრავებთან თამაში მოინდომა. შემდეგ იკითხა, თუ რისთვის უნდოდათ ეს კრავები. უთხრეს, რომ ღვთისთვის შესაწირავად იყვნენ მოყვანილი. – არა, ამათ კაცი დანას როგორ გამოუსვამს ყელში? თუ ჩემი სიკვდილი გინდათ, დაჰკალით, მორჩენა თუ გინდათ, ხანდახან მაჩვენეთო. დაუჯერეს გოგოს. თქვეს: რადგან ნახვა გაუხარდა, კიდევ გაუხარდებაო.

ქალი მთლად სიკვდილის პირას მივიდა – საცაა სული უნდა ამოხდეს. მოდის ქალი და კაცი, მოსვენება არ არის დღე და ღამე, ყველა ცხელი ცრემლით ტირის. ცხენი რომ გაჭენდება, ისეთი დარბაზი სავსეა ხალხით. ამ ვაჟს რომ საცოლედ მიაჩნია, ის ქალიც აქ გამოპრანჭულა. ყოველ წუთს ელიან სულის ამოხდომას. ყველა ხმაგაკმენდილია. ყველას შეუჩერებლად ჩამოსდის ცრემლი. უეცრად ისეთმა ხმამ შესძრა ჰაერი, მიწაზე მავალ კაცს რომ არასოდეს გაუგონია. მომაკვდავმა ამოიხვნეშა და გაიღიმა. ხმა გაძლიერდა, მაგრამ ასეთი ტკბილი ხმა ვისი იყო და საიდან მოდიოდა, კაცმა არ იცოდა. ყველა იმას ფიქრობდა, რომ ქალი ახლა მოკვდება და ღმერთები მის სულს გალობით წაიყვანენ ცაზეო. უცებ ერთმა მოხუცებულმა კაცმა მბრძანებელი ხმით შესძახა: -დაიჩოქეთ! ოქროს კრავი მოდის. კრავი გაჩნდა სახლის კართან, ჯიქურ ავადმყოფთან მივიდა, დადგა უკანა ფეხებზე და წინა ფეხები ავადმყოფის საბანზე დადო. ქალი წამოჯდა. კრავი შემობრუნდა და კარისკენ წავიდა. – რა ლამაზია, ჩემთანაც მოდი, შენი ჭირიმე, – თქვა კაცს საცოლედ რომ მიაჩნდა, იმ გოგომ და კრავს დაჭერა

მოუნდომა. უნდოდა ჩაეხუტებინა, მაგრამ კრავმა განი უქნა და არ გაიკარა. – მე დავიჭერ, ჭირიმე, – თქვა ვაჟმა და წინ გადაუდგა კრავს. კრავი გაჩერდა. ვაჟმა ხელი მოჰკიდა. როდესაც ქალმაც ხელი მოჰკიდა, ორივე კისერმოტეხილებივით მიწაზე დაეცა. კართან რომ მივიდა, კრავი გაუჩინარდა. მომაკვდავი გოგო და ვაჟი ოთახიდან გაიყვანეს. ვაჟის ცოლი ისე წამოდგა, თითქოს არასოდეს ყოფილიყო ავად და არც რამე გაჭირვება გადაეტანოს.

8. ოქროს კრავი, «ტყაში მათა» და ურუმის ხელმწიფის შვილი

არამის ხელმწიფეს მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყოლია. მისი სილამაზე მთელ ქვეყანაზე იყო განთქმული. მეზობელი და შორეული ხელმწიფეების შვილები ძალიან ცდილობდნენ ეთხოვათ ეს ქალი, მაგრამ არცერთს არ მიჰყვებოდა. ნათქვამი ჰქონდა, ჩემი ქმარი ის იქნება, ვინც ოქროს კრავს მომიყვანსო. ქალის მამას ამის მეტი შვილი არ ჰყავდა და თავისი სახელმწიფო მისთვის უნდა მიეცა.

ეს გოგო, რა თქმა უნდა, ყველა ხელმწიფის შვილს უყვარდა, მაგრამ ყველაზე მეტად ურუმის ხელმწიფის შვილი შესტროფდა. იმასაც, ხელმწიფის ქალისა არ იყოს, მთელს ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავდა სილამაზით და, თანაც, ერთობ მამაცი იყო. ბიჭს ხომ ძალიან უყვარდა, მაგრამ თურმე გოგოსაც ისე შევარდნოდა გული ბიჭზე, რომ საკუთარი სიტყვის გატეხვა რომ შეძლებოდა, აუცილებლად გაჰყვებოდა. მაგრამ ადრე ნათქვამი სიტყვის გატეხვა არ შეიძლებოდა, რადგან ეს სიტყვა უკვე მთელ ქვეყანას მოსდებოდა.

ვაჟმა იცოდა, რომ ამ ქალიშვილის გარეშე ვერ გაძლებდა და გადაწყვიტა, წასულიყო ოქროს კრავის სამეზნელად. მივიდა ქალთან, თავისი გადაწყვეტილება ამცნო და პირობა დაადებინა, თუ კრავს მომიყვან, ცოლად გამოგყვებიო. გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ვაჟი ოქროს კრავის სამეზნელად წავიდა. წაიღო ფული, წაიყვანა ბევრი ხალხი და გაემართა დადიანის ქვეყნისაკენ, სადაც ოქროს კრავი ეგულებოდა.

დადიანის ქვეყანაში რომ მივიდა და ოქროს კრავის ამბავი იკითხა, ვაჟი დიდ საგონებელში ჩავარდა. უთხრეს, რომ ოქროს კრავი მარტო ერთია და ისიც ღმერთია. იგი არც დადიანის, არც სხვის ფარაში არ ურევიაო. მის ქვეყანაში კი ეს ამბავი სულ სხვანაირად მიუტანიათ. ერთი რამ კი რჩებოდა თავის სანუგეშებლად: არავის უთქვამს, ოქროს კრავი არ არსებობსო. ბოლოს ურუმის ხელმწიფის შვილი შეეცადა შეხვედროდა ისეთ კაცს, რომელიც უკეთესად ეტყოდა კრავის ამბავს და სწორ გზაზე დააყენებდა. მაგრამ ასეთი კაცი ვერსად იპოვა. ყველა ერთნაირად ამბობდა, კრავი ნამდვილად არსებობს და მისი ნახვა შეიძლება მხოლოდ ცაში კიბულის ახლომახლო, ანდა სხვა მთებსა და მაღალმთიან ადგილებშიო. ვინც ღირსი იყო, შეეძლო დაენახა მზის ამოსვლისას ოქროს კრავი როგორ ეთამაშებოდა მზეს.

ამ ვაჟის გულში სატრფოს ისეთი ცეცხლი დაენტო, რომ იმედი არ გადაიწყვიტა, სიმდიდრეს არ ზოგავდა, დღე და ღამ დაუზარებლად დადიოდა, სიცივესა და ყინვას არ ეპუებოდა. ბოლოს, არაფერი რომ არ გამოვიდა, დაიწყო ლაკადებსა და მთებში სიარული. დადიოდა დღისით, ღამით. სადაც დაულამდებოდა, ბინას იქ იდებდა. დღე დღეს მიჰყვებოდა, კვირა – კვირას, თვე – თვეს, მაგრამ

ვერაფერს გახდა. გული მაინც არ გაიტეხა. თუ ვერ იპოვის, უნდა დაიღუპოს, რომ დაბრუნდეს, რისთვის დაბრუნდეს?

ერთხელ ისე მოხდა, რომ მხლებლებს დაშორდა და ერთ უდაბურ ტყეში დაუღამდა. გავიდა ისეთ მინდორზე, რომლის უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავდა. მეტი საშველი არ იყო, ის ღამე იქ უნდა გაეთია. მთლად რომ ბნელდებოდა, იმ დროს ნახა, რომ ტყის ერთი მხარე რაღაცამ გაანათა. როცა დააკვირდა, დაინახა, რომ ერთი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ისეთი ლამაზი ქალიშვილი მოდის, რომ შეშინდა. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ადამიანის შვილი ასეთი ლამაზი იქნებოდა. ეს გოგო ისეთ სინათლეს ჰგუნდა ირგვლივ, რომ ნემსი რომ დაგეგდო, იპოვიდი. გოგო პირდაპირ ბიჭისკენ წამოვიდა. ვაჟი გაოგნებული მისჩერებოდა ქალს და ხმის ამოდებას ვერ ბედავდა, რადგან ხორციელად არ მიაჩნდა. ქალი მივიდა ვაჟთან და ჰკითხა:

– რა გინდა, ბიჭო, აქ?

– ჯერ ეს მითხარი, ბატონო, – მიუგო ვაჟმა, – ადამიანი ხართ თუ სხვა რამ?

– რასაც მხედავ, ისა ვარ. მითხარი ერთი, რისთვის მოხვედი ამ ჩემს სამფლობელოში?

ვაჟმა თავიდან ბოლომდე უამბო ყველაფერი, მაგრამ რადგან ქალს ელაპარაკებოდა, დაუმალა, თუ ვისთვის უნდოდა კრავი. ისიც დამალა, კრავის წაყვანა რომ უნდოდა. ქალმა ჰკითხა:

– ვინც ამ საქმეში დაგეხმარება, იმ ადამიანისთვის რას გააკეთებ?

– ყველაფერს, რასაც მიბრძანებს და დამავალებს.

– შენ იმდენი გაჭირვება გადაგიტანია და ისე თავგადადებული ჩანხარ შენი საქმისთვის, რომ გეპატიება დაუფიქრებელი პასუხი. მაგალითად, მე რომ დაგავალო ისეთი რამ, რის გაკეთებაც შეუძლებელია, მაშინ რას იზამ?

– მე ვიცი, რომ ასეთ დავალებას არ მომცემ. თუ დამავალებ, ჩემი დაღუპვით ქვეყანა არ დაიქცევა. კაცი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება.

– არა, ასეთ დავალებას არ მოგცემ. მე ისეთ რამეს დაგავალებ, რომლის გაკეთებაც შეგიძლია და შეიძლება შენთვის უკეთესიც იყოს, მინდა, რომ მე შენი ვიყო და შენ – ჩემი. კრავს კი აუცილებლად გაპოვნინებ.

– დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი. რაც გაჭირვება გადაგიტანია, ყველაფერი ბედნიერად დასრულდა, – შესძახა ვაჟმა.

– ახლა რას გეტყვი იცი? – უთხრა გოგომ. – მე ღალატსა და ორგულობას ვერ ავიტან.

– ასეთი რამ არასოდეს გამივლია გულში, – უთხრა ვაჟმა.

– შეიძლება შენ ასეთი რამ გულში არ გაგივლია, მაგრამ ისევ ნაჩქარევ პასუხს ხომ არ მამღევ? ახლა ერთი ეს მითხარი: შენ აქ ჩემს საძებრად არ მოსულხარ, კრავი გინდოდა გემოვნა, შეგხვდი, მეგობრობა შემოგთავაზე. რამ უფრო გაგახარა, მეგობრობის შემოთავაზებამ თუ კრავის ნახვის დაპირებამ?

– მეგობრობის შემოთავაზებამ, – იმწამსვე მიუგო ვაჟმა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მოგეწონე და შეგიყვარდი და, რადგან სიყვარული ყველაფერს სძლევს, პირველი ადგილი მე მიჭირავს და მეორე კრავს. ახლა შეგიძლია სიტყვის მოცემა? შეგიძლია დაიფიცო, რომ შენ ჩემი იქნები, როგორც მე შენი ვიქნები, ისე რომ მოტყუებას და ღალატს გულში არ გაივლებ?

– ამას რად უნდა ლაპარაკი, კი, ბატონო.

– დამაცადე, არ იჩქარო. სანამ პასუხს მომცემდე, უნდა გაგაფრთხილო. მე მომწონს შენი ასეთი თავდადება, ამდენი გაჭირვების გადატანა იმ საქმისათვის, რომლის გაკეთება შენ გინდოდა, დიახ, ჩვენ ერთმანეთის უნდა ვიყოთ, ერთი სულითა და გულით, ყოველგვარი მოტყუების, ლალატის და ეშმაკურის გულში გავლების გარეშე. ასეთი რამ წმინდა სიყვარულს სჩვევია. სიყვარული ვაჭრული ჭკუით არ უნდა ზომო. არასოდეს აზრად არ მოგივიდეს, რომ ტყეში ბედმა ადამიანს შემახვედრა და, რაც ბედმა მომცა, იმით უნდა ვისარგებლო. დღეს რომ კარგ ბედს ვეძახით, ხვალ ის შეიძლება უბედობად გადაიქცეს. ეს მაშინ ხდება, როცა სიყვარული ერთი ან მეორე წესით იზადება. არ დაგავიწყდეს, კრავის ნახვა იოლი რომ ყოფილიყო, აქამდე ხელთ გეყოლებოდა. მაგრამ შენც დარწმუნდები, რომ ეს საქმე იოლი არ არის. ასჯერ მეტი დრო რომ დახარჯო და გაჭირვება გადაიტანო, ხელს ვერ შეავლებ. ამიტომ უნდა მიხვდე, რომ ასეთ ძნელ საქმეს ვინც შეძლებს, იმას მართლაც შეუძლია რაღაცა. ისიც არ დაგავიწყდეს, რომ მე – სუსტი არსება – უდაბურ ტყეში მარტო ვარ. თავის იმედი რომ არ მქონოდა, ვიღაცას გავიჩენდი მცველად და, ბოლოს, ყველაზე მეტად გახსოვდეს, რომ სიტყვა და დაპირება თუ გატეხე, შენ რომ გაჭირვება გადაგიტანია, ის ბავშვური თამაში იქნება იმასთან შედარებით, რაც დაგემართება. მე ჩემს თავს ვეყოფი პატრონად. ჩემი თავი და ღირსება მე შემიძლია სხვისი დახმარების გარეშე დავიცვა. მე ამდენს იმიტომ გაფრთხილებ, რომ მინდა ტკბილად, სიყვარულით და ბედნიერად ვიყოთ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კარგად დაწყებული საქმე ცუდად არ დასრულდეს. მოიფიქრე, მე არც მოძალადე და არც მახვეწარი ვერ რაიმესი. ხვალ ისევ მოვალ. აქ თუ გნახე, სიტყვა მოცემული გექნება, თუ არა, როგორც აკეთებდი, ისევ განაგრძობ შენს საქმეს. ცოტა ხნის შემდეგ შენ სინათლეს დაინახავ. წადი იმ სინათლისკენ, მოიქეცი უშიშრად, მოურიდებლად და უფრო თავისუფლად, ვიდრე შენს სახლში, – თქვა ეს ქალმა და საიდანაც მოვიდა, ისევ იმ მიმართულებით წავიდა.

გაოგნებული ვაჟი დაჯდა მიწაზე. თვითონაც არ იცოდა, ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი. უცებ სინათლეს მოჰკრა თვალი. ადგა და იქითკენ გაემართა. რომ მივიდა იქ, კიდევ უფრო გაოცდა. სინათლე გამოდიოდა გამოქვაბულიდან, რომელიც ისეთი ფართო იყო, რომ ცხენი გაჭენდებოდა. აქ ყველგან დაფენილი იყო ისეთი ლამაზი ტყავები, რომ თვითონ არ იცოდა, რომლისთვის ემზირა. სილამაზით ეს ტყავები აბრეშუმს ეცილებოდა. ყველგან ელვარებდა სულ სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქვების სინათლე. შუაში ორი ორგია სიგანის და ათი ორგია სიგრძის ტაბლა იდგა, რომელიც საჭმელითა და სასმელებით იყო სავსე. ვაჟმა არ იცოდა, თუ რა საჭმელები იყო და რომელისთვის მოეკიდა ხელი. იმდენი ელაგა სხვადასხვა ხილეული, რომ ას კაცს ეყოფოდა. ეს ხილეული უცხო იყო ვაჟისთვის. ერთ ადგილას წყალი მორაკრავებდა. მივიდა, ხელი დაიბანა, ღმერთს მადლობა შესწირა. უნდოდა დამჯდარიყო, მაგრამ არ იცოდა, რომელ საჭმელს მისჯდომოდა. ამგვარად, დგომელა გასინჯვით გაძღა და დათვრა. თვითონ რომ არ იცოდა, ისე დაწვა და დაეძინა. მეორე დილას როცა გაეღვიძა, ხედავს, რომ

იმ ადგილასაა, სადაც წინა სადამოს ქალიშვილი ესაუბრებოდა და სადღაა გამოქცეული ან საჭმელი და სასმელი. მოვიდა ისევ ის ქალი და ჰკითხა:

– რა აზრს ადგახარ, ვაჟო?

– რასაც თქვენ ინებებთ, სიკვდილის დღემდე თქვენი ვიქნები.

– კარგი, შენგან ფიცი არ მინდა. რადგან ჩემთან ყოფნა გინდა, შენი მოქმედება მიჩვენებს, თუ როგორ შეგიძლია შეასრულო ის, რაც განგიზრახავს. კიდევ ერთხელ, გახსოვდეს და არ დაგავიწყდეს, რომ მე ვაფასებ შენს ხელმწიფის შვილობას და ვაჟკაცობას, მაგრამ არასოდეს იფიქრო, რადგან ასეთი ვარ, ამ ქალს როგორც მინდა ისე მოვექცევიო. ახლა წადი შენს მხლებლებთან და დაითხოვე ისინი. თუ გირჩევნია, გყავდეს, მაგრამ შენ რომ ჩემთან ხარ, არცერთ სულდგმულ ადამიანთან არასოდეს წამოგცდეს. არც უნდა მიხვდნენ ამას შენი ქცევით. წინ ძალღიწვება და მიგიყვანს შენს კაცებთან. შემდეგ ისევ ჩემთან მოგიყვანს.

როცა ვაჟი გზას დაადგა, მის წინ ძალღიწვება გაჩნდა. ვაჟი გაჰყვა და ცოტა ხანში თავის ხალხთან მივიდა. იმათ ძალიან გაუხარდათ ვაჟის ნახვა. მან უთხრა: – თქვენ წადით ჩვენს ქვეყანაში, გადაეცით მამაჩემს, რომ ექვსი თვე რომ გავა, ხომალდი გამომიგზავნოს ჩემი და ოქროს კრავის წასაყვანად. თქვენ მე აქ აწი აღარ მჭირდებით. ისეთი კაცი გამომიჩნდა, რომელიც მპირდება, რომ აუცილებლად მაშოვნინებს ოქროს კრავს, თქვენ ხომალდს გამოყვებით და იქიდან მერე აქ მოხვალთ, როცა თქვენგან ცნობა მომივა ხომალდის მოსვლის შესახებ, მაშინ კრავსაც მოვიყვან. ვაჟი გამოემშვიდობა მხლებლებს, მერე ისევ ძალღიწვება და მიიყვანა ქალთან.

რასაკვირველია, ვაჟს ძალიან უკვირს, ამ ქალის გარდა, კაცის შვილს რომ ვერ ხედავს, არც რაიმე თავშესაფარს – სახლი კი არა, კრავის მაგვარიც არაფერი რომ არაა. ქალმა უთხრა:

– შენ გიკვირს, ალბათ, რატომაა, რომ ჩემს მეტ სხვა ადამიანს ვერ ხედავ და არც რაიმე თავშესაფარს, ანდა საჭმელი რაიმე თუ იშოვება? სადაც სიყვარულია, იქ ყველაფერი ტკბილია, ადამიანი მზადაა ყველაფერი აიტანოს. მაგრამ ნუ გეშინია. წამოდი აქეთ; არც შიმშილით მოკვდები და არც სიცივით, არც დაგაწვიმს და არც დაგათოვს.

მალე გავიდნენ თვალუწვდენ მინდორზე, რომელიც გარშემო ფერდობებით, მალღობებით და მთებით იყო შემოზღუდული. ამაზე უკეთეს ადგილს კაცის თვალი ვერ ნახავდა. ნამდვილ სამოთხეს ჰგავდა. აქა-იქ ვერცხლივით წყალი ამოდიოდა და მინდორზე იშლებოდა, ალაგ-ალაგ იყო სხვადასხვა ხეხილი. ყველგან მდელი ხასხასებდა და ათასნაირი ყვავილები ატკბობდა თვალს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ იქაურობა სავსე იყო ათასნაირი ჯოგებით – აქ ყოველგვარ შინაურსა და გარეულ ცხოველს ნახავდით: ირემს, ქურციკს, ჯიხვს, ნიამორს და სხვებს. არსად არ ემჩნეოდა – არც მდელს და არც ყვავილებს – ამ უთვალავი ჯოგების ფეხის დანადგამი, და არც ხეხილი იყო სადმე დაზიანებული. ხეხილი ხილით იყო დახუნძლული. ვაჟს ისიც უკვირდა, რომ ამდენი ჯოგის მომვლელს ვერსად ხედავდა.

– ცხენით გირჩევნია სიარული, თუ ირმით? – ჰკითხა ქალმა ვაჟს.

– რომელიც თქვენ გირჩევნიათ. მე ირემზე არასოდეს ვმჯდარვარ, მაგრამ თუ თქვენ შეჯდებით, მეც ვეცდები.

– ირემი უკეთესია. უნაგირი არ უნდა და არც ლაგამი. ნავივით მიდის. ფერდობზე ცხენით საშიშია, ირმით – არა. რქას მაგრად მოჰკიდე ხელი და სხვა არაფერია საჭირო.

ორი სახელი რომ დაიძახა ქალმა ორი ძლიერი ირემი გამოვიდა და დაიჩოქეს მის წინ. ქალი ერთზე შეჯდა, ვაჟი – მეორეზე. მთელი ეს თვალუწვდენელი მინდორი და ფერდობები მოიარეს. ჯოგები, რომლებიც თავ-თავისთვის იყვნენ გაჩერებული, ამათი მოსვლით არ დაფეთებულან. ვაჟს ეგონა, რომ სამოთხეში მოგზაურობდა და, მართლაც, ასეთი საარაკო რამ არავის თვალს არასოდეს ექნებოდა ნანახი. ბოლოს, ერთ ფერდობთან გაჩერდა ქალი, ჩამოხტა და თქვა: – ასეთი ადგილები კი არა, კიდევ უკეთესები სხვაც ბევრი გვაქვს, სადაც კიდევ უფრო მეტი ჯოგები გვყავს. ახლა წავიდეთ შინ და დავისვენოთ. მე სახლს ვეძახი, რომ შენ გაიგო, მაგრამ ჩემი სახლი კაცის ხელით ნაჯახირები არაა. ადამიანის ხელით გაკეთებულ სახლში ზაფხულში სიცხე გაწუხებს და ზამთარში – სიცივე. ღმერთის გაკეთებულში არც ისაა და არც ეს, არც რაიმე მხოხავი გაწუხებს. შენ თუ გირჩევნია, ხე საყიდელი არა გვაქვს და როგორც გინდა, ისეთი საცხოვრებელი გავაკეთოთ. ამას რომ ამბობდა, ერთ ფერდობს შემოუარა და გამოჩნდა სუროთი და სხვადასხვა ყვავილებით შემოსილი ბოძები. სახურავის მაგივრად ბალახითა და ყვავილებით იყო დაფარული და ზემოთ, ფერდობებისაკენ აუყვებოდა. როცა შევიდნენ, ვაჟი სანთელივით გაშეშდა. თვალთ ნახვა კი არა, ასი წელი რომ ეფიქრა, ვერაფრით წარმოიდგენდა ასეთი სილამაზითა და ასეთი სიმდიდრით სავსე რამეს. აქაც იყო ძვირფასი ქვები, აქაც ყოველნაირი საჭმელი და სასმელი მოჩანდა. აქ იყო ყველაფერი, სულისა და გულის გამახარებელი.

– აქ ჭამის მადა ყოველთვის აქვს კაცს, მაგრამ იმისთვის, რომ უკეთესი მადა გაგეღვიძოს და ტკბილად დაიძინო, წამოდი და კიდევ ერთ რამეს გაჩვენებო, უთხრა ქალმა. შიგნით, სვეტებს სურო და ყვავილები არ ჰქონდა – ოქროს და ვერცხლის იყვნენ ისინი. ქვეშ ტყავები იყო დაფენილი; კედლებზე ოქროსა და ვერცხლის ქსოვილები ეკიდა. უცებ, გახარებულმა ვაჟმა, ერთი შეჰყვირა. მან დაინახა ოქროს კრავი, რომელიც ტახტზე იწვა. ქალი მივიდა და თამაში დაუწყო. ვაჟი გაოცებული უყურებდა ერთხანს. ცოტა ხნის შემდეგ ისიც მიუახლოვდა კრავს, კრავი არ შემკრთალა. ქალმა უთხრა:

– როგორც გითხარი, ასეთი და ამაზე უკეთესი ადგილები ჩვენ ბევრი გვაქვს. ჯერ შენ სიარულს მიჩვეული არა ხარ. მე ყოველთვის დავდივარ – ჩემთვის დღე და ღამე ერთია, ისე ვარ შეჩვეული ამ მთებს. არასოდეს მოგერიდოს, იარე სადაც გინდა და რამდენიც გინდა. არასოდეს დაგავიწყდეს ჩემი გაფრთხილება. იცოდე, მე მინდა, რომ შენ ჩემს მიმართ ისე იყო, როგორც მე შენს მიმართ ვარ. ჩემი გაფრთხილება ამაზე მეტს არაფერს ნიშნავს. მე მთელი გულით, შენ ნახევარი გულით – ამას ვერ ავიტან, ისიც არ დაგავიწყდეს, რომ არაფრით არ უნდა წამოგცდეს, ჩემთან რომ ცხოვრობ. შენ ჯერ სტუმარი ხარ, ხვალ მასპინძელი იქნები. თუ თავს შეატყვე, რომ ჩემთან ყოფნას ვერ შესძლებ, თავისუფალი ხარ, წადი და წაიღე სიმდიდრე, რამდენიც გინდა.

– მე შენი ვიქნები სიკდილის დღემდე – საყვარლად და ტოლად თუ არ გინდა, მონა-მსახურად.

ეს ქალი და ვაჟი ცხოვრობდნენ ერთად ტკბილად და დიდი სიყვარულით. დაბარებული კაცების მოსვლის დროის მოახლოებასთან ერთად ვაჟს ნელ-ნელა მოსვენება ეკარგებოდა. ამ გოგოს სიყვარულსა და ქცევაში ვერაფრით ნაკლს ვერ მოუძებნიდა: ყოველთვის კარგად, სულითა და გულით იყო ვაჟის მიმართ განწყობილი. მართალია, ვაჟს აწუხებდა ამ შეყვარებული გოგოს მოშორება, მაგრამ,

რაც დრო გადიოდა, თავისი წინანდელი შეყვარებული უფრო მეტად ახსენებოდა და თავისი ქვეყნის ნახვა ენატრებოდა. არანაკლებ ენატრებოდა თავისი გამარჯვება და დიდი სახელის გავარდნა მთელ ქვეყანაზე. ბოლოს თავისი აზრის გასამართლებელი საბუთის ძებნა დაიწყო. ნამდვილად, ეს გოგო რომ სხვა ადგილებს ამბობს, განა არ შეიძლება, იქ ყველგან საყვარელი ჰყავდეს? ბოლოს გადაწყვიტა წასვლა. როდესაც მოვიდა დრო მისი ხალხის მოსვლისა, ვაჟი წავიდა და, მართლაც, ნახა რომ ისინი ელოდებოდნენ. მათ უთხრეს, რომ მისი შეყვარებული მოსული იყო გემით და ზღვის ნაპირზე ელოდებოდა. ვაჟმა თავის ხალხს უთხრა, აქ მომიცადეთ, სანამ დავბრუნდებიო.

ერთხელ, როდესაც ქალი შინ არ იყო, მხარზე შეისვა ოქროს კრავი და თავისიანებთან მივიდა. ისინი მაშინვე ზღვის ნაპირისაკენ გაეშურნენ, სადაც ვაჟს ხომალდები ელოდებოდა. ვაჟი იმწამსვე ავიდა ხომალდზე და შეიქნა დიდი ხარება და მილოცვა. ვაჟმა ბრძანა მაშინვე გაეშალათ იალქნები და ზღვაში გასულიყვნენ. თან, შემფოთებული, ხმელეთისაკენ იყურებოდა. ეს შეამჩნია ვეზირმა, რომელიც ვაჟის მამამ ხომალდებს გამოაყოლა. რაც უფრო შორდებოდნენ ნაპირს, ვაჟი უფრო და უფრო ხასიათზე მოდიოდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად – ყველა ქვეყნის ხელმწიფეთა შვილებს რომ აჯობა და რომ შეყვარებულს იგი იმდენად ჰყვარებია, რომ აქეთ წამოვიდა, მასთან შესახვედრად. როცა კარგა ღრმად შეცურეს ზღვაში, ვაჟმა კიდევ უფრო გაიხარა. ყველა კრავს უყურებდა. ყველანი ულოცავდნენ ვაჟს გამარჯვებას. ამ დროს, უეცრად, ამ უსაზღვრო მხიარულებას მდუღარე წყალი გადაესხა. მოისმა ქალის ხარხარი. საიდან მოვიდა ეს ხმა – ზემოდან, ციდან თუ ქვემოდან, ზღვიდან – ვერავინ მიხვდა. ვაჟს მკვდრის ფერი დაედო და ბრძანა უფრო სწრაფად მოესვათ ნიჩბები, რადგან ზღვაზე სიწყნარე იყო. ნიავიც კი არ იძროდა და აფრები მომჩვარული ეკიდა. ვაჟი გიჟივით დაფეთებული იქით-აქით იყურებოდა, მაგრამ მათივე ხომალდების მეტი არსად ნაფოტის ოდენაც კი არაფერი ჩანდა. ვეზირმა ბრძანა დაებრუნებინათ ხომალდები, მაგრამ ვაჟმა არ ქნა. გამოცდილი ვეზირი მიხვდა, რომ ვაჟს რაღაც ცუდი ჰქონდა ჩადენილი და იმის გამოსწორების გარეშე ზღვაში გასვლა არ უნდა გაეხდათ. ხომალდები ნიჩბებით მიცურავდნენ, მაგრამ ისე მისრიალებდნენ ზღვაში, თითქოს ას-ასი ფრთა ჰქონოდათ. მოსვენება დაკარგა ვეზირმა. იქით-აქით იყურებოდა. მაგრამ ცა მოსარკული იყო, მუშტისოდენა ღრუბელს ვერ დაინახავდი ზედ. ზღვაზე ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. უეცრად თვალი მოჰკრეს თეთრ ღრუბელს, რომელიც შორს მოსჩანდა. ღრუბელი ცაზე კი არ იყო, არამედ ზღვაზე ეფინა და ჯიქურ მოდიოდა ხომალდებისაკენ. თეთრი ღრუბლის უკან შავი ღრუბელი ჩანდა – ისიც დაბლა, ზღვაზე გართხმული. «დააბრუნეთ ხომალდები», ბრძანა ისევ ვეზირმა, მაგრამ ხომალდების დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ისინი კიდევ უფრო ჩქარა მისრიალებდნენ შუა ზღვაში. «დავიღუპეთ!» – თქვა ვეზირმა. ამ დროს დაინახეს ხომალდის ქიმზე – მთლად წვერზე, სადაც მათივე ღმერთის გამოსახულება იყო გაკეთებული – მზეთუნახავი ქალი იდგა ისე, რომ ქიმზე ფეხი ედგა. ქალს ზურგი ჰქონდა შექცეული ამათვის, ხელში ლახვარი ეჭირა და ჯიქურ თეთრი ღრუბლისაკენ იყურებოდა. ამათში ერია დადიანის კაცები, რომლებიც ამ ვაჟს გზაზე შეეყარნენ და მან დაატყვევა. როგორც კი ამათ თვალი მოჰკრეს ქალს, მაშინვე პირქვე დაემხნენ. როცა ვაჟმა დაინახა ქალი, ვეზირს უთხრა: – არიქა, როგორმე გვიშველე.

– ვინაა ეს ქალი, იცანი?

– ვიცანი, ძალიან კარგად ვიცნობ; მუდამ მასთან ვიყავი. მუდამ სიკეთეში, სილამაზესა და სიმდიდრეში ვცურავდი, სულზე მეტად ვუყვარდი, მაგრამ ჩემთვის არასოდეს უთქვამს თუ ვინ არის. გაფრთხილებული ვყავდი, მისვლას ვერ გავბედავ.

– თქვენ იცით, ვინ არის ეს ქალი? – ჰკითხა ვეზირმა პირქვედამხოზილ დადიანის კაცებს.

– ტყაში მაფაა, ღმერთია, ლახვარი ხელში უჭირავს, გამწყრალია რაღაც, კარგის გაკეთებას არ აპირებს.

თეთრი ღრუბელი მოახლოვდა. შავი ღრუბელი უკან მოსდევდა. როდესაც თეთრი ღრუბელი საკმაოდ მოახლოვდა, ნახეს, რომ მის წინ ზღვას მოაპობდა შვიდი ფრთიანი თეთრი რაში. ამათ უკან მოსდევდა ხალიჩასავით ზღვაზე დაფენილი თეთრი ღრუბელი. ყველა სანთელივით იყო გაშეშებული, ასეთი თვალით უნახავი რაშების ხილვით. რაშებმა ხომალდს შხუილით გაუარეს წინ ისე, რომ არც შეჩერებულან. ამ დროს ხომალდი თეთრმა ღრუბელმა დაფარა. თვალის დახამხამებაში ისევ მოშორდა და ნახეს, რომ რაშები და თეთრი ღრუბელი ხმელეთისკენ მიდიოდნენ. ნათლად დაინახეს, რომ ქალი, ოქროს კრავით, კაცის გვერდით იდგა და ზემოთ ღრუბელი ადგათ. რაშები და თეთრი ღრუბლები ამათ ეთხოვებოდნენ, მაგრამ შავი ღრუბელი უახლოვდებოდა. შავი ღრუბლის წინ ზღვა ყალყზე დგებოდა. თეთრი ღრუბელი და რაშები ხმელეთზე გავიდნენ და დაიკარგნენ. ამასობაში მოვიდა შავი ღრუბელი. ისმოდა ათასნაირი ჯოჯოხეთური ხმა. თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ისე დაბნელდა. ზღვამ ნაფოტებივით დაიტაცა ხომალდები. შავი ღრუბელიც ხმელეთის მიმართულებით მიდიოდა. როდესაც ნაპირამდე მივიდა, ისიც გაქრა. დღე ისევ განათდა, ზღვა დაწყნარდა, ხმელეთზე ეყარა ნაწილ-ნაწილ დამსხვრეული ხომალდები და დამხრჩვალი ხალხი. დადიანის ხალხი ყველა გადარჩენილიყო. დადიოდნენ ზღვის ნაპირზე და აგროვებდნენ დამხრჩვალებს და სიმდიდრეს და ყველაფერს მიწაში ფლავდნენ. ამბობდნენ, ღვთის განგებითაა გაკეთებული და არაფრის ხელის ხლება არ შეიძლებაო. გემების ნამსხვრევებს ცეცხლში სწვავდნენ.

9. ოქროს კრავი და ცატუ დადიანი

ერთ დროს ჩვენს დადიანს რქმევია ცატუ. ამ ცატუსთანა დადიანი ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია. შესახედავად ზეციდან ჩამოსული ღმერთის მსგავსი ყოფილა. ღონით იმისთანა კაცი არასოდეს დაბადებულა. ლომსა და ვეფხვს კატასავით იჭერდა, ხელით ახრჩობდა თურმე. მეზობელ («თავის გარშემო») ხელმწიფეებთან ყველასთან კარგად ყოფილა, კიდევ რომ არ ყოფილიყო მათთან კარგად, ვერც ერთი ვერაფერს გაუბედავდა. თავისი ხალხისათვის ისეთი კარგი ყოფილა, რომ მცირესა და დიდს, უფროსსა და უმცროსს – ყველას უყვარდა თურმე. ობოლსა და ქვრივს და რამე გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს რომ არ დახმარებოდა, ისე არ დატოვებდა. ვინმე რომ ავად გამხდარიყო, მკურნალად მაშინვე დადიანი დაუდგებოდა. ამის დადგენილ სამართალს ყველა ღვთის დადგენილივით იღებდა. თვითონ არასდროს არავითარ უკანონობას არ ჩადიოდა და არც სხვას არავის არაფერს გააბედვინებდა. ამის დადიანობის დროს ყველაფერი თავზე საყრელად ყოფილა. დადიანს თავისი ხალხი ჰყვარებია,

მაგრამ ხალხს დადიანი ასწილად უფრო ჰყვარებია. ხალხი დადიანს ყოველთვის ლოცავდა, იფიცებდა და აღმერთებდა თურმე.

ამ ღვთისწიერ, ყველასთვის საყვარელ დადიანს ერთი განსაკუთრებული ჩვევა ჰქონია: ნადირობა ჰყვარებია. დღეს არ ჩააგდებდა, რომ სანადიროდ არ წასულიყო. არასოდეს მომხდარა, რომ მისი გასროლილი ისარი რამეს ასცდენოდა, არც ის, რომ რაიმე მხეცზე ხელდახელ მისულიყო და ამას არ დაეგლიჯა. იმ დროს ყოველგვარი ფეხით მავალი და ფრთოსანი სულდგმულით სავსე ყოფილა ჩვენი ქვეყანა. როდესაც ხალხს წაიყოლებდა, ჯორები და ცხენები მიჰყავდათ ამის ნანადირევის წამოსაღებად, იმდენს ხოცავდა თურმე. როცა რამე შეეცოდებოდა ან ცოცხლად უნდოდა წამოეყვანა, ქვეითად გამოეკიდებოდა და ხელით იჭერდა.

ერთხელ თეთრი ირემი წამოუგდია, რომლის მსგავსი არასოდეს ენახა. ქვეითად გამოჰკიდებია, მაგრამ როგორღაც დასაჭერად ხელი ვერ წაუვლია და ასე ამ ირემს ცატუ მაღალი მთებისკენ გაუტყუებია. რასაკვირველია, ამის თანმხლებნი შორს ჩამორჩენილან და მოსწყდომიან. მიდის ირემი, მისდევს უკან ცატუ. რამდენი კლდე გადაიარეს, ანდა სად მიჰყავს ამ ირემს, ეს ცატუმ არ იცის. სადამოვდება, ის დროა. ირემი მივიდა ერთ გამოქვებულთან და აქ ცატუს დაეკარგა. როცა მივიდა ცატუ ამ გამოქვებულთან, ირემი არსად ჩანდა და მის მაგივრად დაინახა ის, რასაც მის დღეში არ ელოდა: გამოქვებულში ოქროს კრავი იწვა. ცატუმ მაშინვე მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა. ადგა კრავი, მივიდა ცატუსთან და სუნვა დაუწყო. მერე მიბრუნდა გამოქვებულისაკენ, მივიდა ერთ კედელთან და რქა დაჰკრა. გაიღო კარი. მოხედა ცატუს კრავმა და ერთი დაიპეტელა. ცატუმ წინ რომ წაიწია, კრავი შიგნით შევიდა და მოხედა. ცატუ დიდი მორიდებით დადგა კართან და მერე მუხლი მოიყარა, ისეთი სანახაობა ნახა იქ. მივიდა კრავი, კაბის კალთას პირი ჩაავლო და დაეზიდა. შევიდა ცატუ შიგნით, მაგრამ რას ხედავს! ცხენი რომ გაჭენდება, ისეთი დარბაზი, ათასნაირი ტყავითა და აბრეშუმით მორთული, ოქროსა და ვერცხლის სვეტები, რაცა დგას, ყველაფერი ოქროსა და ვერცხლისა! სინათლეა ისეთი, დღესავით, და ამას გარდა, ელვარებს ათასი სხვადასხვა ფერის ქვის სხივი. იყურება იქით-აქეთ ცატუ და ლოცულობს. ცოტა ხნის შემდეგ მივიდა კრავი ერთ კედელთან და რქა დაჰკრა. აქაც გაიღო კარი. მივიდა ცატუ, დაინახა ოთახი, რომელშიც უზარმაზარი ტაბაკი დგას და რა და რა საჭმელი და ხილი გინდა, რომ აქ არ იყოს დახორავებული! კი იცის, რისთვის არის აქ მოყვანილი. ერთი ლიტანია შეასრულა ცატუმ, შემდეგ მიუჯდა და ჭამა დაიწყო. ამ დროს გაისმა ისეთი სიმღერა, რომელიც ანგელოზებისა და ღმერთების გარდა არავის შეეძლო. ცატუს პირში შერჩა ლუკმა და ამ სიმღერის სმენამ გაიტაცა. მაშინ სიმღერა შეწყდა. ისევ დაიწყო ჭამა, ისევ გაისმა სიმღერა. და ასე, თვითონაც არ იცის, როგორ დაემინა. მეორე დილას რომ გამოეღვიძა ცატუს, ნახა, რომ ამ გამოქვებულის პირთან არის, სადაც პირველად იხილა კრავი. კრავი არა ჩანს და ეს გამოქვებული, კარისა და სამოთხისმაგვარი ოთახის ნაცვლად, სუროთი და ხავსით არის დაფარული. იმ ადგილას, სადაც კრავი იწვა, ნახა, რომ ოქროს ბეწვი დევს და ის ქვები და კენჭები, რომლებზედაც ბეწვი იდო, ყველა სხვადასხვანაირ ძვირფას ქვებად არის ქცეული და ამას ერთი მოზრდილი გუდა უძევს გვერდით. დაიჩოქა ცატუმ, შეასრულა ლიტანია, ღმერთს მაღლი შესწირა, ჩააწყო ძვირფასი ქვები გუდაში, ჩადო ოქროს ბეწვი და წამოვიდა სასახლისაკენ.

მალე შეხვდა თავის მხლებლებს, რომლებსაც დიდად გაუხარდათ და შეიქნა სიხარული. ყველას გაუკვირდა, თუ საიდან გაჩნდა ასეთი საკვირველი გუდა, ანდა რატომაა, რომ წასაღებად არავის აძლევს, მაგრამ კითხვა ვერავინ გაბედა. თვითონ თქვა: ეს იმ ირმის ნაჩუქარია, რომელსაც მე მივდევი. კრავის ამბავი არაფერი გაუმხელია.

მართალია, დადიანს არავისთვის უთქვამს, თუ როგორ იშოვა ეს გუდა, მაგრამ თეთრ ირემს რომ მისდევდა და ამ ამბის შემდეგ რომ ცატუ ძალიან გამოიცვალა, ეს ყველამ იცოდა. ცატუმ ბევრი სიმდიდრე დაურიგა ქვრივებს და გაჭირვებულებს, ააშენა ბევრი ეკლესია და კიდევ მოუმატა ყველასათვის სიკეთის ქმნას.

ცოტა ხანი რომ გამოხდა, ცატუ ისევ წავიდა სანადიროდ, ისევ იმ ადგილას, ისევ მოხვდა იმ გამოქვაბულში, ისევ მიიღო კრავმა, მეორე დღეს ისევ იმდენი სიმდიდრე წამოიღო. ესეც ისე, როგორც წინაზე, კვლავ ეკლესიებსა და გაჭირვებულებს მოახმარა და თავის გულკეთილობას და ხალხისადმი კარგ მიდგომას ასწილად მოუმატა. ისევ რომ გამოხდა ცოტა ხანი, წავიდა კვლავ მესამეჯერ. ისევ ისე შეხვდა ყველაფერი. ისევ რომ დაბრუნდა, კიდევ უფრო არიგა სიმდიდრე, ააშენა ეკლესიები და დაეხმარა გაჭირვებულებს. კიდევ გვარიანი ხანი რომ გამოხდა, კვლავ წავიდა. სიახლოვეს რომ მიაღწია, ერთ ადგილას დაისვენა. ზემოთ კლდის შვერილები ადგა. მოვიდა სამი კაკაბი და კბოდეს ზედ დააფრინდა. ჯერ ერთმა თქვა ადამიანის ხმით:

ვინც ადამიანი გააჩინა,
მისი საზრდო მიუჩინა,
ბრძანებს: «ზომოს სული და გული,
თუ უნდა ცოტა ხანს ყოფნა».

მეორემ:

მაგრამ კაცი უპატრონო,
ამოუვსები მისი სული,
გაუმადლარი მისი გული,
წალმა-უკულმა დაგრეხილი,
უშნოდ მოსაქმე.

მესამე:

იბჯენს გვერდზე კეტს,
ეძებს მეტს, მუდამ მეტს,
თავისი ნდომით მოტყუებული
იკრავს, იწვავს ნამცეცა ბედს.

თქვეს ეს კაკებმა და გაფრინდნენ. ცატუმ დაიჩოქა, ღმერთს პატიება სთხოვა, თუ რამე შეცდომა ჰქონდა ჩადენილი, ადგა, მიატოვა გამოქვაბულისკენ სვლა, გამობრუნდა და თავისი მხლებლებისკენ წამოვიდა. შემოხვდა ოქროს კრავი. გაუხარდა ცატუს და მუხლები მოიყარა. მოვიდა კრავი და ერთი რომ დასუნა, ცატუ კრავზე შემოსმული აღმოჩნდა. კრავი მაღლა ცაში წავიდა, გადაუარა იმ ადგილს, სადაც ცატუს ხალხი იდგა, რომლებმაც დაინახეს, რომ ოქროს კრავს ცატუ ცის კიბულისკენ მიჰყავდა. ყველამ დაიჩოქა, ღმერთს შეევედრნენ, გამობრუნდნენ და მთელ ქვეყანას უამბეს, რაც მოხდა. ხალხი ცატუ დადიანს ისედაც აღმერთებდა, ახლა კი მთლად ნამდვილ ღმერთად რომ იქცა, ყველა მასზე ლოცულობდა, როგორც თავიანთ მოსიყვარულე და კეთილისმოქმედ ღმერთზე.

10. ოქროს კრავი და ციტუე დადიანი

(ვარიანტი)

ჩვენს ქვეყანას ბევრი დადიანი ჰყოლია, მაგრამ ციტუე დადიანის მსგავსი დადიანი არასოდეს ყოფილა. ვერც ტან-ფეხით, ვერც შესახედავად და ვერც ძალით მას ვერავინ შეედრებოდა. ამასთანავე, ისეთი კეთილი გულის ყოფილა, ისეთი მადლიანი, ისეთი მოსიყვარულე და თავისი ხალხისათვის თავდადებული, რომ ყველა აღმერთებდა. იგი ყველას საფიცარი ყოფილა, მაგრამ ყველაზე მეტად ქვრივებს, ობლებს და გაჭირვებულებს ჰყვარებიათ, რომელთაც უპატრონოდ არასოდეს სტოვებდა. მისი კანონი ღვთის კანონებს ჰგავდა. მისი დადიანობის დროს აკვაცობა ყველამ მიატოვა, რადგან ყველაფერი თავზე საყრელად ჰქონიათ. ყველა მეზობელ ხელმწიფესთან კარგად ყოფილა. ცუდიც რომ განეზრახათ გულში, აშკარად ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა.

ამ კარგ და ყველასათვის საყვარელ დადიანს ჰქონია ერთი ჩვევა, რომლის მოშლა არაფრით შეეძლო: ყველაზე მეტად ნადირობა ჰყვარებია, რომლის გარეშე ერთ დღესაც ვერ ისვენებდა. მაშინ ჩვენი ქვეყანა სავსე ყოფილა ყოველგვარი ნადირით. არასოდეს მომხდარა, რომ ციტუეს ისარი გაესროლა და აეცდინა. ერთხელ დაჭრილს, მეორედ არ ესროდა, ხელით შეებმებოდა და იჭერდა. არავის უნახავს, რომ რაიმე ნადირს დასდევნებოდა და არ მოეკლა ან არ დაეჭირა.

ერთხელ ციტუეს თეთრი ირემი წამოუგდია. ეს ირემი ისეთი ლამაზი ყოფილა, რომ დასაჭრელად და მოსაკლავად ვერ გაუმეტებია და მოუნდომებია ხელით დაჭერა. დასდევნებია ირემს – მკლავის გასაწვდენ მანძილზე მისდევს, მაგრამ როგორღაც ხელი ვერაფრით წაავლო. ირემს ციტუე ნელ-ნელა შეუტყუებია მაღალ მთებში. ირმისა და ციტუეს სისწრაფით მის კაცებს სად შეეძლოთ სირბილი. ისინი ჩამორჩნენ და მოსწყდნენ მას. თვით ციტუემ აღარ იცოდა სად იმყოფებოდა; იცოდა მხოლოდ, რომ ტყე დატოვა და შიშველ და მაღალ მთებშია, რადგან მრავალ გორას გადაუარა და შემოუარა. ამ დროს მოსაღამოვდა, მაგრამ ციტუემ მაინც არ დაანება თავი ირემს. უეცრად ჩამოზნელებულა, დაწყებულა თავის დღეში კაცს რომ არ უნახავს ისეთი თავსხმა, ჭეჭა და გრგვინვა. ციტუე მაინც მისდევს. არც ირემი დადლილა ამდენი სირბილით და არც ციტუე. ციტუე ხედავდა, რომ აწი ირმის დევნა უკვე შეუძლებელი იყო – ციდან ისეთი თავსხმა მოდიოდა, რომ თავშესაფრის გარეშე მინდორზე გაჩერება შეუძლებელი გახდა. ამ დროს ირემი უეცრად თვალთაგან დაეკარგა. ახლა დაიწყო თავშესაფრის ძებნა,

რომ ღვართქაფს არ წაელო. ამ დროს მოესმა კაცის ხმა, ვიღაცა საქონელს ემახდა. რქის ამოსვლასავით გაუკვირდა დადიანს. რა უნდოდა აქ ან კაცს, ან საქონელს? აქ ხომ ნადირისა და მონადირის მეტი ვერავინ გაბედავდა ამოსვლას; ახლო-მახლო სალი კლდეების მეტი არაფერი ჩანდა. კაცის გაჭირვებული ძახილი თანდათან მიუახლოვდა დადიანს.

– თქვი, რა კაცი ხარ შენ? – დაუმახა დადიანმა.

– მე კი არა, შენ რა კაცი ხარ? რა გინდა აქ, ასეთ უდაბურ ადგილას? – მიუგო კაცმა.

– ნადირმა შემომიტყუა აქ და ახლა ერთბაშად თავსხმა წვიმა დაიწყო. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, – უთხრა დადიანმა.

– ადი ცოტა ზემოთ და გამოქვაბულს ნახავ.

ის კაცი ძახილ-ძახილით წავიდა. დადიანი ავიდა მაღლა, მართლა ნახა გამოქვაბული და შევიდა. ერთ ადგილას თვალი მოჰკრა არასოდეს რომ არ ენახა ისეთი სინათლის ელვარებას. როცა წავიდა ამ სინათლისაკენ, ნახა მწოლიარე ოქროს კრავი. დაიჩოქა და შიშნულად თაყვანი სცა. ადგა კრავი, ერთი გაეთამაშა და მერე წინ წაუძღვა. გაჩერდა კრავი და კლდეს რქა დაარტყა. გაიღო კარი. შიგნით გამოჩნდა სამოთხესავით ადგილი. რა სიმდიდრე, სილამაზე და სასამელ-საჭმელი გინდა, აქ არ ყოფილიყო. მიხვდა დადიანი, რომ კრავმა იგი იმისთვის შემოიყვანა, რომ საჭმელი აჭამოს და დაასვენოს. ისევ დაიჩოქა დადიანმა და ილოცა. მერე ისე მოიქცა, თითქოს საკუთარ სასახლეში ყოფილიყო. როცა ჭამას მორჩა, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ ჩაეძინა. როდესაც ციტუეს გაღვიძა, ნახა, რომ გამოქვაბულის კართან წევს. გაუკვირდა, მაგრამ რას იზამდა. რომ მოათვალიერა იქაურობა, ნახა, რომ გვერდით უდევს ერთი პირამდე სავსე გუდა. როცა ჩაიხედა გუდაში, კინალამ ცაში აფრინდა: გუდა ოქროთი, ვერცხლით და ძვირფასი ქვებით იყო სავსე. ისევ ილოცა, აიღო გუდა და წამოვიდა.

შეხვდნენ ერთმანეთს დადიანი და მისი მხლებლები. მძიმე იყო დადიანის გუდა, მაგრამ წასაღებად არავის დაანება. «რადაც მადანი უნახავს დადიანს», თქვეს მხლებლებმა, მაგრამ კითხვა ვერავინ გაბედა.

სასახლეში რომ მოვიდა, ეს გუდა დამალა ისე, რომ დედოფლისთვისაც არ უჩვენებია და არც უთქვამს.

ამ დღის შემდეგ დადიანი სრულიად გამოიცვალა. ნადირობის მეტს ყველაფერს თავი დაანება, გახდა ფიცხი, ძუნწი და სიტყვას რომ ვერ ეტყოდი, ისეთი. ყველას უკვირდა, მაგრამ ვინ რას გაბედავდა.

ისევ წავიდა დადიანი იმ მთისაკენ. რომ მიუახლოვდა, ერთი კლდის ძირას დაისვენა. როცა ახედა ამ კლდეს, სულ ახლოს რადაც ნაწერი დაინახა. დაიწყო კითხვა:

ადამიანი, ადამიანი უპატრონო,

ძუნწია მისი სული,

გაუმადლარი მისი გული,

ბრმა, დამბლიანი, უბედური,

მოკლეა მისი სიცოცხლე,
ერთი ციციქნაა მისი შეგნება,
ყოველთვის ქონა, თავისთვის ქონა,
ბრმა გულის ბრმად მიყოლა.

რომ წაიკითხა, გაიცინა და თქვა: «ვიღაც გაჭირვებული ბერის დაწერილი უნდა იყოს. ნეტავ, რას ცოდვილობდა აქ, ასეთ ტრიალ ადგილას. ადამიანისთვის მიაფხაჭნა, თუ ქაჯისთვის». ადგა და წავიდა გამოქვაბულისკენ. როცა მიუახლოვდა, ნახა, რომ გამოქვაბულის შესასვლელთან ოქროს კრავი წევს. გაუხარდა, მაგრამ კრავი წამოხტა და გვერდზე მყოფ კლდეს დაახტა. დადიანი რომ მიუახლოვდა, კიდეც უფრო შორს გადახტა. კიდეც რომ მიუახლოვდა, კრავი კიდეც უფრო შორს გადახტა. აჩქარდა დადიანი, უნდა როგორმე ხელი მოავლოს, მაგრამ კრავი კიდეც უფრო დაშორდა. მაშინ დადიანმა იფიქრა, რომ კრავს სხვა, უკეთესი ადგილისაკენ მივყავარო და იგიც მისდევს აჩქარებით ქარაფებზე და უდაბურ ადგილებში. მთელი დღე კრავი წინ მიხტუნავდა და დადიანი უკან მისდევდა. დაღამდა. კრავი თვალწინ დაეკარგა. სადაც კრავი გაქრა, იქ გაათია ღამე დადიანმა.

მეორე დღე რომ გათენდა, დადიანმა ნახა, რომ კრავი მეორე მთაზე თამაშობს თავისთვის. «ნამდვილად, კრავს უნდა ბედს იქ შემახვედროს», იფიქრა დადიანმა და გაემართა იმ მთისკენ. ავიდა თუ არა, ნახა რომ კრავი აღარაა და ეგერ, მეორე მთის წვერზე დანავარდობს. «რა გაეწყობა, იქაც უნდა წავიდე» – ავიდა იმ მთაზე, მაგრამ კრავი არც იქაა. გაიხედა იქით-აქეთ, მაგრამ კრავი არცერთი მთის წვერზე არ ჩანს. მზის ჩასვლის დროა. რომ გაიხედა, დაინახა, რომ კრავი ზღვის ნაპირზე კუნტრუმობს. «ახლა მივხვდი, რაშია საქმე», თქვა დადიანმა. «ახლა ძალიან დიდ ბედს უნდა შემახვედროს კრავმა. რადგან ასე მოწადინებული ვარ, უნდა ამ უდაბურ ადგილებს მომაშოროს და უკეთესად მისასვლელ ადგილას ამაშენოს და გამახაროს».

ღამე ამ მთის წვერზე გაათია დადიანმა. კარგად დაიმახსოვრა ის ადგილი, სადაც კრავი თამაშობდა. მეორე დღეს წავიდა დაბლობისკენ. დაღამების ჟამს სასახლემდე მივიდა, შევიდა, საჭმელი შეჭამა, შემდეგ კი არავისთვის არაფერი უთქვამს, ისე გავიდა და წავიდა ზღვის ნაპირისკენ, სადაც კრავი თამაშობდა. გათენებისას იმ ადგილას იყო. გათენდა. მიმოიხედა იქით-აქეთ, მაგრამ ვერაფერი ნახა. ამასობაში მზე ამოიწვერა. მზე რომ ამოვიდა, დაინახა, რომ კრავი მზეს ეთამაშებოდა და შემდეგ ცაში კიბულს დაახტა.

ეწყინა დადიანს, რადგან იცოდა, რომ ცაში კიბულზე ასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ასულიყო.

ისევ მობრუნდა სასახლეში, საგზალი გამოაწყობინა, მეორე დილას, გათენებამდე გავიდა, წავიდა ისე, რომ არავისთვის არაფერი დაუბარებია. ამის შემდეგ ის არავის უნახავს დაბრუნებული. ამბობდნენ, რომ დადიანი ეშმაკმა გადაიბირაო. ყველაფერი ეს ეშმაკის გაკეთებული იყო. ის კი არავინ იცოდა, რომ იგი ოქროს კრავს დასდევდა. დადიანმა პირველ წასვლაზე გუდით რომ განძი მოიტანა,

მაშინვე დამალა. არავის უნახავს, თუ რა იყო მასში და არც არავინ იცოდა, თუ სად იდო. იგი ვერსად იპოვეს და დაიკარგა.

11. ოქროს კრავი და ალანის ხელმწიფის ქალიშვილი

როდის, ეს კაცმა არ იცის, მაგრამ ერთხელ ალანის ხელმწიფეს შემოუთვლია ჩვენი დადიანისთვის: «ჩემი ქალიშვილის მსგავსი გოგო ქვეყნად რომ არ არის, შენც იცი. ყირიმყოზის ხელმწიფის შვილისთანა ვაჟი მთელ ქვეყანაზე რომ არ არის, თქმა არ უნდა, ესეც კარგად იცი. ჩემს ქალიშვილს ვაძლევ იმ ვაჟს და შენ რომ ოქროს კრავი გყოლია, ის მალე უნდა გამომიგზავნო. რა საქონელიც გინდა, ყველაფერს ულევად მოგცემ. თუ ფული გინდა, შენს სიცოცხლეში რომ გეყოს, იმდენს. თუ არ გამომიგზავნე, მე იქით ვიქნები მომსვლელი და მაშინ შენი საქმე ცუდად იქნება ჩემი გარჯის გულისთვის».

დადიანს უნდა, როგორც ერგება, ისეთი სალანძღავი პასუხი გასცეს, მაგრამ უეცრად კრავი გაჩნდა.

«კრავს წასვლა უნდა», – თქვა ყველამ. ყველამ დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო. ეწყინა დადიანს, მაგრამ რა ქნას? ღმერთების ნებას ვერ გადავიდოდა.

დადიანს ჰყავს ერთი ვაჟი. არც სილამაზით და არც სხვა რამით ამგვარი ვაჟი ქვეყნად არ არის. მივიდა, დაიჩოქა კრავის წინ და ისეთი ტირილი დაიწყო, რომ ცრემლი ნიკაპზე ესკვნება. კრავმა ვაჟს თამაში დაუწყო. ვაჟი კიდევ უფრო ატირდა. ყველამ დაუშალა ვაჟს ტირილი, რომ ღვთის დადგენილისაგან გადახვევა შეუძლებელი იყო და ტირილი არ ეგებოდა.

წაიყვანეს კრავი ალანის ხელმწიფესთან. დადიანის ხალხიც მიჰყვება კრავს, მაგრამ დადიანმა დაარიგა ისინი, რომ არაფერი აეღოთ.

ალანის ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა, რომ კრავი უდავიდარაბოდ იშოვა. მოინდომა ულვეი საჩუქრის მიცემა დადიანის ხალხისათვის, საჩუქრის გაგზავნა დადიანისთვისაც, მაგრამ დადიანის კაცებმა უარი თქვეს. მათ უთხრეს:

«თქვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ დადიანი უარს იტყოდა, იმიტომ რომ კრავი ღმერთია და გაცემა მისი საქმე არ იყო და ვერც მისცემდა. უარი უნდა შემოეთვალა, მაგრამ, როგორც თქვენი ხალხი თავისი თვალით ხედავდა, კრავი თვითონ გაჩნდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ კრავს თქვენთან წამოსვლა უნდოდა. ეს არის, მოგიყვანეთ და, რადგან ეს ღვთის ნებით მოხდა, ვერაფერს გამოგართმევთ».

მთლად გაიხარა ალანის ხელმწიფემ ამის გაგონებით. თქმა არ უნდა, ბევრი იწუხა, საჩუქარს რომ არ იღებდნენ, მაგრამ რა ექნა!

გოგოს კრავი რომ მოუყვანეს, რა თქმა უნდა, გოგოს თავდავიწყებით შეუყვარდა კრავი. დღედაღამ მას ეთამაშება, ერთ წამსაც არ იშორებს თვალიდან. კრავი და გოგო მინდორში რომ თამაშობენ, კრავმა ნელ-ნელა ტყისკენ დაიწყო სვლა. ცოტათი რომ შევიდნენ ტყეში, კრავი გაჩერდა და ისეთი თამაში დაიწყო, რომ გოგოს თავი სანატრელი ჰქონდა. გახარებული გოგო კრავს ყელზე მაგრა მოეხვია ორივე ხელით. უეცრად გოგოს მოესმა: «ხელი მაგრად! არაფრის შეგეშინდეს!».

ამისი თქმა იყო და გოგო ჰაერში გამოეკიდა. გადადიან მთებზე, მდინარეებზე. გავიდა ხანი და კრავმა ქალიშვილი ერთ მინდორზე დასვა. გოგომ სული რომ მოითქვა, კრავი წინ გაუძღვა. გოგო რომ უკან გაჰყვა, უეცრად გადაჭედული სასახლეები არ გამოჩნდა! კრავი რომ შევიდა ეზოში, გოგოც შევიდა. დადიანის სასახლიდან რომ დაინახეს მზეთუნახავი ქალიშვილი და კრავი, სიხარულით კინაღამ გაგიჟდნენ. კრავმა ქალიშვილი, სადაც ვაჟი დგას, იქ მიიყვანა და მის წინ გააჩერა. გოგომ იკითხა, თუ სად იმყოფებოდა. ქალიშვილს უთხრეს, რომ დადიანის სასახლეში იმყოფებოდა და რომ ეს კრავი აქედან წავიდა. მოვიდა დადიანის ვაჟი და უთხრა: «არაფერი ინაღვლო! როცა იტყვი, მაშინვე წაგიყვან მე შენს მამასთან».

«ამას მე არასოდეს ვიტყვი. ჩემი ბედი აქ ყოფილა და მე აქ უნდა დავრჩე. კრავის გარეშე მე არ ვვარგვივარ. კრავი რომ სხვაგან არ მოიცდის, ამას ვხედავ. მეც აქ უნდა მოვიცადო. იმედია, რომ ერთი კაცის ლუკმა არ გაგიჭირდებათ».

«არა, შვილო, შენ თუ მოიცდი, ლუკმას შენ სხვას მისცემ. მე ასე ვფიქრობ. კრავს შენ ამ ვაჟისთვის ჰყავხარ მოყვანილი. ხედავდი, ჯიქურ მასთან რომ მოგიყვანა!».

გაიხარა გოგომ და დადიანს უთხრა: «აბა, შენ მამა და მე შვილი! ჩემი ბედი ეს ყოფილა და მე ბედნიერი ვიქნები».

გოგომ შეუთვალა თავის მამას, არაფერზე ედარდა, გოგო თავის ბედს უზომოდ უმადლოდა და მამას რამე დავიდარაბა არ აეტეხა.

როდი დაიჯერა ეს გოგოს მამამ! შეკრიბა ულუვი ჯარი, ამდენივე ჯარით ყირიმყოზის ხელმწიფეც თან წამოიყვანა და წამოვიდა დადიანის სახელმწიფოში ქალიშვილისა და ოქროს კრავის წასართმევად. მოაწია ამ ორმა ხელმწიფემ დადიანის სახელმწიფოს. დადიანი აქეთკენ საომრად დგას. ხვალ უნდა მოხდეს ამ ორი ჯარის ომი. ამაღამ, სადაც ის ორი ხელმწიფე წევს, იქ გაჩნდა ოქროს ვერძი და ორივე ისე დაბუზნა და გააბრტყელა, რომ სული ძლივს ედგათ. მეორე დღეს ომის მაგივრად ორივე ხელმწიფე მომაკვდავი წაიყვანეს თავიანთ ქვეყანაში.

12. ოქროს კრავი და დედინაცვალი

ყოფილა ერთი კაცი. ამ კაცს ცოლი მოკვდომია და მისგან დარჩენია ერთი მზეთუნახავი გოგო. დაქვრივებულს მაშინათვე მეორე ცოლი შეურთავს. მალე ამ ცოლსაც გასჩენია შვილი – ესეც გოგო. მაგრამ ეს გოგო ულამაზო ყოფილა. დედინაცვალს შეუძულებია გერი, ყოველთვის სცემდა, აშიმშილებდა, მათხოვრის ტანსაცმელს აცმევდა, ყოველნაირ საქმეს მას აკეთებინებდა და თხების და ცხვრების მწყემსად ჰყავდა.

ერთხელ ამ გოგოს ერთი კრავი დაეკარგა. ბევრი ეძება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გოგოს უფიქრია: შეიძლება კრავის ძებანში სხვებიც დამეკარგოს, ჯერ ამათ წავასხამ შინ და მერე მოვძებნიო. ასეც მოქცეულა. მიურეკია შინ თხა და ცხვარი და უთქვამს, ერთი კრავი დამაკლდაო. დედინაცვალს გაუფრთხილებია: თუ ვერ იპოვი, ტყუილად ნუ დაბრუნდები, გიჯობს, სადაც დაგეკარგა, იქვე ჩამოიხრჩო თავიო.

წასულა გოგო და უძებნია კრავი იმ ადგილას, სადაც დაეკარგა. გოგომ კრავი მალე იპოვა, მაგრამ ვერც დაიჭირა და ვერც სახლისკენ გადენა. იგი კუნტრუმებდა გოგოს წინ და ტყისკენ იტყუებდა. ამასობაში ბინდი ჩამოდგა. კრავი მივიდა ერთ გამოქვაბულთან, რომელიც მაღლა იყო კლდეში და შიგ შევიდა. ახლა გოგოს შეეძლო კრავის დაჭერა, მაგრამ რა ქნას? დიდ, უცნობ ტყეშია. საით წავიდეს არ იცის და მალე დაღამდება კიდევ. გოგო შევიდა გამოქვაბულში, ჩაეხუტა კრავს და დაემინა. გათენდა მეორე დღე. გოგომ თვალი რომ გაახილა, დაინახა, რომ ოქროს კრავთანაა ჩახუტებული. გაუხარდა გოგოს. ამაზე უკეთესს რას ინატრებდა, არასოდეს თეთრი დღე რომ არ ენახა: მიხვდა რომ უბედური არ ყოფილა.

კრავი ადგა და წავიდა. გოგო უკან მიჰყვა. ისევ ეს გამიყვანს სადმე ამ მთიდან და ტყიდან, თორემ მე აქედან ვერასოდეს გავალო – თქვა გოგომ და მიჰყვა კრავს უკან. დადის კრავი უცნობ ტყესა და მთაში, მისდევს გოგო. საკმაო ხანი რომ გავიდა, მივიდნენ ერთ ადგილას. ეს ადგილი სანახავად ენით უთქმელი სილამაზისა იყო და რაც ენასა და პირს შორის ხილი ითქმოდა, ყველაფერი აქ იზრდებოდა. კრავი აქ შეჩერდა. შეჩერდა გოგოც, და რადგან ძალიან შიოდა, დაუწყო ხილს ჭამა, მაგრამ იმდენი სხვადასხვანაირი ხილი იყო, რომელი ეჭამა აღარ იცოდა.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, კრავი ისევ გზას დაადგა. გოგოც გაჰყვა. ბევრი ტყისა და მთის გადავლის შემდეგ, მივიდნენ ერთ ღრმა წყალთან. კრავმა დალია, მერე ტანის ბანა დაიწყო. გოგომაც დალია და პირი და თავი დაიბანა. თმაზე რომ დაიხედა, ნახა რომ ოქროდ ქცეულიყო. გაუკვირდა, მაგრამ იცის, რომ ამას ყველაფერს ოქროს კრავი შვრება. ისევ წავიდა კრავი. გოგოც უკან გაჰყვა. ისევ მივიდნენ ხილი რომ იზრდებოდა იმ ადგილას. ისევ გაძღა გოგო ხილით. რამდენის წამოღება შესძლო, საგზლად წამოიღო. გაჰყვა გოგო ისევ კრავს და მალე მივიდნენ გოგოსთვის ნაცნობ ადგილას, სადაც მას კრავი დაეკარგა. გაიხედა და დაინახა დაკარგული კრავი. ოქროს კრავი გაუჩინარდა. ტირილი აუტყდა გოგოს, მაგრამ მერე თქვა, ალბათ როგორც ჯობს, ისე მოიქცა ოქროს კრავი, ტირილი არ შეიძლებაო და მაშინვე გაჩუმდა.

გოგომ გაიგდო წინ ეს ნაპოვნი კრავი და მალე შინ მივიდა. დედინაცვალმა გოგო ცოცხალი რომ ნახა და ისიც ოქროს თმით, ლამის გაგიჟდა. ეცა და თმის მოგლეჯა დაუპირა, მაგრამ ვერ მოიხელთა – ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდა. მაშინ ხელი დაავლო მაკრატელს და გაკრეჭა დაუპირა. მაკრატლის პირები რომ შეაერთა, მან არ გაკრიჭა თმა. სამაგიეროდ, იქვე მდგარი მისი ქალიშვილის თმა მიწაზე ცვიოდა. – დედავ, თავი დაანებე, ვერ ხედავ, მისი თმის ნაცვლად ჩემი თმა რომ იკრიჭება? როცა ქალმა შეხედა და დაინახა ეს საშინელება, მაკრატელი გაასწორა და უნდოდა გერისთვის თვალში ეტაკებინა, მაგრამ ქმარმა ხელი დაუჭირა.

– ქალო, ვერ ხედავ? მაგისთვის რომ გინდა ის შენს ქალიშვილის რომ ემართება? არ გაგიჟდე და თვალი არ ამოუგდო შენს გოგოს.

– მართალი ხარ, – უთხრა ქალმა, – მზაკვართან გვაქვს საქმე. ეს ქაჯთან, ალბათ ტყაში მაფასთან ყოფილა. თვალით არ დამანახო. ქალმა თვალები დახუჭა და კივილი დაიწყო.

ეს ქალი ქმარს თავზე ჰყავდა მომჯდარი და რა უნდა ექნა იმ გაჭირვებულ კაცს. გაიყოლია თავისი ქალიშვილი და ისევ იმ ტყეში წაიყვანა. მიიყვანა ისევ იმ გამოქვაბულში, დატოვა და უთხრა: – საჭმელს მე მოგაწვდი, შვილო, და მერე, ალბათ, ღმერთი სასიკეთოდ დაადგამს საჭმეს თავს. როცა მამა გამოქვაბულიდან გამოვიდა და ცოტა გაიარა, ოქროს კრავი გაჩნდა გოგოსთან. გახარებულმა გოგომ მამას მიაძახა:

– მამა, არაფრის შეგეშინდეს. ოქროს კრავი ჩემთანაა. საჭმელზე ნუ სწუხარ.

იმ ღამეს გოგო ჩაეხუტა ოქროს კრავს და თითქოს ქვეყანა მისი ყოფილიყო, ისე ტკბილად დაიძინა.

როცა გათენდა და გაიღვიძა, სადღაა ოქროს კრავი. გულდამწვარმა დაიწყო ტირილი. მაგრამ მერე თავი იმით ინუგეშა, რომ გაჭირვებისას მას ისევ ოქროს კრავი დაეხმარებოდა. ამ დროს გოგოს წინ გაჩნდა იარაღში ჩამჯდარი ტარიელივით ვაჟი. ეს ყოფილა ხელმწიფის შვილი, სანადიროდ წამოსული, დაღამებია და ამ გოგოსავით მასაც ტყეში გაუთენებია ღამე.

– ადამიანი ხარ თუ სხვა რამ? – ჰკითხა ბიჭმა.

– სხვა რამეს თუ ვგავარ, თავი დამანებე, შენი ჭირიმე. მე შენთვის არ დამიძახხნია და არც არაფერი დამიშავებია.

– შენი სილამაზე, ოქროს თმა, ღამეს ტყეში ათევ – ტყაში მაფად მიგიღე და იმიტომ გკითხე.

– შენც ლამაზი ხარ, კარგი ხარ, შენც, ალბათ, ტყეში იყავი წუხელ, მაგრამ მე არც დევად ჩამიგდიხარ და არც ქაჯად, – და გოგომ უამბო თავისი ამბავი.

– მე ხელმწიფის შვილი ვარ, ნადირს მივსდევდი, დამიღამდა და აქ გავათენე ღამე – როგორც ვხედავ, შენთან ძალიან ახლოს. როგორც ჩანს, – განაგრძო ვაჟმა, – მე და შენ ერთმანეთის უნდა ვიყოთ. ასე განუწყესებია ჩვენს ბედს. თუ გინდა წამომყევი, თავს შემოგეველები, დედოფალი იქნები. მეტი რა ვქნა?

– თქვენ ხელმწიფის შვილი, მე ვიღაც დაკარგული და გაჭირვებული; ვერ უნდა გავბედო თქვენი გამოყოლა, მაგრამ ბედს რომ ამბობთ, ჩემს ბედს ოქროს კრავი განაგებს. თქმა არ უნდა, მან დამიცვა ღამით წუხელ აქ და, რადგან ეს ასეა, უნდა დავემორჩილო. ვაჟმა გოგო წაიყვანა.

ორი-სამი დღე რომ გავიდა, მამამ საჭმელი წაიღო გოგოსთან, მაგრამ იგი ვერსად ნახა. ატირებული დაბრუნდა მამა შინ. ცოლი გაგიჟებულივით დახვდა.

– რა ამბავია, ქალო, რა მოხდა?

– რა მოხდა და შენი სიკვდილი, შენი მოსპობა, შენი გაქრობა. ამბობენ ხელმწიფის შვილს ოქროსთმიანი გოგო მოუყვანიაო. ეს ნამდვილად ის შენი მზაკვარი გოგო იქნება.

გულში გაუხარდა მამას, მაგრამ ცოლთან როგორ გაბედავდა რაიმეს.

– ის მზაკვარი გოგო ღრმა წყალს რომ ამბობდა, ნამდვილად ტონბა-ვარჩხილი იქნება, სადაც თავი დაუბანია და თავისი დასატირებელი თმა ოქროდ გადაქცევია. წაიყვანე ეს გოგო და იქ თავი დააბანინე და ტანიც. ამას ეკუთვნის ხელმწიფის ცოლობა, თორემ იმ მზაკვარ პრანჭიას როგორ ერგება.

– კარგი, ქალო, მაგრამ ოქროს კრავის საჭმელს მე ხომ ვერ შევასრულებ? რაიმე ცუდი რომ მოხდეს, მაშინ რაღა ვქნათ?

– მაშინ შენი სიკვდილი და მოსპობა. შენი მზაკვარი გოგო ხელმწიფის ცოლი იყოს და ჩემი – თხებისა და ბატების მწყემსად დარჩეს? ასეთ ყოფას, სულ არ იყოს სჯობია. წადი, წაიყვანე გოგო ტონბა-ვარჩხილთან და როგორც გითხარი, ისე მოიქეცი.

რა უნდა ექნა გაჭირვებულ კაცს. გაიყოლია გოგო და წავიდა ტონბა-ვარჩხილისკენ. დიდი გაჭირვებითა და ჭაპანწყვეტით, როგორც იქნა მივიდა იქ.

გოგომ თავი რომ დაიბანა, თმა ოქროდ გადაექცა, ტანი რომ დაიბანა, ტანსაცმელი, რაც ეცვა, ოქროდ იქცა. გახარებული გოგო და მამა დაბრუნდნენ შინ. დედა სიხარულით ლამის ცაში აფრინდა. იგი მივარდა გოგოს და ჩაეხუტა. მაგრამ როგორც კი გოგოს დედის ხელი შეეხო, თმა დაუცვივდა და ტანისამოსი ჟანგიან სპილენძად ექცა. გაგიჟდა და გადაირია დედა; ამას, ნამდვილად, ის შენი მზაკვარი გოგო შვრებაო. მაგრამ ამ ამბავს წყევლა და წყრომა რაღას უშველიდა. ზის გოგო და თურქსა და ურიას გულს რომ დაუთუთქავს, ისე ტირის. ბოლოს წავიდა დედა მკითხავთან. მკითხავმა უთხრა: შენი ქალიშვილის ხსნა მხოლოდ ოქროსთმიან გოგოს შეუძლია. თუ ის ღმერთს შეეხვეწება, გეშველებაო.

მეორე დღეს ქალი წავიდა ხელმწიფის სასახლეში. მოახსენეს ხელმწიფეს, თუ რისთვის იყო იგი მოსული.

ხელმწიფემ დაიბარა თავისი რძალი და უთხრა: – ვიღაცა ქალია მოსული, მკითხავის რჩევით. ამბობს, რომ მის ქალიშვილს თმა აქვს დაცვენილი, ხოლო ტანსაცმელი სპილენძად ქცევია, თუ ოქროსთმიანი გოგო შეეხვეწება ღმერთს, ქალიშვილი შეიძლება გადარჩესო, ასე უთქვამს მკითხავს. შენ გაქვს, შვილო, ოქროს თმა. თუ რამე შეგიძლია, დაეხმარე გაჭირვებულს.

– ნამდვილად ჩემი სულკატინი დედინაცვალი იქნება. მაგრამ ჩემი მათთან წასვლა არ შეიძლება, ბატონო, უბრძანეთ აქ მოიყვანონ გოგო და დედ-მამაც მოჰყვებს.

ხელმწიფემ ბრძანა, მოეყვანათ ქალიშვილი და დედა და მამაც მოსულიყვნენ. სამივენი მოვიდნენ.

როცა ეს, აქამდე გაუგონარი, ამბავი გავრცელდა, ურიცხვი ხალხი შეგროვდა. გამოვიდა გოგო და უკან მოჰყვნენ დიდებული ქალები და კაცები. აქ არიან ხელმწიფე და მისი შვილიც. გოგოს მამამ რომ ესენი დაინახა, დაიჩოქა.

– ადექი, მამა, როცა მე დავიჩოქებ, შენც მაშინ დაიჩოქე. გოგომ სახე ცაში კიბულისკენ მიაბრუნა და თქვა: «მაღალო ღმერთო, ჩვენს წინაშე დგას თქვენი განგებით დასჯილი გოგო. მსგავსი ცოდვის კითხვა ჯერ კაცს არ უნახავს. ამ საქმეში წილი ოთხ ადამიანს უდევს: მე, მამაჩემს, ჩემს ნახევარ დას და ჩემს დედინაცვალს. თქვენი ნათქვამია, რომ ოქროსთმიანმა გოგომ იხვეწოსო. თქვენი წყალობით მაქვს მე ოქროს თმა. რადგან ასეა, მე ვბედავ თქვენს წინაშე ვედრებას: მაღალო ღმერთებო, – გოგომ მუხლებზე დაიჩოქა, – გთხოვთ, თუ ამ გოგოს ასეთი მძიმე ცოდვა აწევს, დარჩეს ისე, როგორც არის. თუკი უცოდველია და სხვის გამოა ასეთ მდგომარეობაში, მაშინ იმას დაემართოს ყველაფერი ეს, ვისაც ეკუთვნის».

როგორც კი ეს თქვა ხელმწიფის რძალმა, გოგო ისეთივე გახდა, ადრე რომ იყო, ხოლო მის დედას, იქვე რომ იდგა, თმა დასცვივდა და ტანისამოსი ჟანგიან სპილენძად გადაექცა.

ამბობდნენ, რომ ეს ქალი მუდამდღე დადიოდა მაღალ გორებზე, დადგებოდა წვერზე და მთელი სოფლის გასაგონად დაიკვილებდა: ვაი დედინაცვალს! უი მამინაცვალს, რომლებიც ობლებს სიყვარულით არ უვლიანო.

13. შავი ტყე, ოქროს კრავი და ქალი და ვაჟი

ყოფილა ერთი დადიანი. ჰყოლია ერთადერთი ვაჟი. გარდაცვლილა ვაჟის დედა და დადიანს მეორე ცოლი მოუყვანია. ამ ქალს შვილი რომ გაუჩნდა, გერი შესძულებია. უნდოდა, მისი ნაშიერი ყოფილიყო დადიანის ტახტის მემკვიდრე. ისეთი შავზნელი რამ მოუგონებია მისთვის, რომ დადიანს გადაუწყვეტია ამ ვაჟის მოკვლა, მაგრამ აშკარად სისხლის დაქცევას მორიდებია, რადგან ხალხი სხვანაირად იფიქრებდა. დაუბარებია თავისი მთავარი ვეზირი და უბრძანებია, ვაჟი წაეყვანა შავ ტყეში და იქ დაეტოვებინა.

ეს შავი ტყე ყოფილა დადიანის საზღვარი. მეორე მხრიდან სხვა სახელმწიფო ესაზღვრებოდა. ამ ტყეში ძეხორციელი არასოდეს ყოფილა ნამყოფი, რადგან ყოველგვარი მავნე სულის სამყოფელად მიაჩნდათ. იმდენად ერიდებოდნენ ამ ტყეს, რომ შეხედვისაც კი ეშინოდათ. არავის გაუგონია იქ რამე შესულიყო და შემდეგ ცოცხალი დაბრუნებულიყო. ადამიანები ერთმანეთს რომ წყევლიდნენ, ყველაზე მწარე წყევლად შავი ტყის მოხსენიება მიაჩნდათ. ამ ტყის მეორე მხარეზე მდებარე სახელმწიფო დადიანის სახელმწიფოს მოსისხლე მტერი ყოფილა. ისე რომ, ამ ორი სახელმწიფოს ხალხები ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავდნენ, უხსოვარი დროიდან ასეთი ურთიერთობა ყოფილა ამ ორ სახელმწიფოს შორის.

უზომოდ წყენია თურმე ვეზირს სრულიად უდანაშაულო ვაჟის გაწირვა, მაგრამ რა ექნა. წაუყვანია იმ ტყეში, ცოტა საჭმელი დაუტოვებია მისთვის და წამოსულა. სხვა არაფერს რომ არ მოეკლა, მხოლოდ ტყის შიში მოკლავდა ამ ვაჟს, მაგრამ უეცრად გაჩნდა ოქროს კრავი და წაუძღვა წინ. ვაჟი გაჰყვა უკან. მიდის მთა-მთა ეს ბიჭი ისეთ ურუმ ტყეში, რომ ზემოთ ცაც კი არ ჩანს, მაგრამ ოქროს კრავის იმედი აქვს. ბოლოს გამოვიდნენ ერთ ადგილას, რომელიც ამ მთის წვეროზე იყო.

ეს ადგილი სხვა ქვეყნის არცერთ ადგილს არ ჰგავდა. სამოთხეც ვერ გაუტოლდებოდა მას. რა მოუნდებოდა სულსა და გულს, აქ რომ არ ყოფილიყო. ერთხელ რომ ნახავდა კაცი, უსიკვდილოდ მთელი სიცოცხლე არ მოშორდებოდა ამ ადგილს. ყოველ კლდეში გამოქვაბული იყო სახლები, რომლებიც ისე იყო მორთული და ისეთი კარგი და ლამაზი რამეებით სავსე, კაცის თვალს რომ არ უნახავს არასოდეს.

კრავმა ვაჟი აქ დატოვა და გაუჩინარდა. დადის ეს ვაჟი აქ, მარტოა, მაგრამ როგორც ყოველ სულდგმულსა და თვალის ჩინის მქონეს არ მოსწყინდება არასოდეს, ისე მასაც არ მოსწყენია. ცოტა ხანი რომ გავიდა, დაინახა მზეთუნახავი გოგოს ოქროს კრავი წინ მოუძღვება და მოდიან. გაოგნდა ვაჟი, სუნთქვა შეეკრა. კრავმა გოგო პირდაპირ ვაჟთან მოიყვანა. შემდეგ გაუჩინარდა.

– ვინა ხარ? – ჰკითხა გოგომ ვაჟს.

– მე კი არა, შენ ვინა ხარ? ადამიანი ხარ თუ სხვა რამ? რამ მოგიყვანა აქ?

– მე ადამიანი ვარ, – მიუგო გოგომ, – ჩემმა შავმა ბედმა მომიყვანა. მე აქ სიკვდილს ველოდი, თორემ ადამიანს თუ ვნახავდი, ამას არასოდეს ვიფიქრებდი. მე ვარ ამა და ამ ხელმწიფის ქალიშვილი, დედინაცვალისაგან გამოძევებული.

ეს გოგო იყო ამ ვაჟის სახელმწიფოს რომ მტრობდა, იმ ხელმწიფის ერთადერთი ასული. მსგავსად ამ ვაჟისა, ისიც დედინაცვლის მიერ იყო გამოგდებული დასაკარგავად ამ შავ ტყეში.

– შენ თუ იმ ხელმწიფის შვილი ხარ, უნდა მოკვდე, – უთხრა ვაჟმა.

– რა დამიშავებია შენთვის? – ჰკითხა გოგომ.

– არაფერი, მაგრამ მე ვარ ამა და ამ ხელმწიფის შვილი. შენსავით დედინაცვალმა შემიძულა და აქ გამომავდო დასაკარგავად. თქმა არ უნდა, ბედს ასე გაურიგებია – შენ უნდა მოკვდე ჩემი ხელით.

– მაგრამ არაფერი რომ არ დაუშავებია, ისეთი ქალიშვილების მოკვლა კანონში უწერიათ შენს ქვეყანაში?

– არა, მაგრამ გველი, დედალია თუ მამალი, მაინც უნდა მოკვლათ. – და ვაჟმა ამოიღო ხმალი.

– როგორც მამალი, ისევე დედალი გველისთვის თავის დასაცავი მოუცია ღმერთს. – ამის თქმა იყო და გაიღვა გოგოს ხელში ხმალმა. აქეთ ვაჟს მოუღერებია ხმალი და მოსაკლავად მივარდნენ ერთმანეთს. ამ დროს, ზოგი ამბობს, ძალიან ახლოს მეხი დაეცაო, ზოგნი იტყვიან, კაცის გადამყლაპველივით რაღაცამ უსაშველოდ დაიკვივლაო, ზოგი ამბობს, მიწა იძრაო და ამგვარად, ქალსა და ვაჟს შიშისაგან ხმლები გაუცვივდათ და ერთმანეთს ჩაეხუტნენო. ზოგი ოქროს კრავს მიაწერს ამას. ზოგი იტყვის – მე ვერ მოგკლავ, – უთხრა ვაჟმა ქალს, – შენ მომკალიო – და ხმალი პირველად მან დააგდოო. ვერც მე მოგკლავო, უთხრაო ქალმა და ხმალი იმანაც დააგდოო. რომელია მართალი, კაცმა არ იცის, მაგრამ ერთი კი უეჭველია, რომ უძველესი დროიდან ერთმანეთის დასახოცად უსაშველოდ გადამტერებული ხალხის ვაჟი და ქალი, ერთმანეთის დახოცვის მაგივრად, თავდავიწყებული სიყვარულით ჩაეკონა ერთმანეთს.

ეს ვაჟი და ქალი ერთად იყვნენ. დრო რომ გავიდა, გაუჩნდათ ერთი შვილი. დღეს რომაა ეს ბავშვი, ხვალ უფრო დიდია. ისე იზრდება, რომ კაცის თვალი შეამჩნევს. ძალა მიეცა, დევივით გახდა. დადის იქით-აქეთ, მაგრამ ვერაფერს ხედავს ზემოთ ცისა და ქვემოთ ტყის მეტს. ერთხელ ჰკითხა დედ-მამას, რატომ იყვნენ ისინი ისეთ ადგილას, სადაც კაცის სახსენებელი არ იყო და სულიერი არ ჭაჭანებდა. როცა ბიჭმა შეიტყო, თუ რაშინ იყო საქმე, აიღო მშვილდ-ისარი და დააპირა მამის სახელმწიფოში წასვლა. ამ დროს გაჩნდა ოქროს კრავი და ბიჭს წინ წაუძღვა. როცა ტყიდან გამოვიდნენ, კრავი გაქრა.

მივიდა სასახლეში და ბაბუას შეუთვალა, რომ შენი შვილიშვილი მოვედი და მამაჩემის სახელმწიფოს ვეძებო. თანაც მარტო ამას არ სჯერდებოდა: ამავე დროს, მისთვის უნდა მიეცათ მამამისის დედინაცვალი და თუ ნებით არ მისცემდნენ, მაშინ საქმე ძალაზე მივიდოდა.

მოახსენეს ხელმწიფეს მისი შვილიშვილის გამოჩენა და ყველაფერი რასაც თხოულობდა ვაჟი. იმავე დროს ხელმწიფეს ურჩიეს, რომ ეს ნებით გაეკეთებინა, თორემ საქმე ძალაზე თუ მიდგებოდა, ვერ გაუმკლავდებოდნენ. ეს ვაჟი ძალით თავისას იზამდა და ტყუილ-უბრალოდ ხალხი გაწყდებოდა.

ხელმწიფეს ეს არ ეწყინა, პირიქით, გაუხარდა – იმდენად ჰქონდა თავი მობეზრებული ამ ქალისაგან.

როცა გამოიყვანეს მამამისის დედინაცვალი, ვაჟმა იმნაირი რკინის პალო დაასო, რომ ათასი კაცი ვერ ამოაძრობდა. ამ პალოზე ქალი ისეთი ხაჯალურით მიაბა, ათასი დევი ვერ გაგლეჯდა.

– ეს აქ იყოს ჩემს მოსვლამდე, – თქვა ვაჟმა, – ამის გვერდით უნდა მივაკრა ჩემი დედის დედინაცვალი.

ისევ ოქროს კრავის წაძლოლით, ეს ვაჟი მივიდა დედის მხრივ ბაბუის სახელმწიფოში. იქაც ასევე მოითხოვა. თურმე ამ ხელმწიფეს კიდევ უფრო მეტად ჰყოლია ყელში ამოსული ეს ქალი და მანაც, კრინტი სიტყვა რომ არ უთქვამს ისე, მისცა ვაჟს მისი დედის დედინაცვალი. წამოიყვანა იგი ვაჟმა და იმ პალოს მეორე მხარეზე მიაბა. მერე წავიდა, იმ შავ ტყეს ცეცხლი მოუკიდა და ისე გადაბუგა, რომ არსად არაფერი დარჩენილა. მას შემდეგ დაერქვა იმ მთას შავი მთა. ამ მთაზე ამის შემდეგ არსად ტყე არ ამოსულა. თავისი დედა და მამა გახადა ორივე სახელმწიფოს ხელმწიფედ და დედოფლად. და ამგვარად, ამ ორი სახელმწიფოს ხალხი ურთიერთს რომ თოფით ხოცავდნენ, ახლა სულში და გულში უძვრებოდნენ ერთმანეთს.

14. ოქროს კრავის მამებარი გოგო

აშურის ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყოლია. ამ გოგოს მეტი ამ ხელმწიფეს არავინ გააჩნდა. ეს გოგო ისეთი ლამაზი ყოფილა, მისი მსგავსი კაცს არასოდეს ენახა. ქვეყანა გაოცებული იყო მისი სილამაზით. ეს ხელმწიფე ძალიან მდიდარი ყოფილა და, რამდენადაც ამ გოგოს მეტი არავინ ესვა, ძალიან თამამად ჰყოლია აღზრდილი; თურმე რასაც იტყოდა, ყველაფერს უსრულებდნენ. ამგვარად, ეს გოგო დაეჩვია და, რაც თავში მოუვიდოდა, ან ყურში ჩაწვდებობა, მოისურვებდა და მაშინვე რომ არ შეესრულებინათ, კაცს სიქას გააცლიდა, თავის ტვინს ამოართმევდა.

ერთხელ ამ გოგომ ოქროს კრავი მოითხოვა. ოქროს კრავი მინდა და მომიყვანეთო. ზოგმა თქვა, დედამ დაარიგაო, ზოგმა კი – გამდელმაო. მაგრამ სიმართლე მაინც არავინ იცოდა – დედამ წააქეზა, გამდელმა, თუ თვითონ მოჰკრა ყური და თავისით ისურვა. მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: თქვა და გათავდა. ახლა მხოლოდ ერთი გზა იყო დარჩენილი: მთელი სახელმწიფო ფეხზე უნდა დამდგარიყო და გოგოს ნათქვამი შეესრულებინათ. გაოგნებული იყო საწყალი მამა, არ იცოდა, რა ექნა.

– ეს რა მოინდომე, შვილო? ასეთი რამ არც გამიგონია და არც თავში მომსვლია არასოდეს.

– შენ თუ არ გაგიგონია, მე გამიგონია, მამა! ვიცი, რომ არსებობს და, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, მომიყვანეთ. თუ მომიყვანთ, მოვრჩები, თუ არ მომიყვანთ, მოვკვდები.

აი აქეთ, აი იქით, დაფაცურდა გაჭირვებული მამა. ბოლოს გაიგეს, რომ ჩვენს სახელმწიფოში იყო ოქროს კრავი. მაგრამ რა ქნან? ამას ჰკითხეს, იმას ჰკითხეს, თუ საქმე როგორ მოეგვარებინათ.

ეს გოგო არც სვამს, არც ჭამს, ფეხს ურტყამს კედელს და გაუჩერებლივ იძახის, ოქროს კრავი მომიყვანეთო. როცა სხვა კრავები მიუყვანეს, კვილით აიკლო იქაურობა.

დაუძახა ხელმწიფემ ვეზირებს, იმსჯელეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს, კაცები გამოეგზავნათ ჩვენს სახელმწიფოში.

ხელმწიფემ მოაყვანინა ერთი კრავი და აწონა. სამჯერ იმდენი ბაჯაღლო ოქრო მეორე მხარეზე აწონა და ჩაქდა ზანდუკში. ცალკე ხელმწიფისა და ცალკე დედოფლისათვის გამოაწყო რაც შეიძლებოდა ძვირფასი, შესაფერისი საჩუქრები, გამოაყოლა ერთი უფროსი ვეზირი და გამოგზავნა კაცები ჩვენს ხელმწიფესთან. შემოუთვალა ჩვენს ხელმწიფეს თავისი გასაჭირი და თხოვა რაიმე ელონა.

მოვიდნენ აშურის ხელმწიფის კაცები თავიანთი ძღვენით ჩვენს ხელმწიფესთან. გამოაჩინეს მოტანილი საჩუქრები და მოახსენეს დადიანს, თუ რისთვის იყვნენ მოსული. ძალიან ეწყინა დადიანს.

– რატომაა, ბატონო, ასე რომ გეწყინათ და შეწუხდით? – ჰკითხეს გამოგზავნილმა კაცებმა.

– როგორ არ მეწყინოს და არ შევწუხდე, შვილო, – უპასუხა დადიანმა, – თქვენ ისეთ საქმეზე ხართ მოსული, რომ ვერაფერში დაგეხმარებით და ვერც ვერავინ დაგეხმარებათ. გაგიგონიათ ოდესმე, შვილო, ღმერთი გაეყიდოთ, ან ვინმესთვის ეჩუქებინოთ? ოქროს კრავი არავის ფარაში არ არის. იგი ღმერთია. გასაჩუქრება ან გაყიდვა რომ გინდოდეს, თავს ვის დააჭერინებს, ან ვინ გაბედავს დაჭერას? ასე რომ, თქვენს დიდებულ ხელმწიფეს ვერაფრით დავეხმარები. ერთი შვილი ჰყავს, სულს ურჩევნია, ავად არის, დახმარებას თხოულობს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში ამ მოსულ კაცებს, მაგრამ რა უნდა ქნან. ამ დროს გამოვიდა დედოფალი და თქვა:

– რა მოხდა, კაცებო? რამ წაგახდინათ? უსაშველო არასოდეს არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე და არც ახლა იქნება.

– თუ რამე საშველი არსებობს, ეს მხოლოდ ღმერთს ეცოდინება. მეც ეს მინდა, – თქვა დადიანმა, – სულით და გულით, თავს სასიკვდილოდაც არ დავზოგავ.

– როგორ შეიძლება ვუშველოთ? – იკითხა დედოფალმა, – ჩვენ ვიცით, რომ გოგო ავადაა. ისიც ვიცით, რომ ავადმყოფს წამალი მოუხდება. ჯერ ვუწამლოთ, შემდეგ კრავიც ვაჩვენოთ და მორჩება გოგო.

– ჭირი ღმერთმა გაშროთ, თუ არის რაიმე წამალი, მეც ეს მინდა. მითხარით როგორ შეიძლება შველა?

– მართალია, კრავის დაჭერა არავის შეუძლია. ჩვენ იმის ნებაზე დავდივართ, ის კი ჩვენს ნებაზე არასოდეს გაივლის, მაგრამ, ამასთან ერთად, შენ იცი, რომ ჩვენი ვაჟი ყოველთვის ხედავს კრავს და ეთამაშება. ისიც იცი, რომ ჩვენს ვაჟს კრავის ბეწვი აქვს. გავაგზავნოთ ვაჟი, წაიღოს ბეწვი, შეულოცოს, ცოტა შუბლზე დააკრას, ცოტა კისერზე და ცოტა მკერდზეც. ეს სამჯერ უნდა გააკეთოს, დღეგამოშვებით. ვიცი, რომ ეს უშველის. თუ ამან არ უშველა, მაშინ სხვა რამე ვიღონოთ. მანამდე კი ნურც ვიკვნესებთ და ნურც ვიტირებთ.

– გაგიჟდი, ქალო? – თქვა დადიანმა, – ერთი კაკალი ვაჟიშვილი მყავს სულის მოსახსენებლად. ცაში და დედამიწაზე ღმერთს მეტი არაფერი მოუცია, ასე შორს სად გავუშვა.

– სად და ამათ ხელმწიფესთან, – მიუგო დედოფალმა, – ჩვენ რომ გაგვჭირვებოდა, ამათი ხელმწიფე ისეთია, რომ ერთი კაკალი გოგო რომ ჰყავს, იმასაც გამოგზავნიდა ჩვენს დასახმარებლად. ახლა მითხარი, როგორი იქნება, მას რომ უჭირს, ჩვენი ვაჟი არ გავაგზავნოთ მის დასახმარებლად? ბიჭისთვისაც უკეთესია, გაივლ-გამოივლის, დიდებულ ხელმწიფეს, დიდებულ დედოფალს,

დიდებულ ხალხს, დიდებულ ქვეყანას გაეცნობა. ჩვენ ხომ მუდამ არ ვიქნებით და, როცა ჩვენ არ ვიქნებით, ის დიდებული ხელმწიფე და ხალხი ძმურად მხარში ამოუდგებიან.

ყველას მოეწონა დედოფლის სიტყვა და გადაწყვიტეს ასე მოქცეულიყვნენ. ამბობდნენ, რომ ჩვენს დედოფალს, ამ საქმეში, იმ მეორე სახელმწიფომდე რომ აღწევს, ისეთი კუდი ჰქონიაო.

როცა ეს უთხრეს ვაჟს, ცოტათი იუხერხულა, მაგრამ უფრო გაუხარდა, ვიდრე ეწყინა, რადგან დედამისმა ყურში რაღაც ჩაუჭურჩულა.

ეს ბიჭი ისეთია, ისეთი კარგი და ლამაზი, რომ ციდან ანგელოზები ჩამოდიან და ეთამაშებიან; როცა ტყეში წავა, ტყაში მაფები შორიდან უვლიან და ტკბილ ნერწყვს ყლაპავენ.

ხელმწიფე და დედოფლისთვის გაამზადეს ორჯერ მეტი საჩუქრები, ვიდრე იმათ გამოაგზავნეს. კრავისთვის გამოგზავნილი ოქრო დააბრუნეს, გაუშვეს ვაჟი და თან გააყოლეს ბევრი დიდებული კაცი.

სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, წინ მახარობელი გაუშვეს. ერთი ჩოჩქოლი ატყდა სასახლეში – ოქროს კრავი მოჰყავთო. როდესაც ესენი მივიდნენ, ნახეს, რომ ოქროს კრავი არ ჰყავდათ თან, მაგრამ ამ ბიჭის ხილვამ ყველას ყველაფერი დაავიწყა, ამაზე შერჩათ თვალი. როცა გოგოს უთხრეს, ტლინკები ჰყარა.

– სადაური ბიჭი, ვისი ბიჭი; ღმერთმა დამიფაროს, ბიჭი ექიმად მედგეს. ბიჭს როგორ გავიკარებ ახლოს, არ დამენახოსო.

როდესაც დედას არაფერი გამოუვიდა, გამდელი შევიდა, ერთი აქედან უთაქა, მეორე – იქიდან.

– ჰაიტ, შე ტლინკიავ, შე როკაპო, შე კაპუეტო. კაცის შვილად გაგზარდე თუ ქაჯად? გაისწორე მალე თმა, წარბი, თვალები განაბე, დასამიწებელი ტუჩები არ მოკუმო და ნურც ჩამოუშვებ; შეკარი, თითქოს კოცნა გინდოდეს, შავი მიწა დავაყარე შენს თვალებს, არასოდეს რომ არ დაგესიზმრებოდა, ისეთს ნახავ და კიდევ იღრინები და ტლინკებს ისვრი?

– კარგი, კარგი. რადგან საშველი არაა, კარგად შემხედე, როგორი ვარ, სირცხვილი იქნება სხვა სახელმწიფოს ხალხს უშნოდ ვეჩვენო.

– აგრე თქვი, შე პრანჭიავ, შე შემარცხვენელო, შე მზაკვარო და ისე მოიქეცი, როგორც ხელმწიფის ასულს შეშვენის.

– როგორ უნდა მოიქცეს ხელმწიფის ასული, გადიავ?

– როგორ და თაფლივით, შაქარივით, შარბათივით, ყველას რომ სანატრელად მიაჩნდეს.

გოგო მოემზადა და თან თვალები ააჟუჟუნა. შემოვიდა ვაჟი, ხელმწიფე და მოსული ხალხი – ყველანი თან ახლდნენ.

– როგორ ბრძანდებით, დიდებულო ხელმწიფის ასულო? – ჰკითხა ვაჟმა.

– როგორც სიკვდილს უნდა ისე, – მიუგო გოგომ, თან თვალების ქვემოდან ერთი ძალულად შეხედა. გოგოს მაშინვე ვარდივით შეეფერა ღაწვები.

– სიკვდილის მე არ მეშინია, ბატონო, სიკვდილს თქვენთან რა უნდა.

– მე ძალიან მეშინია. კრავი რომ მოგეყვანა, მაშინ შეიძლება არ მოვმკვდარიყავი. რატომ არ მოიყვანე კრავი, თუ ჩემი შველა გინდოდა?

– თქვენ რომ კრავს თხოულობთ, ეს ნიშნავს, რომ იცოცხლებთ. სიკვდილზე ფიქრი ზედმეტია. თანა მაქვს კრავის ბეწვი და წამლად ეს იხმარეთ. იმედი მაქვს, რომ გიშველით. თუ ოდნავ მოგიხდათ, საქმე კარგად წავა. კრავის ამბავი მერე ვილაპარაკოთ, ბატონო.

– როგორ გინდათ კრავის ბეწვი წამლად იხმაროთ?

– შელოცვით, ცოტ-ცოტა შუბლზე, კისერზე და მკერდზე უნდა მიიკრათ სამჯერ, დღეგამოშვებით. მე იმედი მაქვს, დღესვე მოგიხდებათ. თუ დღეს არაფერი გამოვიდა, ხვალ აღარ შეგაწუხებთ.

– თქვენ თქვენი ხელით გინდათ წამალი გამიკეთოთ?

– გამოგზავნილი ვარ, რომ თქვენ გემსახუროთ, ბატონო, თუ საჭირო იქნა სიცოცხლესაც შემოგწირავთ. ბეწვის მიკვრა ყველას შეუძლია, მაგრამ მიკვრის დროს შელოცვა უნდა. ამის გარდა, ამ ბეწვს, რომელიც წმინდად მიაჩნიათ და მართლაც ასეა, ჩემს მეტი არავინ შეხებია ჯერ და მეშინია, ძალა არ დაეკარგოს. კიდევ უფრო მაფიქრებს და მეშინია, სხვისი შეხებით მთლად არ გაქრეს.

– თქვენ როგორ იტყვით, ჩემო დედ-მამავ?

– ეს რა საკითხავი და სალაპარაკოა, შვილო? ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში კაცი მოვიდა თქვენს გამო და როგორ შეიძლება არ დავყვეთ მის ნათქვამს?

– კარგი, მაშინ რა გაეწყობა. როგორ გგონიათ, სხვისი თვალი ხომ არ ავნებს? – იკითხა გოგომ.

– აქ ვინცაა, იმათ თქვენთვის არცერთს ცუდი არ უნდა, არც ერთი არ დანავსავს, მაგრამ, რადგან თქვით, აღმზრდელების გარდა ყველანი თუ გავლენ, აჯობებს.

შიგნით დარჩნენ მხოლოდ დედა და გამდელი. ვაჟმა ამოიღო წამალი, გახსნა ბეწვი.

– შეიძლება ვნახო რანაირია?

– რატომ არა, ბატონო, მაგრამ ხელი არ ახლოთ.

გაახილა გოგომ თვალები, ერთი დახედა ბეწვს და შემდეგ ვაჟს გაუცინა. ვაჟმა აიღო ცოტა და შუბლზე მიაღო.

– აჰ, დედა, რა ტკბილია, ცოტა ხანს არ აიღოთ ხელი.

– კარგი, ბატონო, როგორც ინებებთ.

– კისერზეც უნდაო, თქვით?

– დიახ, ბატონო.

– მაშინ იქაც დამადეთ.

ვაჟმა რომ ბეწვი მიადგო, გოგომ უთხრა ტკბილია, ძალიან ტკბილია, კიდევ ცოტა ხანს გააჩერეთ ხელიო.

ვაჟმა იქაც გააჩერა ხელი.

– მკერდის ამბავია რომ მაწუხებს, იმედია მაპატიებთ, თქვენი ჭირიმე, – თქვა გოგომ.

– როგორც გენებოთ, ბატონო, ჩემი საქმეა თქვენ გემსახუროთ.

– იქაც, ბატონო, იქაც. ამას ნუ დაუჯერებთ, ამ მზაკვარს. იქ უფრო ჭირდეს იქნება. შუბლი შუბლია, კისერი კისერია, მაგრამ თავი და ბოლო მკერდია. სიკვდილისა და სირცხვილის ჯავრი სჭირს, – თქვა გამდელმა. ამ სიტყვებს დედამაც კვერი დაუკრა.

– მე მხოლოდ წამალს გადებთ, ბატონო, აქ არაფერი სამარცხვინო და საწუხარი არ არის, – უთხრა ვაჟმა.

– მაშ შენი არ უნდა შემრცხვეს?

– სრულიადაც არა. რატომ უნდა შეგრცხვეს, როცა წამალს გადებთ?

– მაპატიეთ, ბატონო, მაშინ ისე მოიქეცით, როგორც აჯობებს. მაგრამ დაბრძანდით. მეუხერხულება ამდენ ხანს ფეხზე რომ დგახართ.

ვაჟმა ბეწვი დააფინა მკერდზე.

– რადგან ამბობთ, სირცხვილი არ არისო, თქვენი ხელი ცოტა ხანს იყოს აქ, – უთხრა გოგომ და მაგრად მიიკრა ვაჟის ხელი. ამ დროს გოგოს და ვაჟის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ერთ არაფერი რომ არ უთქვამთ, ისე მთელი წლის სათქმელი – ყველაზე უფრო დიდი სათქმელი – თვალის გაელვებით უთხრეს ერთმანეთს.

– აბა, აწი ოქროს ბეწვი დამაკარით. ძალიან ტკბილი ხელი გქონიათ. თქმა არ უნდა, ეს იმ კრავის გამოა. მეტს არ შეგაწუხებთ. კრავის ამბავს როდის მომიყვებით?

– როცა ინებებთ.

– კარგი.

როდესაც ვაჟი ოთახიდან გამოვიდა, ყველანი შემოეხვივნენ და ამბავი ჰკითხეს – კრავის თმა უშველიდა თუ არა.

– ბატონებო, – თქვა ბიჭმა, – ოქროს კრავი ჩვენს ქვეყანაში ღმერთია. თქმა არ უნდა, გოგო მორჩება, რადგან ოქროს კრავი უყვარს. წამლის პირველივე შეხება მოუხდა, ასე რომ, შეიძლება, ამ პირველმა წამლობამ მოარჩინოს.

შეიქნა ხარება და წვეულებისათვის მზადება. თითო-თითოდ შედიოდნენ გოგოსთან და ულოცავდნენ მორჩენას.

სჭირდებოდა თუ არ სჭირდებოდა, გოგომ დღეგამოშვებით მაინც გაიკეთა ამ ვაჟის წამალი და, ამასთან ერთად, ოცი იმდენი კოცნა გამოსტაცა. ბოლოს გოგომ და ბიჭმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ ბიჭთან ერთად წასულიყვნენ კრავის სანახავად, რადგან გოგომ თქვა, საბოლოოდ მორჩენილი არა ვარ და უნდა მოვრჩეო.

რამდენიც ხელმწიფის შვილს შეეფერებოდა სიმდიდრე და თანმხლები პირები, იმდენით წამოვიდა ქალიშვილი ჩვენს ქვეყანაში ოქროს კრავის სამებრად და სანახავად.

დრო რომ გავიდა, დედ-მამას შეუთვალა, დადიანმა დიდებულად მიმიღო, ერთი სასახლე მთლიანად მომიჩინა, დღედაღამე კრავს დავემებ, ისე ყველას ვუყვარვარ, ყველა თავზე მევლება, ძალიან ბედნიერი ვარ, მოვიმატე, ჯერჯერობით ვერ დავბრუნდები და თქვენ ჩემზე არ იდარდოთო.

დედას აინუნშიაც არ ჩაუგდია შვილის დაგვიანება. ბოლოს გოგომ შეუთვალა დედ-მამას, რომ მალე ჩამოვიდოდა ოქროს კრავიანად და დანიშნულ ადგილას შეხვედროდნენ. ასეც მოიქცნენ. დედ-მამამ შვილი გადაკოცნეს და გულში ჩაიკრეს. შეიქნა დიდი ხარება. მამამ იკითხა: ოქროს კრავი სად არისო. გოგომ უპასუხა, რომ სძინავს და როცა გაიღვიძებს, გაჩვენებო. ცოტა დრო რომ გავიდა, დედოფალმა

უთხრა ხელმწიფეს, წავიდეთ და ვნახოთ ოქროს კრავიო. ხელმწიფე გაჰყვა უკან. დედოფალმა შეიყვანა ქმარი ოთახში, სადაც ხელმწიფემ ნახა აკვანში მწოლიარე ვაჟი – თითქოს მზე და მთვარე ერთად შეყრილიყვნენ.

– ამ ოქროს კრავისთვის იყო შენი ქალიშვილი ავად. ბოლოს ხომ ხედავ, მოიყვანა და ახლა შენი საქმეა რასაც იზამ.

– კარგი, მაგრამ თავიდანვე რატომ არ მითხარით? ამაზე უარს ვიტყვოდი?

– ვიცი, რომ უარს არ გვეტყვოდი, მაგრამ სიყვარული იმდენად უფრო ტკბილია, რამდენადაც დამალულია და ნამალევად გაკეთებულს ყოველთვის მეტი გემო აქვს.

– რა უნდა მოგთხოვოთ თქვენ, ჭკუა გიდეღში შეინახეთ და ისიც ხეზე ჩამოჰკიდეთ. თხებს კი არა, ეშმაკებს აქვთ თქვენი ჭკუა წაღებული, სული წაუწყდა იმათ, კიდევ კარგი, მთლად არ დაგლუპეს.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როდესაც გოგოს გათხოვების დრო დადგებოდა, დაიწყებოდა გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა, ზომვა, იქით-აქეთ გახედვა, ამპარტავნობა, ენის ტარტალი და ლაქლაქი; ერთ მადლიერთან ასი მომდურავი გაჩნდებოდა, რაც შეიძლება სახელმწიფოს ძვირად დასჯდომოდა, ისიც შეიძლებოდა, რომ გოგო იქით გადაგვეგდო, სადაც მას არ უნდოდა. არ ვარგა ბედისაგან გაქცევა რაიმე ანგარიშით.

– კარგი, კარგი. ეს გათავებული საქმეა. ახლა ამას ლაპარაკი არ შეველის. მომიყვანეთ წამლის მომტანი ბიჭი, დავლოცავ, ყველაფერს დავულოცავ, მაგრამ მინდოდა ჩემი გოგო შინ მყოლოდა. დადიანი თავის ერთადერთ შვილს აქეთ არ მოგვცემს.

– ჩვენ ხომ ჯერ სიკვდილს არ ვაპირებთ. გავზრდით ჩვენს შვილიშვილს, იგი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია. მისთვის უფრო ალალი იქნება ტახტი. ამ საქმეში ღმერთის ხელი ურევია. ბედნიერად დაიწყო და ბედნიერად დამთავრდება.

15. დატყვევებული დადიანი და ოქროს ვერძი

ერთხელ ჩვენს ერთ-ერთ დადიანს – კაცმა არ იცის ეს როდის მოხდა – სულ რომ არ ელოდა ისე, ოთხი მხრიდან დასხმია მტერი. აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ზღვიდან და მთიდან, ერთბაშად მომხდარა თავდასხმა. დაუტყვევებიათ დადიანი და ხუჯის ციხეში ჩაუსვამთ. ამ მტრებს თავიდანვე პირი შეკრული ჰქონიათ, ჩვენი სახელმწიფო აეღოთ, წაეყვანათ ოქროს კრავი და დადიანის ასული, რომელიც სილამაზით მზესა და მთვარეს ტოლს არ უდებდა. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ ერთმანეთში არ წაჩხუბებულიყვნენ, შეთანხმებულები ყოფილან, რომ ერთს წაეყვანა ოქროს კრავი, მეორეს – გოგო, დანარჩენებს – შუაზე გაეყოთ რა სიმდიდრესაც იშოვიდნენ და ამოერჩიათ, რამდენიც უნდოდათ, ქალიშვილები და ქალები.

ჰოდა, ამგვარად, მოულოდნელად დასხმიან თავს დადიანს, ბაიბურში რომ არ იყო ისე. დაუჭერიათ დადიანი და ხუჯის ციხეში ჩაუსვამთ. დადიანთან ერთად დაუჭერიათ მისი შვილები და,

სახელმწიფოში რაც თავკაცები იყვნენ, მასთან ერთად დაუმწყვდევიან. მეორე დღეს ყველა უნდა დაეხოცათ, რომ დადიანს სამაგიერო არ გადაეხადა რომელიმე თავდამსხმელი ხელმწიფისათვის.

თითოეულ ხელმწიფეს დარაჯად დაუყენებია ას-ასი კაცი, ისეთი ბუმბერაზები და გოლიათები, რომელთა მარტო შეხედვისაგან კაცს მიწა გაუსკდებოდა. ეს დარაჯები დგანან იმ კოშკთან, რომელშიაც დადიანი ზის და რომელზედაც ჩიტიც ვერ გადაფრინდება.

ყველამ იცის, რომ მთელი ქვეყნის საქმე წახდა. ყველა ცხარე ცრემლებით დასტირის ჯერ დადიანს და მერე საკუთარ თავს. მაგრამ რა ქნას უთავოდ, უხელმძღვანელოდ დარჩენილმა ქვეყანამ. ცხვარივით თავის მოსაჭრელად და ტყავის გასაძრობად უნდა დაუდგნენ წინ მტერს. ერთი რომ იყოს კიდევ არაფერი – ოთხ სხვადასხვანაირს, როგორ გაუმკლავდეს. ყველა ელის შავი დღის გათენებას.

ადამიანისაგან დახმარება რომ არ ჩანდა, ღმერთებისაგან მოვიდა. უეცრად ციხის კართან გაჩნდა ოქროს ვერძი, ეძგერა და მტვრად აქცია ციხის კარი. შევიდა და ჯიქურ გაეშურა იმ კოშკისაკენ, სადაც დადიანი და სხვები იყვნენ დამწყვდეული. ამბობენ, მცველებმა ზოგმა დაიჩოქა, ზოგმა კი დაიღრიალა, მაგრამ ამათ ვერძმა ტვინი გადმოანთხვეინაო. მივიდა ვერძი კოშკის კართან, ეძგერა და ნაფოტებად აქცია, წაუძღვა წინ ტყვეებს და ციხის გარეთ გამოიყვანა. შემდეგ შეუვარდა ამ ხელმწიფეებს თავ-თავის კარავში და ყველა ცოცხალ-მკვდარივით აქცია.

გათენება რომ მოახლოვდა, ყველა გორიდან გაისმა დადიანის ბუკი. წამოცვივდა ხალხი. ვინ დაზოგავდა თავს სასიკვდილოდ? წაუძღვა დადიანი და ახლა ოთხივე ხელმწიფის ჯარებმა, უმეთაუროდ რომ იყვნენ დარჩენილი, დადიანის წინაშე დაიჩოქეს. დადიანს დარჩა მათი სიმდიდრე და ყველას დაადო ისეთი ხარკი, რომ დიდხანს ფეხზე ვერ დადგებოდნენ.

16. ტონბა-ვარჩხილი და ოქროს ვერძი1

(ვარიანტი)

იყო ერთი მართლაც უბადო მწყემსი. გაგონილი ჰქონდა, რომ ოქროს კრავი ტონბა-ვარჩხილში ტანს იბანსო და იმ წყლის გარდა სხვას არ სვამსო. თქვა: «მოდი, გავრეკავ საქონელს იმ გზით; შეიძლება ოქროს კრავი ვნახო, ან ვერცხლის». გარეკა საქონელი ტონბა-ვარჩხილზე. დააბინავა იქ, ცოტა ხანმა რომ გაიარა, ნახა ოქროს ვერძი ცხვრებს შუა იდგა. მოინდომა დაჭერა, მაგრამ ვერ დაიჭირა. მაშინ მშვილდ-ისარი ესროლა – დავჭრი და ხელთ ვიგდებო. ვერძს ისარი ასცდა. მაშინ ვერძი გაუძღვა ცხვრებს და სუყველა – ერთიც რომ არ დარჩენილა ისე – ტონბა-ვარჩხილში ჩაცვივდა. ტონბა-ვარჩხილში, სადაც წყალი გადმოედინება, ცხვრის ბალნის გადმოღება დაიწყო, ისე რომ მთლად აივსო ბალნით. ამის შემდეგ, ამ წყალს ნაცხვარევი წყალი დაარქვეს. ამბობენ, რომ ტონბა-ვარჩხილში ჩაყოლილ ცხვრებს უბრალო ბალანი ოქროს ბალანზე შეეცვალა და წყალს რომ გამოაქვს, ის ძველი თმა არისო.

17. ოქროს კრავი

იყო ერთი მონადირე (მაჯინ). როდესაც ეს მონადირე წავიდოდა, ისე არასოდეს დაბრუნდებოდა, რომ რაიმე ნანადირევი (ნაჯინ) არ მოეტანა. ერთხელ რომ წავიდა, მთელი დღე ვერაფერი იშოვა მოსაკლავი. ხელცარიელი დაბრუნება სიკვდილად და კაცობიდან ამოვარდნად მიიჩნია. გაუყვა დიდ მთებს. როცა ღამდებოდა, დაუშვა შხეფი (შხუფი) და ამას გრგვინვა (მერეხი) მოჰყვა. დაიწყო თავშესაფრის ძებნა. ნახა ერთი გამოქვაბული (ფოქვა). გაეშურა გამოქვაბულისკენ თავის შესაფარებლად. როცა შევიდა, ნახა, რომ რაღაც ანათებდა, როცა ახლოს მივიდა, ოქროსთმიანი კრავი ნახა – ისეთი ლამაზი, ისეთი მშვენიერი, რომ ამის უკეთესს კაცის თვალი ვერაფერს ნახავს. შეუყვარდა, უნახავმა გააკვირვა, იფიქრა, ეს ღვთისაგანააო, დაიჩოქა და თაყვანი სცა.

ჰყონდიდურმა კაცმა – სპილენძის კაცმა ჰკითხა ხეთას.

ხეთამ უპასუხა: «ვკვდები, ეცადე გადასძახო მცხეთას.

მოდრუბლულა, ცა მოქუფრულა, ჩამიჩუმი არ ისმის ცაში კიბულზე.

ვერ მივდივარ, ვერ ვძლებ, ძალა არა მაქვს სულსა და გულში.

მიმატოვეს, ადამიანის ჭაჭანება არაა, არაა სიმხნე, ალა-მალა.

მთელი ქვეყანა წრიალებს, სწორდება ზღვა და მთა».

მაშინ ჰყონდიდურმა სპილენძის კაცმა გადასძახა მცხეთის სპილენძის კაცს:

«რა ამბავია, როგორ ხარ? მიკლავენ ახლა ადამიანს?

მე ახლა ადამიანს არ მიკლავენ, სამაგიეროდ ღორი მოჰყავთ.

მიყურებენ ალმაცერად, დრტვინავენ, მეზრძვიან.

უთვალო ღმერთს ისინი ცაში დაემებენ,

ვითომ ხორცი აკრძალული აქვთ, სულით უნდათ გაძღვენ.

ძველებური შიში, რიდი არაა, დნება, ქრება, ილევა.

ვისაც არ კვითხე, გამოგიტყდები, იმედს არავინ იძლევა».

მცხეთურმა კაცმა, სპილენძის კაცმა მიუგო კვნესით,

ხიხიბით, ბურდღუნით, სულის მოთქმით, ხვნეშით:

«შენი საქმე კარგად ყოფილა, ღორზე არ უნდა ღქვა უარი.

ჩემი საქმე წასულია, ლამის თავი უნდა დავიტირო.

თბილის-ქალაი დააარსეს, ყველა იქ მიილტვის,

დამტოვეს უპატრონოდ მე და ჩემი შავი ბედი.

მგონი, ჩემს გამო გააკეთეს ეს, იქ სხვა ღმერთი გაიჩინეს

და ქალაქად კარგის ნაცვლად ცუდი ადგილი აირჩიეს.

გამოშიგნულს, დაკოდილს, თხა და ცხვარი მეხახუნებიან,

კუჭი შიმშილით მიხმება, ჯავრით მისკდება დაჭრილი გული.

გუშინ მთელ ქვეყანას ვაქცევდით, გვქონდა ულავი ძალა,

რა დაგვემართა დღეს, არაა ალა-მალა.

გუშინ ტახტზე – დღეს ტალახში, დასწყევლოს ღმერთმა ადამიანის.....

ერთ კაცს ჰყოლია შვიდი ერთმანეთზე უკეთესი, კალმით დახატული შვილი. მომხდარა მიწისძვრა, სახლი დაქცეულა და ამ კაცს ცა და მიწა თავზე დაატყდა. შვიდივე შვილი დაქცეული სახლის ქვეშ მოჰყოლია და დაღუპულა, დედა და მამა გადაეჩნენ. გაუბედურებული დედა გაქცეულა თბილისში – თამარ დედოფალთან. ისე იყო დედა გამწარებული, ისე იწვოდა და იგვემებოდა, ისე არტყამდა ხესა და ქვას თავს, ისეთი ხმით ტიროდა, ისეთ ცრემლს ღვრიდა, რომ ამის შემხედვარე თამარს ცხელი ცრემლი გადმოსცვივდა თვალიდან. იქ სადაც თამარის ცრემლი დაეცა, ცხელი წყალი ამოსულა. გაუკვირდა თამარს, მაგრამ ამასობაში მზის სხივი მოხვედრია მის სახეს და საიდანაც ეს სხივი მოვიდა, იმ მხრიდან მოისმა: «მკვდრები ამ წყალში დაბანეთ». მოუსვენებიათ მკვდრები და ყველა გაცოცხლებულა. თამარს უბრძანებია, აეშენებინათ შვიდი ეკლესია (ოხვამე) და ერთი დედათა მონასტერი. ერთი ეკლესია აუშენებიათ თბილისში (ქართის). ყოველ მეშვიდე დღეს თამარი თავისი ფეხით დადიოდა ამ ეკლესიაში. შანდალს შუა ადგილას ანთებდა – ერთს დიდს და გარშემო შვიდ პატარა სანთელს. თამარს დიდი სანთელი მიაჩნდა დედად, ხოლო შვიდი პატარა სანთელი – შვილებად. დედას დიდი სანთელი თამარ დედოფლად მიაჩნდა, ხოლო პატარა სანთლები თავის შვილებად. ხალხს დიდი სანთელი მიაჩნდა თამარ დედოფლად და დედად, პატარა სანთლები კი შვილებად. დამწვარი სანთლების ნაღვენთი ხალხს მიჰქონდა და ავგაროზად (ავგაოროზო) აკეთებდა, რათა თავიანთი შვილების მიმართ იმ დედის მსგავსი სიყვარული ჰქონოდათ და გაჭირვების დროს ისე ყოფილიყვნენ დახსნილნი. ასეთები ყოფილან დედები თამარ დედოფლის დროს, ხოლო თამარ დედოფალი კეთილი ყოფილა დედებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო განთქმული ყოფილა მთელს ქვეყანაზე. მის ხელმწიფეს ტახტი მცხეთაში ედგა. მცხეთის გარშემო უზარმაზარი მთები და უდაბური ტყეები ყოფილა. ამ მართლაც დიდებულ ქვეყანაში ერთი უბედური ჩვეულება ყოფილა. ისეთი ოჯახი არ იყო, რომ ამ ჩვეულებას ერთხელ მაინც არ აეტირებინოს და ხალხს სამძიმარი არ ეთქვას ერთმანეთისთვის. მთვარის ყოველ მოქცევაზე ჩვეულებად ჰქონიათ წილის (თია) მოგროვება. ამას დევის წილს ეძახდნენ. იმ დროს ყველაფერი უხვად ყოფილა. საჭმელი არავის ენანებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ როდესაც ამ მოგროვილ საჭმელს და სასმელს დანიშნული მთის თავზე დაახვავებდნენ, ზედ ერთი უმანკო

თხუთმეტი წლის გოგო უნდა დაეკლათ. არ ყოფილა ისეთი კაცი, რომელიც ამ ჩვეულების გამო არ წუხდა, მაგრამ ამას მაინც ყოველთვის ზუსტად ასრულებდნენ. კაცმა არ იცოდა, თუ რატომ აკეთებდნენ ამას. ამის შესახებ ყველა ერთნაირად ამბობდა: «მისდღემში ეს ასე ყოფილა. ჩვენი ძველები ყოველთვის ამას აკეთებდნენ და ჩვენც რომ არ გავაკეთოთ, დევები მოვლენ და ყველას მუსრს გაგვავლებენო (მოფსNრNნანი)».

ამისთვის ამორჩეული ყოფილა ერთი უფროსი კაცი. ამ კაცის ისეთი შიში და რიდი ჰქონდათ, როგორც ხელმწიფისა. ამ კაცს ხელქვეითად ჰყოლია თორმეტი თავკაცი. გოგოს გამოყვანა კენჭისყრით ყოფილა. ამას თეთრი და შავი ბედის წილის კენჭს ეძახდნენ. რამდენიც იქნებოდა მეთხუთმეტე წელში შესული გოგო, იმდენ ერთნაირ თეთრ კენჭს მოიტანდნენ. ამათში ერთი შავი კენჭი. სანამ გოგო დევის წილის არჩევის ჩვეულებას არ გაივლიდა, მას გათხოვება არ შეეძლო. ყველა კენჭს ჩვარში ახვევდნენ. გოგოებს ერთ მწკრივად დააყენებდნენ. ამ უფროს კაცს მაგრად აუხვევდნენ თვალებს და კისერზე ჩამოკიდებდნენ კალათას, რომელშიაც ჩვრებში გახვეული კენჭები იდო. ამ უფროსს მისდევდა თორმეტი თავკაცი. უფროსი იღებდა კალათიდან ჩვარში გახვეულ კენჭს და თითოს აძლევდა თითო გოგოს. როდესაც კენჭის დარიგებას მორჩებოდა, თვალს აუხსნიდნენ. ეს უფროსი კაცი, ისევ ამ თორმეტი თავკაცის თანხლებით, თავიდან ჩამოუვლიდა მწკრივს, გამოართმევდა გოგოებს კენჭებს და ხსნიდა ჩვარს: ვისაც შავ კენჭს უპოვიდა, იმას ხელს მოჰკიდებდა და გამოიყვანდა დევის წილად.

ამ ჩვეულებას ვერავის შვილი გვერდს ვერ აუვლიდა – გინდ დიდი კაცისა ყოფილიყო, გინდ პატარასი – ხელმწიფის შვილიც კი. ხელმწიფეს მხოლოდ ერთი ქალიშვილი ესვა, რომლის დარი თვალით არ ენახა კაცს. ამ ქალიშვილს მოხვედრია ეს შავი ბედის კენჭი. ყველა გოგო – ესენი კი ასობით იყვნენ – დასევია ამ უფროს კაცს და თავკაცებს თხოვნით, რომ ხელახლა ეყარათ კენჭი, ანდა ვისაც ისინი ხელს მოჰკიდებდნენ, ის გაეყვანათ ხელმწიფის ქალიშვილის მაგიერ. ასეთივე იყო გოგოების დედებისა და მამების თხოვნაც – ჩვენი ქალიშვილები წაიყვანეთო. «თუ ერთს არ ამოგვირჩევთ, ყველანი ერთად წაგვიყვანეთ», უთხოვიათ გოგოებს. «ყველანი წაიყვანეთ მის მაგივრად», უთხოვიათ ჭირისუფლებსაც. ყველა ტიროდა, იწვოდა და იმდულრებოდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ. უფროს კაცს ხელი მაგრად ჰქონდა ჩაჭიდებული მეფის ქალიშვილისთვის. ამ უფროსმა კაცმა, რომელსაც ადრე ათასჯერ ქვასავით ცივი გული და კაცს რომ გააქვავებდა ისეთი სახე მიუღია, იგრძნო, რომ რაღაც ძალიან დალატობდა. ხელმწიფის ქალიშვილი იცინის, თითქოს დიდად სასიხარულო რამ ხდებოდეს. ვინ იცის, ეს რითი დამთავრდებოდა, მაგრამ უცებ ხელმწიფის ქალიშვილმა თქვა: «ახლა მე მომისმინეთ, რადგან ყველაფერი ეს ჩემს გამო ხდება». ეს ქალიშვილი ისედაც დაბადებიდანვე არასოდეს არ ჰგავდა ადამიანის შვილს, მაგრამ ახლა ციდან თავისი ფეხით ჩამოსულს დამსგავსებოდა. მისი ხმა ჰაერში რეკვასავით გაისმა. უფროსმა კაცმა ხელი უშვა და გაოგნებული უყურებდა. შეწყდა ყოველგვარი ხმაური. «ვხედავ», განაგრძო ქალიშვილმა, «ჩემო საყვარელო მეგობრებო და დებო, თუ როგორ გეწვით გული ჩემზე და რომ ჩემთვის, ერთი ადამიანის მაგივრად, ათასი არ ზოგავთ თავს და რომ არც თქვენს დედ-მამას ეზოგება თქვენი თავი, მაგრამ ახლა ჩემს გულსაც მიეცით ნება, ამ მაღალი ღირსების გრძნობა მასაც ჰქონდეს. ნუ სწუხართ, ნუ ტირით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მე ვიცოდი, რომ შავი კენჭი შემხვედებოდა. სათქმელი მაქვს და უნდა მომისმინოთ. ჩემი ნათქვამი, ისევე როგორც თქვენ,

უნდა გაიგონოს ცამ, მიწამ, მთამ, ტყემ და მდინარემაც. ამიტომ უნდა წავიდეთ წყლის პირას. ხელმწიფის შვილი წავიდა და დადგა ერთი კლდის თავზე, სადაც მტკვარი ეხეთქებოდა. ქალმა თქვა: «დღეს ჩემი დედ-მამა ტირის ჩემს გამო. ასე ტიროდა ყველა დღემდე. ასე იტირებენ მომავალშიც. ეს არავის უნდოდა, არ უნდა და არც მომავალში ენდომება. ამის გამოსწორება მნელია, მაგრამ მაინც არაა უსაშველო. ახლა მამაჩემო და თქვენ, უფროსო და თავკაცებო, კარგად მისმინეთ და შეასრულეთ ის, რასაც გეტყვით, რადგან ამას მხოლოდ ჩემგან არ ვლაპარაკობ». ქალიშვილი შეჩერდა. მისმა თვალებმა და სახემ უცნაური სხივით დაიწყო ბრწყინვა. ხელები გაშალა, ყველას სიყვარულით, ვითომ გულში იკრავდა, ისე ჩახედა. მერე ასევე მთებისა და ტყისკენ გაიხედა, ბოლოს ცისკენ დაიწყო ყურება და თქვა: «თქვენ ქალაქს იქ ააშენებთ, სადაც მე მიპოვით». ამის თქმა და მისი მტკვარში გადავარდნა ერთი იყო. ათასობით ადამიანის პირიდან – როგორც ერთისგან – გულისგამხეთქავი ყვირილი აღმოხდა. მაგრამ ვის შეეძლო შველა? დაედევნენ მდინარის ორივე ნაპირზე. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ვიწრო ადგილას, სადაც უზარმაზარ ნაძვის ხეს მდინარე გაეხიდა, წყალი დაეტბორა და მორევად უქცევია. აქ ნახეს დამხვრჩალი ქალიშვილი, რომელიც მორევში პირადმა დაწოლილი ტრიალებდა, თითქოს ეძინა. ამოასვენეს და იქვე დაკრძალეს. ჯერ თავშესაფარი კარე გაუკეთებიათ, მერე ბინა, და დაუწყიათ ქალაქის შენება. ქალაქი მალე გაზრდილა და დიდი გამხდარა. ეს ადგილი ყოფილა თბილისი (ქართი), სადაც დღეს ქალაქია. ხელმწიფე არ დაბრუნებულა მცხეთაში. ტახტი თბილისში გადაუტანია. ეს ჩვეულება თბილისმა არ შეასრულა. ვინც მცხეთაში დარჩა, მათთვის რომ მოეთხოვათ, ყველა თბილისში გადმოვიდოდა. (და) ამგვარად გადაშენდა საქართველოში ეს შავბნელი ჩვეულება.